პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ნიანგი

№ 65 | კვირა, 12 სექტემბერი, 1926 წ. | № 65

## „მეცამეტე გოჭები"

„პოლონეთს და ესპანეთს არ მისცეს უდმივი ადგილები ერთა ლიგის საბჭოში."

გაზეთებიდან




პოლონეთი და ესპანეთი:—დედიკო! ჩვენ სადღა დავჯდებით?

ერთა ლიგა:—შვილებო, აქ უფროსების ადგილია, თქვენ იატაკზედაც შეგიძლიანთ დასხდეთ!

# ცნობები

ჩემი გადაწყვეტილება ყველამ იცით.

თუ არ იცით, საჭირო არაა იცოდეთ; მე გადაწყვეტილი მაქვს საიქიოს წასვლა, თვითმკვლელობის ჩადენა! რატომ გადავწყვიტე ეს, ამას გაეცნობოდით „ტარტაროზში“; ხოლო, როგორი საშუალებით მინდა ამ აქტის შესრულება, ამას ვერ გეტყვით, ვინაიდან, როგორც მაშინ ვამბობდი, კომუნისტები შემიშლიან ხელს.

ეს იცოდეთ, რომ წყალში არ დავიხრჩობ თავს, იმიტომ, რომ წყლის საშინლად მეშინიან. რევოლვერს ვერ ვიხმარ-ამის მე წინააღმდეგი ვარ და, თანახმად ერთა ლიგის რამდენიმე ათასჯერ გამოქვეყნებულ მეხლებისა, განიარაღება მაქვს მოხდენილი!

არც დანით ვფიქრობ ყელის გამოჭრას, ვინაიდგან ხირურგად არ ვყოფილვარ ჯერ და გამოცდილება მაკლია ასეთი აპერაციისა. ესეც, რომ არ იყოს—გულის სისუსტის გამოც ამას ვერ ვიტან.

მაშ რით მინდა მოვიკლა თავი?

ეს ჯერ საიდუმლოდ მაქვს შენახული და არც არავის ვეტყვი სიკვდილამდე.

ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოვა მაშინ, როცა ჩემს მიერ შეკრებილი იქნება ის ცნობები, რომლებიც მე გამოვაქვეყნე. პირველი იყო საექიმო დარგის ავკარგის გაგება, რომელიც მე უკვე შევკრიბე და აი, რა:

— ქალიშვილო, ჩამწერეთ რიგში!—ვთხოვე ამბულატორიის კარებთან მჯდომ ქალიშვილს.

— რომელ ექიმთან გნებავთ?

— სულ ერთია რომელიც იქნება!—უთხარი გადაწვეტით.

— როგორ? თქვენ ავად ხართ ხომ?

— დიახ, ავად ვარ, მაგრამ...

— მერე, რომელი ექიმი გნებავთ?

— რომელიც თქვენ გსურთ!

— მე რავიცი თქვენ რა გტკივათ, ხომ იცით ყველა ავადმყოფობას თავისი სპეციალისტი ექიმი ყავს!

— მეც ერთი სპეციალისტი ექიმი გამომიწერეთ!

— რა გტკივათ, სთქვით ამხანაგო, ხომ ხედავთ არა მცალიან!—ცოტა არ იყოს შევფიქრდი—არ ვიცოდი რა ავადმყოფობა მომეგონებია.

— მალერია ხომ არ გაქვთ?—შემეკითხა ისევ ის.

— დიახ. დიახ. სწორედ მალიარია მაქვს—დავსვი დიაგნოზი.

— აი, მეათე რიგი თქვენი, შეხვალთ მერვე ნომერში.

მერვე ნომრის წინ ავეტუზე.

— კადატაშვილი მარო! შემობრძანდით, თქვენი რიგია!—დაიძახა ვიღაც მაღალი ტანის ქალმა და მარო შევიდა

— გავასქელაშვილი თედორე—შევიდა ისიც.

— გიგოური, ჩუჩულია, ბახაშვილი, პეტროვი, არლოვი ვარსანოვი, ბახაროვი, ზაქროვი, ახატუროვი, განჯარა, იცნოვი-და და, ერთი სიტყვით, დაბნელებამდე ერთი ორმოცი გვარი გამოიძახეს, მაგრამ მე არსად არ ვეწერე.

გათავდა მიღება!—ხმამაღლა გამოაცხადა მაღალმა ქალმა და უნდა წასულიყო, მაგრამ მე შევეჯახე.

— თქვენ აქ რას უცდით?

— თქვენ დაძახებას!—ვუპასუხე მე.

— ამდენი ცდა გამიგონია? წავიდოდი სახლში!

— კი, მაგრამ მე ავად, რომ ვარ?

— არავითარი ავად არა ხართ, თქვენ სტყუით!

— უკაცრავად, ქალბატონო მე, მე, მალარია მაქვს მგონი.

— შემოდით აქეთ! შემიყვანა ექიმთან.

— რა გტკივა თქვენ?—მკითხა ექიმმა.

— მალარია ექიმო!

— Да, правильно!—ჩააქია თავი, როცა მაჯა გამისინჯა.

— აი, თქვენ ამ წამალს გამოგიწერთ და მორჩებით,

რეცეპტით ხელში აფთიაქს მივადექი და კოლოფებით ხინა წავიღე სახლში.

მეორე დღეს ზღვის პირას ვიჯექი და ვფიქრობდი:—ჯამთელობის კომისარიატს ყველაფერი რიგზე ქონია, მართალია მეათე რიგის მაგივრად მეასეთ შეხვალთ, მაგრამ რა უყოთ, ამაში დამნაშავე ხალათიანი ქალი გახლავთ. ეხლა ერთი საკანტროლო კომისია დარჩა, რომელიც ზოგიერთებს სურვილს არ უსრულებს, მაგრამ ამას მე მგონია გამოასწორებენ. დამზღვევი სალაროც ვერ ყოფილა მოწყობილი რიგზე. გინდა თუ არ გინდა მოწმობა მოიტანე, რომ დედ-მამა და სიდედრ-სიმამრი შენი სარჩენია. არც ცოლის დას დი სიძეს გიწერენ სარჩენად. სტუმარს აბა ხომ სულ ვერ ახსენებ. ამ გარემეობას რასაკვირველია საჭიროა მიექცეს ყურადღება. სარჩენად უნდა აღიარებულ იქნას ყველა ნათესავები და აგრეთვე სტუმარიც, ვინაიდგან უკანასკნელი უფრო მეტი სარჩენია, ვიდრე ცოლშვილი, რადგან ცოლშვილი რაღაცას აკეთებს და სტუმარი კი არა.

ასეთი უწესრიგობა აღმოვაჩინე საექიმო და ჯამთელობის დარგში. ეხლა უნდა შევკრიბო ცნობები სხვა დარგების შესახებ!

პ. ობოლი.

# ვერ გაუგია



— პირდაპირ ვერ გამიგია, რა მოსაზრებით სარგებლობს ჩვენი გამგე, როცა ამდენ ხალხს ამოკლებს!

— შე კაცო! მოსაზრებით კი არა, უბრალო ფიქრით სარგებლობს!

# „დამონებულ ერთა მოსარჩლენი"




— მეგობრებო დამიჯერეთ
სურათია გულსაკლავი,
როცა სამი მგლის ხელშია
საცოდავი ერთი კრავი!

# ფერილი საიქიოდან

— ლუბეზნი მაქთალ! შენ სიტყვასა განა გადუხვევდი? შენი სურვილის ასრულება, განა მე, შენგნით დადაგულს ნასლაჟდენიათ არა მქონდა? შენ არ იყავ ჯერ რიგიანად თვალიც არ დამეხუჭნა, რომ ყურის ბარაბნები დამისქდა შენი ღრიალით:—„კარაპეტ"-ო, მებნევოდი—„როგორც ამ ქვეყნათ ერთმანეთი გვიყვარდა, ისე იქ ნუ დამივიწყამო.

ჩესტნი-სლოვო მაქთალ,—სხვა არა იყოს, გულს დარდები მიწუხებს.

„ვაი კარაპეტ—ვფიქრობ, „თუ ეხლა შენს დედაკაცს ვინმე ბაირამ-ეფენდი—ლუბეზნი-აბიასნენიას უშვრება მეთქი", ჰახარ, ისეთ ხასიათზედა ვდგები, რომა ბზიკნაკბენ კამეჩსა ვგევარ; მოდი შენა, და, როცა ეგეთი ჩორნი დუმკები თავსა მტრიალებს—ყისმათ-წამხდარი შენ მაქთალას ნურაფერს მიწერამ!

— მაქთალ?! დედაკაცო სხვაში არ გამცვალო, გაიგე?! თავი არ მომჭრა, პუპლიკამ არ იფიქროს: „კარაპეტა ბირშავი კაცი იყო, და საიქიოს მისმა დედაკაცმა დუხოი მუზიკით მიტომაც გაასვენა, რომ შემდეგ სახლში არღანზე ბალდადური ეცეკვაო".

— ლუბეზნი მაქთალ?!... რეებსა ვროშავ—ეს ოხერტიალი გოგრა-დარდისაგან ლამის ფუტურისტი გავხდეს,—დარდისაგან ლამის ცხვირი ისე დამიგრძელდეს, როგორეარშაკა მემწვანილის შავი ბადრიჯანი. ვაი რომ, მანდიდან ველარ მამშვიდებ—განა მაქთალ! მე და შენ ზაკონი ცოლ-ქმარი არა ვართ? შენი კარაპეტა ვინ გაგიყარა!—განა ტერაცუამა ჩვენ ქორწილზე, ჩემ ჯიბეს ატჩაიანი ჩისტკა მიტომ უყო, რომ მიქელ-გაბრიელთან გასეირნების დროს დაგევიწყნე?!

— ეხ მაქთალ! სიდან გაიგებ—მოემუ სერდცუ კაკოი აგონ კიპიტ,—მახლას კარაპეტ?! რა დღეში ხარ..

მოი ტიტანიკ, მოი ლუბეზნი—ატვეჩაი მიყავ, ლასკატელნი სლოვო მიპასუხე—შხირათ ამბავი—შხირათ ამბავი-ხშირად მეთქი, რომ დარდისაგან გულმა უნიჟენია არ იგრძნოს. ატვეჩაი მიყავ, სიფათში გკოცნი მაქთალ და გულს ბრაგა-ბრუგი გააქვს სანამ გნახავდე! შენი კარაპეტა ბალდასარიანცი.

**ჭიათურელი სედრაკა.**



— სურათი, რომელიც წარწერას არ საჭიროებს!

# კოოპერაციის მუშაკი

— ჰმ! ადგილი! კარგია საქმეთა მმართველობა, მაგრამ ქაღალდების წერის მეტი რა ყრია შიგ? არა ნაკლებია განყოფილების გამგეობა, მაგრამ დიდი სახეირო არც ეგ არის. ასე ფიქრობდა ბენედიქტე და თან ბოლთას სცემდა თავის კოპწია სახლის აივანზე.

ბენედიქტე მეტად მოხერხებული ყმაწვილია. მან კარგად იცის ბუხგალტერია, საქმეთა მმართველობა, ყოფილა სავაჭრო აგენტად და არ არის მისთვის უცხო აგრეთვე ფეხზე ვაჭრობაც.

ამ უკანასკნელად ბენედიქტე რომელიღაც ტრესტის განყოფილების გამგის თანაშემწე იყო, მაგრამ ტრესტმა განყოფილება გააუქმა და განყოფილების გამგის თანამდებობაც გაუქმდა. რა კი გამგე გააუქმეს, მისი თანაშემწე—ბენედიქტე მექანიკურად გაუქმებული დარჩა.

რაღას გააწყობდა?

ბენედიქტე ადგა და სახლში დაბრუნდა. ამჟამად იგი აწყობდა მომავალი ცხოვრების ახალ გეგმებს.

— რომელი დარგია ამჟამად ყველაზე მეტად ყურადღება მიქცეული? ფიქრობდა ბენედიქტე. აგრონომია? კი, მაგრამ მე, რომ აგრონომი არ ვარ? ინჟინრობა? კი, მაგრამ მე, რომ ინჟინრობის არაფერი ვიცი? ბუხგალტერია? ეგ ხომ არ არის ისეთი შემოსავლიანი ხელობა! თუნდაც ორასი მანეთი მიიღო, ეგ არაფერს ნიშნავს.

— მაშ რომელი? ალმასკომის თავმჯდომარეთ მე არ დამაყენებენ, რადგანაც კომუნისტი არა ვარ. განათლების დარგში რომ ვიმუშაო არც ჯამაგირია ხეირიანი და გამოსარჩენზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

— აჰა-ა! წამოიძახა ბენედიქტემ და შუბლზე ხელი მიირტყა. კოოპერაცია... კოოპერაციაზე უკეთესი ხომ არაფერი გამოიძებნება! ჯამაგირი, გამოსარჩენი, „სუტოჩნები“ და სხვა ათასი შემოსავალი. მერე კიდევ მოწონებაც მექნება, კოოპერატორი ვიქნები, მაშასადამე,—საზოგადო მოღვაწეც.

**გავიდა რამდენიმე ხანი.**

კოოპერაციის გამგეობაში კარგა მოზრდილი ქაღალდი შეიტანეს. იგი იყო ბენედიქტეს განცხადება—თხოვნა—მოხსენება.

„...დღეს კოოპერაციას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება, სწერდა ბენედიქტე თავის განცხადებაში. საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობ ფუძეს კოოპერაცია წარმოადგენს. იგია უახლოესი ბილიკი სოციალიზმში გადასასვლელად. ამიტომ მე, როგორც საბჭოთა მოღვაწეს, არ შემიძლია ვიდგე ამ ჩვენი ფუძის,—კოოპერაციის გარეშე. ამიტომ ნება მიბოძეთ ვითანამშრომლო თქვენს დაწესებულებაში ვინაიდან, რამეთუ იგი წარმოადგენს იმ მთავარ ხაზს, რომელიცა რომა გადადის ხელმძღვანელად უდიდეს ფუძის სამფლობელოის ბჭეებში, რადგანაც კოოპერაციის როლი არსებულ პირობებში ჩვენ შიგვეჩნია იმ დასაყრდნობათ რომელიცა რომა ვინაიდან რათა მიმიღოთ თქვენ კოოპერაციის მუშაკათ“. ბენედიქტე ...ძე.

გამგეობამ დააკმაყოფილა ბენედიქტეს განცხადება, რადგანაც ერთი ადგილი ცალიერი იყო... მომჭირნეობასთან დაკავშირებულ შტატის შემოკლების გამო.

ბენედიქტე შევიდა კოოპერაციაში.

**გავიდა რამოდენიმე ხანი.**

ბენედიქტემ მოიხვეჭა სახელი, როგორც კარგმა მუშაკმა. მან მიიღო წარჩინება წარჩინებაზე და ბოლოს კარგა მოზრდილი პოსტი დაიჭირა: მთელი უნივერსალური მაღაზიის გამგე გახდა, იგი მუშაობდა საქართველოშიაც, ადერბეიჯანშიც, მოსკოვში, ყირიმში და სხვა ადგილებში. ბოლოს დაინიშნა რომელიღაც (სამომხმარებლო თუ სასოფლო-სამეურნეო) კოოპერატიულ რაიონის გამგეთ.

ამასობაში ბენედიქტემ იყიდა სახლი, მიწა და ადგილ-მამული. ერთი სიტყვით მოაწყო საკუთარი მეურნეობა.

— „წელზე ფეხს ვიდგამ, კაპიკს კაპიკზე ვაწებებ და ორიოდე“ გროშებს ვიჩახავ: ძლივ-ძლიობით ეს ქოხილა ავაშენეო ამბობდა ბენედიქტე თავის ორ სართულიან სახლის შესახებ. „მომჭირნეობის რეჟიმი განა მარტო დაწესებულებებში უნდა გავატაროთ, სახლშიც, პირად ცხოვრებაშიც აუცილებელია იგი. მე გავატარე ეს რეჟიმი და ამით ეს პატარა სახლი ავაშენე“, უმატებდა მომჭირნე ბენედიქტე.

თავის დაწესებულებაშიაც კარგად ატარებდა ბენედიქტე მომჭირნეობის რეჟიმს. ქალაქებში მივლინებაში რომ წავიდოდა, მეორე კლასის ვაგონის ბილეთს იღებდა.

— რა ვქნა, პირველი კლასის ვაგონში რომ ჩავჯდე, ფული დაიხარჯება ბევრი ჩემს დაწესებულებას. მესამე კლასით რომ წავიდე, ქესტკი ვაგონი გვერდებს მატკენს, ავად გავხდები და ისევე დაწესებულებისთვის არის საზარალო ამბობდა იგი.

ქალაქში რომ ჩავიდოდა ავტომობილს იქირავებდა ხოლმე:

— რა უყო, ეტლით დიდხანს ვერ მივალ, დამაგვიანდება და კოოპერაციისთვის ვერას გავაკეთებ, ფეხით რომ წავიდე, სულ არ არის ანგარიში; თან დავიღლები და თან ფეხსაცმელი დაგჯება, ეკონომიის რეჟიმი დაირღვევაო, იმართლებდა თავს.

სადილად ლუდს და კახურ ღვინოებს სვამდა:

— რა გაეწყობა, ქალაქში წყალი არ დაილევა, ავად გამხდის ადამიანს; მე რომ ახლა ავად გავხდე რაღა ეშველება ჩვენს კოოპერაციას. მით უმეტეს, ამ ეკონომიის რეჟიმის დროს რა დროს ავად გახდომააო წუწუნებდა ბენედიქტე.

ნაცნობები ბევრი ყავდა, უფასოდ შეეძლო ღამის გათევა, მაგრამ მაინც პირველ ხარისხოვან სასტუმროში ათევდა ღამეებს.

— რას იზამ, უბრალო სადგომებში რომ ღამე გავათიო, რწყილები და ბაღლინჯოები დამჭამენ. თითო წვეთი სისხლი თითო ჩერვონეცი ღირს და ერთ ღამეში რომ ათი წვეთი სისხლი გამომწოვონ, ათი ჩერვონეცი დაიკარგება რაღა ბაღლინჯოებს დავარღვევინო ეკონომიის რეჟიმი. ფიქრობდა ჩვენი კოოპერატორი. ის ათი ჩერვონეცი ხომ მივლინების ანგარიშში უნდა ჩაიწეროს?

**გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი.**

ერთ დღეს ბენედიქტე ფრიად აღელვებული დადიოდა თავის კაბინეტში.

— რა დაგემართათ ბატონო ბენედიქტე? კითხა ბუხგალტერმა.

— რა დამემართა?.. არაფერი... წერილი მოვიდა ცენტრიდან.

— რის შესახებ?

— აი, ანგარიში უნდა წარვადგინოთ, მოემზადე ჩემო ივანე. დაამზადე ციფრები, დიაგრამები და სხვა რაც საჭიროა. მოხსენებას მე თითონ დავწერ.

**გავიდა რამდენიმე ხანი.**

— ცენტრში, ქაღალდის მაღაზიაში გაკვირებული იყვენ:

— რა დაემართა ამ ბენედიქტეს რაიონს, ნუ თუ იქ ამდენი ქაღალდი საღდება, ალბათ იმ რაიონში სავსებით მოისპო წერაკითხვის უცოდინარობა. ამბობდენ ცენტრის კოოპერატიულ მაღაზიის გამგეები და სამართლიანიც იყო მათი შენიშვნა: ორი-სამი თვე იყო, რაც ბენედიქტემ მოუხშირა ქაღალდების მოთხოვნილებას.

თურმე ნუ იტყვით!

ბენედიქტეს ქაღალდები მოხსენებისთვის ესაჭიროებოდა. სწერეს და სწერეს: ბენედიქტემ, მისმა თანაშემწემ, ბუხგალტერმა და მოანგარიშემ მოხსენება კოოპერატიულ რაიონის შესახებ ცენტრისთვის, ჯერ სწერეს შავად შემდეგ თეთრად, შემდეგ გადაბეჭდეს და ბოლოს გამოვიდა დიდი მოზრდილი წიგნი, დაახლოებით საბუხგალტრო წიგნის ოდენა. სულ წიგნის შედგენაზე დაიხარჯა ოთხი თვე, ფუთნახევარი ქაღალდი, ორი ბორჯომის ბოთლი მელანი, სამოცი კალამი, ოცი კალმის ტარი და გაფუჭდა სამი საბეჭდი მანქანა რემინგტონის სისტემისა.

ასეთი დიდი მოხსენების გაგზავნა ფოსტის საშუალებით არ იყო მიზანშეწონილი: შეიძლება დაკარგულიყო და მაშინ დაიღუპებოდა ამდენი ხნის ნაამაგარი. ამიტომ ცენტრში, მოხსენებასთან ერთად გაემგზავრა ბენედიქტეც, რომელიც სულ რაღაც სამიოდე კვირა დარჩა ქალაქში.

**კიდევ გავიდა რამოდენიმე ხანი.**

ცენტრში წაიკითხეს ბენედიქტეს მოხსენება განსაკუთრებით საამისოდ არჩეულ კომისიის საშუალებით. (გამგეობას არ ქონდა საიმისო დრო). კომისიამ თავის მხრივ დასკვნა და მოხსენება წარუდგინა გამგეობას ბენედიქტეს მოხსენების გარშემო.

გავიდა კიდევ რამოდენიმე ხანი და...

ბენედიქტეც „გავიდა“ კოოპერაციიდან.

ახლა იგი კიდევ ადგილს ეძებს რომ სხვაგან გაატაროს მომჭირნეობის რეჟიმი.

**ალლარ-ალლარხანი.**





— ეს ჩვენი გამგის ცოლი ძალიან ლამაზია, პირდაპირ დახატულია!
— დახატულის რა მოგახსენო, ხოლო შეღებილი კია!

# ამხ. ტარტაროზ!

რო იწერებოდი, ჩამოდი ტფილისში ბესიკის შესახვევში 5 ნომერში ვცხოვრობ, უნდა მოგელაპარაკოვო, ჩამოვედი. ჯორჯიაშვილის ქუჩის თავში რო ამოველ, მილიციელსა ვკითხე: ეს რა ქუჩაა მეთქი და გოლოვინსკიაო. მაშ არ იცი, სად არის რუსთველის პროსპექტი მეთქი? მილიციელი დაფიქრდა. ბოლოს ხელი მიმიშვირა ერთ შენობაზე, რომელსაც ეწერა „რუსთაველის თეტრი“.

მე მაშინვე შევედი შენობაში და ვკითხე: ეს არის რუსთაველის ქუჩა? ყველამ ისე გაიცინა, თითქო ტარტაროზხანაო.

შემდეგ ერთი ახალგაზრდა ადგა და მითხრა:

— ეს დურუჯი გახლავთ, ხოლო აგერ ის მილიციელი სწორედ რუსთაველის პროსპექტზე დგასო,

ამერია დავთარი. ფუტბოლნი მიაჩიკი ხომ არა ვარ, რომ ისევ აქეთ გადმომტყორცნეთ მეთქი.

გავწიე ისევ იმ მილიციელისაკენ, მაგრამ რა მივუახლოვდი, მილიციელმა უცბად წითელი ჯოხი მაღლა ასწია და მე თავზარდაცემული იქით გადავხტი. მილიციელს გაეცინა, რა იყოო.

— რა იყო რომელია, გზები ხომ ამერია და საცემრადაც აღარ მინდობ, რაღა მაინც და მაინც წითელი ჯოხით მოგინდა ჩემი გაბღერტა მეთქი. მილიციელმა უფრო ძაან გაიცინა—ეს ავტომობილის სიგნალიაო.

— ვა, თუ ავტომობილის სიგნალიც ჩემ გაბღერტას ნიშნავს ეგ აღარ ვიცოდი, თორემ აქ რა ჩამომიყვანდა მეთქი. მაგრამ ბოლოს მაინც ძმურად ვკითხე:—

— თუ ძმა ხარ, ბესიკას ქუჩა რომელია?

— ბესიკის ქუჩა? გაიმეორა მილიციელმა და დაფიქრდა. შემდეგ მკითხა:

— წინათ რა ერქვა იმ ქუჩას?

— ვა, გიჟი ხომ არა ხარ შე ოხერო, თვითონ მე რა მერქვა წინად არ ვიცი და ქუჩის სახელი დამანახსოვრდებოდა მეთქი! და თან დაუმატე:—შენ ძმობილო, ძალიან ჩაკირული გონების კაცი ჰყოფილხარ, რო ამდენ რევოლიუციებს შენს თავში ძველი დავთრები ვერ შეურყევია მეთქი.

— შენ ძმობილო, ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკე, თორემ ემსაათში ვირების აბანოში ჩაგაყურყუმალავებო.

ფეხაკრეფით მოვშორდი მას და შეუხვიე ზევით. იქვე ეწერა: „ბესიკის ქუჩა“. სიხარულმა შუბლი გამიშალა. ვიფიქრე, შესახვევიც ამის ნაპირებში იქნება მეთქი და არც მოვსტყუვდი, შეუხვიე თუ არა, ეწერა:

# ამოცანა




— ვსთქვათ, მეეტლეებმა იყიდეს ერთი კვარტი ღვინო, რომელიც სამმა დალია. ერთი კვარტი ღვინო ღირს...
— ექვსი აბაზი ბოთლიანა, მასწავლებელო!

(„ბეგემოტი“)

„ბესიკის შესახვევი“.

მოვძებნე მე-5 ნომერი.

მე-5 ნომერში ერთ პირქუშად დაკეტილ კარებს მივადექი და, არც ვიცი რად, ვიფიქრე, ტარტაროზი უეჭველად ამ კარებში უნდა სცხოვრობდეს მეთქი.

ზარს თითი დავაჭირე ოდნავ. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ცოტა მაგრა დავაჭირე, მაინც არაფერი ისმოდა. მერე ხანგრძლივ დავაჭირე თითი. მაინც არაფერი ისმოდა.

ვიდექ, ვიდექ, ვიდექ და ბოლოს რევოლიუციონურად შევაღე კარი.

ერთი ქალი და ერთი კაცი აფეთქების სისწრაფით განშორდენ ერთმანეთს.

ის-ის იყო ნერწყვი უნდა მომსვლოდა პირში ამ სურათის დანახვაზე, რომ იმ კაცის ჩემზე უეცარმა დაჭუხებამ გამიშრო ისევ:

— შენ როგორ გაბედე ამ დროს ჩემს ოთახში შემოსვლა?..

— უკაცრავად, ბესიკის შესახვევი მე-5 ნომერი, ტარტაროზი აქ არა სცხოვრობს?

— ისეთ ტარტაროზს მოგცემ, რომ თავი დაგავიწყდეს! დაიყვირა მან ისევ.

მივხვდი რომ მე-5 ნომერი იქ არ იყო.

უკმაყოფილო წაველი ზევით.

არც ერთ მილიციელს აღარ დაუჯერე არც ქუჩის სახელი, არც იმის გზა და კვალი.

მივედი და ვკითხე ყოვლად პატიოსან მოქალაქეს, რომლის სავაჭროსაც კოოპერატივის დუქანი შიგ ყანყრატოში მიბჯენოდა.

— მელიქ-ჯან, ბესიკის შესახვევი სად არის?

— შეუხვიე რაღა, ეგ არის-მომიგო მან.

მეც შეუხვიე.

„ბესიკის შესახვევი“ ეწერა ზედ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი,-მადლობა ღმერთს, მეხუთე ნომერი სახლი ყოფილა. ისე კი რა ვიცი, ვფიქრობ გულში, ყველაფერი შესაძლებელია. თუ ის შეიძლება დღევანდელ დროში, რომ ბავშვს ხშირად სახელი აქვს და გვარი არა, რატომ არ შეიძლება, რომ ქუჩას სახელი ჰქონდეს და ნომერი კი არა?

ავედი მეხუთე ნომერში. ისევე დაკეტულ კარების წინ დავდექ.

ზარს თითი აღარ დავაჭირე: —ზოგიერთ „ვივესკასავით“ ფარშივებია ეს საბინაო ზარები: დახატულად სწერია და ტყუილი-კია. ჯერ ნაზად, ძალიან ნაზად წაუკაკუნე თითი კარებს-—არაფერი ისმის. ცოტა უფრო ძაან დავაკაკუნე. პასუხი მაინც არ გამცეს.

როცა ლოდინით გული გაწყალდა, მუშტით დავაბრახუნე და შორიდან ვილაცა წამოვიდა ბატკნისებური ბაკა-ბუკით. გაიხსნა კარები და:

— ინჩა სასუმ? მეკითხება შესანახად გამომშრალი სოკოსავით ფერ-მიხდილი ქალი, რომელსაც თითებზე გრძელი ბრჭყალები უპრიალებს.

— ინჩა სასუმ-კი არა, ტარტაროზი აქ არა სცხოვრობს?

— ინჩა?

— ვა, ინჩა-კი არა, ტარტაროზი მეთქი.

ჩამოველ კიბეზე და გაუდექ არა ტარტაროზის საძებლად, არამედ ბესიკის შესახვევების დასათვლელად.

მართლაც გავიგე, რომ კიდევ არის ასეთი შესახვევი! მე მაშინვე გავეშურე, ვიპოვნე. მოვძებნე წარწერაც:

„ბესიკის შესახვევი“.

ყველა სახლს ეწერა „ბესიკი შესახვევი“ № ეს და ეს, მხოლოდ მეხუთე №-ს რომ დავაკვირდი, წავიკითხე: ბისმარკის ქუჩა № 5.

ტარტაროზ, შენა ხარ კაცთ-მოყვარე. —წამოვიძახე მე. ვინ იფიქრებდა, რომ ბისმარკს თავისი საკუთარი სახლიც ჰქონია ტფილისში.

ამხანაგო ტარტაროზჯან განა ეგრე შეიძლება?

მამაცხონებულო, ამდენი შესახვევები რიცხვ-აღუნიშნავად გაგიგონიათ? ამ ხერხით ბარემ წერილიც მოიწერონ აქ ჩვენ ქალაქში მისამართით: „ჩვენ ძმას, ჩვენ პირიზიარებას“ და ჩააგდონ ფოსტის ყუთში.

იოსებ ფაშვი-ბერტყაძე.



# „სასწაული“

„არის გადმოცემა თითქო ქერპთაყვანის-მცემლობის დროს მირიანს ნადირობის დროს შემოაღამდა და მანამ არ გათენდა, სანამ წმ. ნინოს არ შეპირდა, რომ თუ გათენდება ქრისტიანობას მივიღებო“.



მი რიანი ანუ ქართულად „სპეცბიუროკ რატი“ ერთხელ სანადიროთ წაბრძანდა,




— ნადირობის დროს მას შემოაღამდა და არ იცოდა როგორ გაეთე-ნებია ღამე.



— ამ დროს მას გამოეცხადა წ... ნინო (ნინო რეგისტრატორათ წ... უთხრა:—თუ „ქრისტიანობას“ მ... გავათენებ, რომ ვერც გაიგო!

## მენახშირე

— „ნახშირი!.. ნახშირი!..
ქუჩაში გავჰყვირი.
სულ გამურული მაქვს
ხელი, თავ-პირი.
დავდივარ ნაბიჯით
ქუჩიდან ქუჩაზე.
ტომრები მიწყვია
მე „ლაფშას“ კურტანზე.
ეზოდან ეზოში
ვატარებ ნახშირსა,
ყველასთვის საჭიროს
იაფსა, არ ძვირსა.
და როცა საქონელს
დავყიდი ყველასა,
„ლურჯასაც“ მივუჩენ
რამ საცთხნელასა:
(ხურჯინში მიწყვია
ბალახი, მარილი
ეგ არის სულ მისი
საგზალ-სადილი),

მოვენახავ „კომერატს“,
ვიყიდი შაქარსა,
ბრინჯს, მიტკალს, საპონსა
ტარანს და ნარმასა,
შევჯდები ლურჯაზე
მე უდარდელათა,
ვით „ხამ-ზავეცი“
ავტოში ხელათა...
რის ავტო!.. რა ავტო!..
მე ის რად მჭირია?
მე ყველას მირჩევნის
ეს ჩემი ვირია.
ამას არ სჭირდება
შოფერი, ბენზინი,
არც არა მატორი,
არცა თუ რეზინი.

„მიმაფრენს მერანი“
უგზად და უკვლოდ,
მიმიყვანს მე სახლში
თავისით, უშვალოდ.
აქ ცოლმა გამჩისტოს
თბილი წყლით ხელ-პირი, —

დილმელად გამოჩნდე
„არაბთა ემირი“.
მეცა ვარ ჩემს სახლში
ერთი კომისარი:
ცოლი მყავს, შვილი მყავს,
ავტო ხომ „ის“ არი!
მაგრამ მე ვჯობივარ
ხაველუშს ერთშია:
მიშით არ კანკალებს
ანქანა მკერდშია:
მე არ მჭირდება
რევიზორ-კანტროლი.
მე ვერავინ ვერ მკადრებს:
„შთაგინთქავს ამტელი!“
ვერავინ დამწამებს
ვერც პროტექციასა,
და ვერც მეძავეებთან
ღამ-ღამით ტრიალსა.
დილაზე ადრიან
ქალაქში მივქრივარ.
ეზოდან ეზოში
მოვდივარ-მივდივარ.
აქ „ლურჯას“ პირიმე!
მას ვეხაცვალები:
უმისო შევიქნე
მე შასაბრალები.
ეგ არის სულ ჩემი
ბანკი და ხაზინა,
ეგ არის სულ ჩემი
„არტო“ და „კაზინო“.
რომ ერთი „გაფიცვა“,
მომიწყოს „ლურჯამა“,
ჩემმა ცხოვრებამაც
თქვენ პირი მოგჭამათ!

გ. ლომთათიანი.

# სამტრედიისათვის

მესტვირული სამტრედიის თვის

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:
ჩვენი სადგურის ქალები,
ულვინოთ არა თვრებოდეს.
ან კიდევ მ ი ხ ა  მ დ ი ვ ა ნ ი
ქრთამად არ გადიქცეოდეს,
ლანძღვა-ყვირილით მაღლა ცა,
ძირს მიწა არა დრკებოდეს.
რკინის-გზის  ე ქ ი მ-ფ ე რ შ ლ ე ბ ი
ყვქლანი გაგვიწყდებოდეს
და შემდეგ ამ ჩვენს მხარეში,
კარგი ამინდი დგებოდეს.
დეპოს უფროსი თვის ქურქში
და ტყავში გაჩერდებოდეს—
ახალი თუა, დე იყოს,
მუშის ხმა, მის გულს წვდებოდეს
ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:
ამ ჩვენს ინჟინერ  გ ე ი მ ა ნ ს
მზის შუქი დილას ხლებოდეს,
და ხიდის აურზაური
თანდათანობით ჰქრებოდეს—
ბედშავი მუშა—გლეხები
ფიქრებით აღარ კვდებოდეს.
კანტორის არშიყ ქალების
ლანდები დაიშლებოდეს
და მისი გამგე  გ უ შ ი ნ ი
სირცხვილით გაწითლდებოდეს.
კ ო ვ ა ლ ე ნ კ ო ვ ი ს  მეუღლე.
და  დ ო რ ა  აღარ გვწვეოდეს—
ფ ო ს ტ ი ს  უ ფ რ ო ს ი  სამსახურ
ხანდახან არ აკლდებოდეს—
და ტელეფონის ქსელშიაც
სიმშვიდე დამყარდებოდეს.
კიდევ მანატრა, მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:
ისე მოგვეწყოს სიცოცხლე,
მტერს თვალი დაუდგებოდეს.
და გასაწერიც  ჟ უ რ ნ ა ლ შ ი
აქ არვინ აღარ მყოლოდეს—
ყველამ ვაკეთოთ თვის საქმე,
ძმურად ვიცხოვროთ ბოლომდე...

ჰაგნელი ბზიკი.



— მართლაც ისე დაათენდა მირიანს თავზე, რომ არ გაუგია!




— როდესაც მირიანი კაპინეტში ბრუნდებოდა, დარაჯებმაც „ქრისტიანულად“ მოიხარეს ქედი და ღაღადყვეს: — „ოსანა მაღალთა შინა!“

# ჯოჯოხეთის კიბე ანუ




გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტში

# მარინეს „რადიო-სადგური"

ჩვენ, ქალაქში მცხოვრებნი, სოფელზე იშვიათად ვფიქრობთ! სოფელი გვაგონდება მაშინ, როცა მზე სხივებს დაგვიშენს, როცა ქალაქი მტვერის ზღვას დაემგზავსება და სასეირნო ტროტუარები კი გახურებულ კეცებს; ამ დროს გვენატრება მწვანე მოლზე გასეირნება და მთვარიან ღამეებში საუბარი...

ამ დროს სოფელი მართლაც ბევრი რამით არის საყურადღებო; აქ თავმოყრილია ქალაქში ზედ-მეტი „მუშაობით" დაღლილ-დაქანცული ხალხი, ციხეში ჯდომით არაქათ გამოლეული ყოფილი გამფლანგველები, სპეცგამგეები, ბუღალტრები და უმუშევრებიც, რომლებიც ფიქრობენ დაასვენონ ნაწამები სხეული, რომ მომავალში უფრო ენერგიული იერიშები მიიტანონ სამსახურის აღმოსაჩენათ.

ამ ხანებში სოფელი ხალისიანი თვალით გამოიყურება. ჩამოსულთა „გახურებული მუშაობა", რაც ხშირ ქეიფობასა და მუშტი-კრივში გამოიხატება, „იმედს" გვრის სოფლის გლეხ-კაცობას.

დადგება თუ არა შემოდგომა, სოფელი ცარიელდება; იგი ჩვეულებრივ სვლას მიეცემა ხოლმე,

სწორედ ამ დროს ამუშავდება მარინეს სადგური; მარინეს სოფლებში ცხოვრობენ; სადგურებიც საცხოვრებელ ბინაზე აქვთ მოთავსებული;

ვერცერთი ახლანდელი მეცნიერი ვერ შესძლებს ისეთი რადიო—სადგურის აგებას თუ გამოგონებას, რომელსაც ისე სწრაფად შეეძლოს ხმათა ტალღების მიღება და გადაცემა, როგორც ეს მარინეს რადიო ქორების სადგურს შეუძლია.

ქალაქის რადიო სადგურს დაქირავებული მუშა—მოსამსახურეები უვლიან.

მარინეს სადგურები სულ უბრალო მოწყობილობისაა; ჩვეულებრივი მარინე ზის ქოხის წინ, თუ ავდარია; ხოლო თუ დარია-დადია) და ირგვლივ ახვევია არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილო ელემენტები, მარინე მათ უქვეთებს „მოხსენებას" საერთაშორისო მდგომარეობაზე:

— აფრინკა, გერმანიე, სერბიე (ჩუმი ხმით დარეკავს მარინეს სადგური) თითქმის ყველა სახელმწიფოები კამუნისტებთან ცუდ განწყობილებაში არიან. საცაა.. მიხვდებათ.. გაიგეთ?

წუხელ, რომ ხაეროპლანი გადაფრინდა, შიგ ფარნცუზი მჯდარა და თურმე საქართველოს საზღვრებს ათვალიერებდა!

... ანგლიეს გემები მომდგარა შავზღვაზე.. ჩქარა ვაენობა იქნება.

აქ შესწყვეტს რეკას მარინეს სადგური. არავითარი რედაქციები და გაზეთები, არავითარი გადაწერა-გადმო-

## მეგობრული შარჟი




— ქუთაისის ალმასკომის კომუნალური მეურნეობის გამგის ფიქრები 1926-27 საბიუჯეტო წლისათვის.

---

წერა არ არის საჭირო მარინეს „დეპეშების“ გასავრცელებლად; იგი ვრცელდება ჩუმად და სწრაფად; წუთის განძავლობაში მოედება სოფელს.

გაივლის რამდენი͘ე დღე. „აფრიკა, გერმანიე სერბიე“ და სხვები ბიჯსაც ვერ დგამენ საბჭოთა წყობილების წინაალმდეგ.

ანგლიეს გემები იყინებიან.

მარინეს წრეში უიმედობა მეფდება; მაგრამ უეცრად დარეკავს რადიო-სადგურის აპარატი და ისევ „ახალი და ჭეშმარიტი ამბები“ მოედება სოფელს.

ქალაქში ასეთი სადგურის მოწყობა მარინესათვის ძნელია, რადგან თვალ დანახული სინამდვილე დიდათ ვნებს მისი აპარატის მოწყობილობას; ამიტომაცაა, რომ მარინე პროვინციაში ბუდობს!

მარინეების რადიო-სადგურების და თვით მარინეების, ლიკვიდაცია ძალიან გაცხ[illegible]ლებით მიმდინარეობს, მათ ლიკვიდაციას ხელს უ[illegible]ობენ პატარა მარიკაები, რომლებიც კომკავშირ[illegible]არიან ჩაბმულნი და რომლებიც სასაცილოთ ი[illegible]ინეთა რადიო ჭორებს, რომლებიც მათ[illegible]ებსაც[illegible]თაა მოცვეთილი.

იანო.

## კითხვა-პასუხი.

ქ. ქუთაისში ხვდებიან ბალის კიდესთან ერთი-მეორეს ორი ახლად 9-წლედ დამთავრებული აბიტურიენტები, რომელთაგან ერთი ტფილისელია, და ერთიც ქუთათელი.—

**ქუთათელი:**—ერთი მითხარი, თუ ძმა-ხარ: რა და რა საბუთებია უნივერსტიტეტში შესვლისათვის სავალდებულო, გარდა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკისა, სოციალური მდგომარეობის მოწმობისა, ფოტოგრაფიული სურათისა და მეტრიკული ამონაწერისა?

**ტფილისელი**—უნივერსიტეტში თითქმის მეტი აღარაფერი, მხოლოდ ამხ. ხმალაძესთან (მილიციის უფროსია) ფოტოგრაფიული სურათი გადაღებული სიმთვრალის დროს და ექიმის მოწმობა, რომ თქვენი ორგანიზმი დამშვიდებულად ინელებს კახურ ღვინოს.

ბოლოზა

---



— თუ გაქვთ საბავშვო რამე?
— როგორ არა, არის:—„უშვილობის საშუალება“ და „პროსტიტუცია და ქურდობა ბავშვებს შორის“!

---

## ქუჩაში

**მილიციელი.** (წივილას უსტვენს—ჯოხს ასწევს) ფრთხილად, ნელა იარეთ. როგორ, შენ არ გესმის გაფრთხილება?!

**შოფერი.** წადი, შენი!..

**მილიციელი.** შესდექ!..

**უცნობი.** (გადმოვა ავტოდან—პორტფელით; გაბრაზებულია). რა გინდა?!

**მილიციელი.** შოფერი უნდა დავაპატიმრო, რადგან არ იცავვს სვლის წესს...

**უცნობი.** ის ჩემი ავტოა.

**მილიციელი.** ვისიც უნდა იყოს... (მღერა)

მე აქ ვდგევარ, რომ დავიცვა
ყველგან წესი და რიგი;
ვინც დაარღვევს, წაბრძანდება
მილიციაში იგი.....

**უცნობი.** ვის უბედავ მაგას?!

**მილიციელი.** ნაბრძანები მომაქვს!..

**ქალი.** (ავტოდან) ვასიკო, დუშკა, რას ელაპარაკები მაგ ხეპრეს? ამოდი, ჯერ მე გამაცილე, და... აბა ფეხით ხომ არ წავალ... (მღერა).

**უცნობი.** (ყოყლოჩინობს)

მაცა, ერთი ცხვირში ამოუმტვრიო ამას, რომ
გაიგოს ვისთან აქვს საქმე!..

# მშვენივრად იცვამს



— თქვენ მშვენივრად იცვამთ ქალბატონო. რამდენს იღებს თქვენი ქმარი?
— უკანასკნელათ მან მიიღო 2 წელიწადი და 6 თვე.

(„ბეგემოტი“)

წავლენ.

**მილიციელი.** თვალს გააყოლებს:

ეს რომ არ იცავს დეკრეტებს,
სხვას როგორ დავდო ბრალი;
ყველა ფეხებზე ჰკიდია,
შოფერიცა მთვრალი...

(ისტყდება ჩოჩქოლი, ხმაური, წივილას უსტვენს) რა ამბავია?!

**მეეზოვე.** (მორბის. მხარზე გადებულ ცოცხზე ქალის შლიაპა წამოუგია და ხელში ცალი ტუფლი უჭირავს:)

ო, ხაზეინ, მილისია,
ავტომობილი ბუხკ ქნა;
ერთ ქალს ზედ ფხაჭანი უყო,
ქვეშ ამოდება უქნა...

**მილიციელი.** (გაჰხედავს)

იჟე, მართლა, ისევ,
ის შოფერი მთვრალი;
ქვეშ კი ფეხებ აპლაკული
გდია ვიღაც ქალი.

(გარბიან. წივილას უსტვენს. შემოჰყავთ შოფეოი, რომელიც ძლივს სდგას)

**მეეზოვე.** ტავარიშ მილისია,

დაიჭირე შოფერი...

**შოფერი.** აბა, ერთი გაბედეთ,

თუ შეგარჩინოთ ფერი!...

წადი, შენი... ჰა, თორემ გავაფრინე ჰოპოპკი... მე ბევრი ამისთანები გამიჭყლეტია, მაგრამ... ფოთხილად, თორემ ეხლა შე-ი ჯერია... შუა ქუჩაში რომ დადგები ხოლმე, დატაკება ეხლა ნახე, აი!..

ისევ მილიციელი აშჯობინებს მოშორებას.

**ტარზან-ტანკა.**



# პასუხი



**მასწავლებელი:**—აბა ყმაწვილო—ამიწერე რა და რა საქონელი აწყვია ჩვენს კოოპერატივში?

**მოწაფე:**—ავწერო რა, მე ხომ სასამართლო აღმასრულებელი არა ვარ მასწავლებელო!

# პროვინცია

## სამტრედიიდან

— მოინახულე ტარტაროზ
პარკის სარჩევი ფარდული,
ნახე იქ კატო მიქაძე
კორიკნობაში გართული

—

იქნებ არ იცნობ და ერთხელ
არც კი მოჰკიკრავს თვალია?
მაღალ ქუსლებზე შემდგარს
მას დაბალი აქვს ტანია.

—

ენა კი—მგონი საფრანგეთს
თავის სიგრძითაც გასწვდება—
მისი შხამი და კორები
არც ერთ მუშას არ ასცდება.

—

გაფიცვაც სურდა მოეწყო
მას თავის ბოროტ ენითა—
ფარდული, რომ დაიკეტოსა
თავს არ მოიკლავს წყენითა.

—

და ამიტომ გთხოვ ტარტაროზ
შენ სამტრედია არ ნახო—
თუ კარგა ლაზათიანად
კატო არ გაამათრახო!

იქს კვადრატით.

## შილდა

(თელავის მაზრა).

თუმც მართალია ტარტაროზ
ვერ გიცნობ ახლოს კარგადა,
ვერ გაგიცადე ერთხელა
ჩემს თვალის დასანახადა;
მაგრამ საქმეა ისეთი
უნდა გაცნობო ჩქარადა;
სანამ გნახავდე პირადათ,
ნახე თელავის მაზრაცა.
თელავის მაზრაში არის
სოფელი შილდა—დიდია,
ღვინო და პური ბევრია,
მუდამ ჟამს სუფევს ლხინია.
სახალხო სახლიააგეს
მაგრამ ენგრევათ თავზედა—
მის შეკეთებას არ ფიქრობს
არავინ ქვეყანაზედა.
მხოლოდ ზრუნავენ მუცელზე,
კუჭს არ მოაკლონ ლხინია,
სახალხო სახლის შენება
მათ ფეხებზედა ჰკიდიათ.
ახლა შენა გთხოვ ტარტაროზ
გადმოიხედო ჩვენსკენა
და ჩვენ უქმ ინტელიგენტებს
ჩანგალი მოსდო ყელზედა.

ძირხვენა.

# თავისუფლების მოედანი ანუ



# გაჩერება ანუ „ასტანოვკა“.

აშენდა თქვენი ოჯახი! თქვენ რომ ქვეყანაზე არ გაეჩინე ადამიანს, ისე ტფილისში არავინ გამაჩენდა და მეც ხანდისხან ორიოდე გროშს უშენოთ არავინ გამიჩენდა ჩემო ძვირფასო ტრამვაის ვაგონებო.

რაშია საქმე, გამაგებინე—მეკითხებით თქვენ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ, საწყალ იუმორისტებს დავალებული გვაქვს ხანდიხან დავწეროთ რაიმე და სამაგიეროთ გონი რაღაც ავიღოთ. მერე?

მერე და სწორედ ამ რაიმეზეა საქმე. თქვენ ჩემო ვაგონებო, თავისუფლად დასეირნობთ ტფილისის ქუჩებში და არ იცით თუ რა ძნელია თემის გამონახვა: მართალია კი უნდა დასწერო, მარა რაზე გინდა დასწერო, ყველაფერი დასწერეს და გადასწერეს ასი ათასჯერ. საჭიროა კიდევ ახალი თემა. თქვენ კი, ჩემო ზუზუნა ვაგონებო, ყოველთვის შეგიძლიათ ამ ახალ თემის მოცემა. ხან ვატმანის შესახებ გვაწერინებთ, ხან კონდუქტორის, ხან ადმინისტრაციის და სხვ და სხვა.

დღესაც, სახლში რომ მოვდიოდი, იმას ვფიქრობდი: „კი მართალია, უნდა დასწერო ტარტაროზისთვის რაიმე, მაგრამ რაზე უნდა დასწერო? ეს არის საქმე.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ მივადექი თქვენი-ტრამვაის ვაგონების გასაჩერებელ ადგილს.

ბევრი ვიცადე, თუ ცოტა ვიცადე—თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ რამდენი ლოდინიასაჭირო, სანამ თქვენ გამოჩნდებოდეთ საჭიროების დროს, გამოჩნდა ერთ-ერთი თქვენგანი,—ტრამვაის ვაგონი. მოვემზადე ჩასაჯდომათ. მომიახლოვდა, ჩამომიარა და წარმოიდგინეთ! არ გაჩერდა და ამით დაარღვია ტრამვდისციპლინა. მე მოვიმზადე კალამი ვატმანის საწინააღმდეგოთ, რომელიც ასე არღვევს ადმინისტრაციის განრიგებას,-არ აჩერებს ვაგონს დანიშნულ ადგილას, მოვიმზადე და უცებ შევხედე ბოძს, რომელზედაც წუხელის დიდი ასოებით ეწერა: **გაჩერება**: დღეს ეს წარწერა წაეშალათ. დაღონებული ავყევი ქუჩას.

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ცოტა ხნის შემდეგ მივადექი ბოძს, რომელზედაც ახალი საღებავებით წაეწერათ; **გაჩერება**. დავდექი და დაუწყე ლოდინი ვაგონს.

ბევრი ვიცადე თუ ცოტა ვიცადე (ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ თუ რამდენს უცდის მგზავრი ტფილისში ტრამვაის ვაგონს), მოსდგა და დადგა ვაგონი. მეც მივედი და ჩავჯექი.

მეორე დღეს კიდევ მომიხდა ტრამვაით გასეირნება. მივედი იმ ადგილას, სადაც გუშინ ახლად წარწერილი. იყო **გაჩერება**.

თქვენც არ მომიკვდეთ ვაგონებო! მრავალმა თქვენგანმა ჩამოიარა, მაგრამ არ გაჩერდა ახალ გასაჩერებელ ადგილას. ცხადია, მომივიდა გული. კიდევ მოვიმარჯვე კალამი საწერად და ამ დროს შევხედე ბოძს... ჰოი, საკვირველებავ! სიტყვა „გაჩერება“ აღარსად სჩანდა. ვაგონის გასაჩერებელი ადგილი კიდევ გამოეცვალათ. ავდექი და ავყევი ქუჩას.

ბევრი ვძებნე თუ ცოტა, ერთ მშვენიერ სახლის წინ ვიპოვე ბოძი წარწერით: **გაჩერება**. თურმე აქ გადმოეტანათ ვაგონების გასაჩერებელი ადგილი.

ავდექი მეორე დღეს. წავედი და მოვნახე გუშინდელი „სტანცია“. ჰოი, საშინელებავ; იგი კიდევ გამოეტანათ, კვლავ მომიხდა ძებნა. ვიპოვე კიდეც ახალი „ასტანოვკა.“

ავდექი მეოთხე დღეს: კიდევ გამოეცვალათ!

ავდექი მეხუთე დღეს: კიდევ შეეღებათ ახალი ბოძი.

ვაგონებო; მიპასუხეთ-რატომ იცვლით ასე ხშირად „ასტანოვკებს“-გასაჩერებელ ადგილებს?, მაგ ბოძების ღებვა და ახალი წარწერების ხატვა ხომ ფული ჯდება?

ვაგონებო დაიმახსოვრეთ, ამოირჩიეთ ერთი და იგივე ადგილები და ყოველთვის იქ გაჩერდით.

შეიბრალეთ ვაგონებო მგზავრიბი. ჩვენ, ჟურნალის ტარტაროზისტები სხვა თემას მოვნახავთ.

**თქვენი ტერსიტი.**





**სლივას:** — თქვენ იწერებით:

— „სუფსის წყალი, რომ გადაიაროს
ანგრევს თავის ნაპირებს,—
ამისათვის რკინის გზაი
თვის, გზის დაცვას აპირებს“!

გვაცნობეთ—გზის დაცვას აპირებს თუ თვისას. თუ თვისას—რომლისას—მარტისას ხომ არა? ამ თვეში იცის ხოლმე წყალმაც და... კაცმაც შექანჯალება.

**ჭინათელს:**—თქვენ ასე ასწერთ ესოფის ჩხუბს:

— „ღრმად მოხუცებულს ესოფის
ნათლიამ ზურგზე ურტყაო,
ენაც არ გაანძრევინა
ამ საცოდავმა რაც სთქვაო“.

გლახა საქმე უქნია ესოფის ნათლიას:—მართლაც და, ჩხუბი რა კარგი საქმეა, რტყმევაც არაა რიგიანი საქმე, მაგრამ... ცუდი ლექსის წერაც ურიგოა.

**მინეს:**—უცნაურ ამბავს იწერებით:

— „ვინ არ იცნობს ბესა ბიჭსა
პეროჟნივით ენა ტკბილსა,
მისი საგმირო საქმენი
მთელმა ფოთმა კი იცისა“.

პირველად გვესმის, რომ „პეროჟნის“ ენა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში—ალბად უენოთაც შესაძლებელია ლაპარაკი, რაკი ლექსების წერა უნიჭოთაც შესაძლებელი ყოფილა.

**მარნელ ისარს:**—თქვენ გვთხოვთ:

— „ტარტაროზო გთხოვთ გადახედოთ
გაასწოროთ ყველა წელში,
რომ სიფრთხილე იქონიოს
თავის ცხოვრების ყველა დღეში“!

ეს უკანასკნელი სტრიქონი ალბად მოპარული გაქთ, თორემ დავიჯეროთ იგი თქვენი საკუთარი „ავლა-დიდებაა“?

**ბალოს კოლაუს:**—გლდანში წასულ არტისტებზე გვწერთ:

— „ახლა ჩემო ტარტაროზჯან
ცოტა ხანით აქ გავჩერდეთ,
და არტისტების მგზავრობას
ყური დაუგდოთ, გავჩუმდეთ“!

ცოტა ხნით თქვენც დაგვიგდეთ ყური, გაჩუმდით და გაგვიგონეთ:

— არ ვარგა თქვენი ლექსები და ნუ იწუხებთ თავს მისი წერით, ხოლო ჩვენ კიდევ ნუ გვაწუხებთ—კითხვით!

**ფუნიკულიორის რესტორან „ედემის“ მეპატრონე ალფეზ ფანჯარაძეს:**

თქვენ იძლევით განმარტებას:

— „ჩვენი რესტორანი „ედემი“ მუშაობს იმ ფარგლებში და იმ ფასებით, რაც ფასები არსებობს ყველა სხვა პირველხარისხოვან რესტორანებსა და კლუბებში.
სატირა მიტომ კი არ არსებობს, რომ პატიოსანი მომუშავენი ტალახში ამოსვარონ“!

რა გნებავთ მოქალაქე ფანჯარაძევ ჩვენ ვერ გაგვიგია: —თქვენ „ედემში“, რომ პირველხარისხოვანი ფასები არსებობს, ეს ჩვენც აღვნიშნეთ, ხოლო რომელ „პატიოსან მომუშავეებზე“ ლაპარაკობთ არ ვიცით—„ეს პატიოსანი მუშაობაც“ ხომ თქვენ სამაზრეულოში არ კეთდება? თუ ასეა—გვაცნობეთ ამ პატიოსნებაზე ფასები პირველხარისხოვანია თუ დაცემული?

**შ. მესხს:**—იშვიათად სასარგებლო აზრი მოგსვლიათ:

— „აღარა ვარ მე პოეტი,
ლექსის წერა მიძნელდება
კარგი ლექსი, რომ დავსწერო
დიდი შრომა დამჭირდება“.

კი, მაგრამ—შემდეგ რაღამ შეგირყიათ თქვენი გადაწყვეტილება, რომ იწერებით: —

— „მაგრამ შრომა არ დავზოგე,
გავხდი ერთ დღეს მე პოეტი.
დიდი შრომა დავხარჯე და
დავწერე მე ეს დეკრეტი“!

ტყუილა შეგიწუხებიათ თავი, დეკრეტიც ტყუილა დაგიწერიათ—არც თქვენი პოეტობიდან და არც ამ დეკრეტიდან ჯერ არაფერი გამოდის უშინაარსობის მეტი.



# ქარი და ბერი.

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,—
დაეცა ლოცვა და პოეზია“...
ს. აბაშელი.



**მღვდელმთავარი:** — კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე!...
**ს. აბაშელი:** — აააააამინ!

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

№ 66

კვირა, 19 სექტემბერი, 1926 წ.




პირში მოსულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?

# ტრამვაიზე




კაცი:—დიდი ხანია უცდით?
ორსული დედაკაცი:—სულ მეშვიდე თვეა!

# „ნეუდარნი“ მგზავრობა

კვირის გათენება, ჯამაგირის მომატებასავით მიხარიან, მეტადრე თუ ორშაბათიც უქმე ახლავს! შორს სად უნდა წავიდე, მაგრამ ბათომიდან ჩაქვამდე ყოველთვის დავიარები.

ბილეთი ხან მჭირია და ხან არა, ბათომში დასაბრუნებლად თითქმის არა დროს არ მინდა, იმიტომ რომ სადგურში არ გაგიშვებენ მხოლოდ უბილეთოთ, თორემ მატარებელში ნება გაქვს იყო. აბა ისე სულელი ხომ არ ვარ, რომ საბარგოში ვერ ჩამოვხტე და სადგურამდე ჩავყვე?

როგორც ყოველთვის, გასულ კვირასაც შევძვერი ვაგონში. ხალხი ბუზებივით ირეოდა, ზოგი სავსებით გაშიშვლებულიყო, ზოგს კიდევ მარტო სასირცხვო ალაგი დაეფარა.

— თქვენ სად მიბრძანდებით?—შევეკითხე მორიდებით ჩემ წინ მდგარ ქალიშვილს, რომელიც ისეთ თხელ სამოსში იყო გამოწყობილი, რომ თითო ღერი ბეწვს დათვლა შეიძლებოდა მის სხეულზე.

— ჩაქვში—მოკლედ მიპასუხა მან.

— სადაური ბრძანდებით?

— ბათომელი.

— რამდენი ხანია ცხოვრობთ ბათომში?

— დაბადების შემდეგ.

— რა ერლვენების ხართ?

— რუსი.

— ქართული არ იცით?

— Вот странно? რა საჭიროა რომ ვიცოდე?

— არაფერი, ისე შეგეკითხეთ.

ჩვენი ლაპარაკი ჩინეთის ჯარსავით გადადიოდა აქეთ-იქეთ. ხან მთვარეზე ვლაპარაკობდით, ხან მზეზე, ზღვაზე, ხმელეთზე, რომზე, მოთხრობაზე, სცენაზე, ოპერაზე და რავიცი. ბოლოს იმდენად შევტოპე მის ალერსში, რომ თვალში არავინ მიჩდა და ხელების ათამაშება დავიწყე. „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“ ნათქვამია, მაგრამ ამ დროს დაღამება და ბნელი ღამე უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა სწორედ და მეც ამ ღამეზე ვოცნებობდი, რომ მატარებელმა შეიკივლა და მწვანე კონცხის გვირაბში თავი შერგო.

— ეხლა ერთ მოხვევას მაინც მოვასწრებ მეთქი ვფიქრობდი მე და ჩიტივით მიკანკალებდა გული.

— სიბნელე სწორედ ასეთ დროს არის კარგი! ოცნებამ იმდენეთად გამიტაცა, რომ კარგა დაბნელებამდე გონს ვერ მოვედი.

— აბა მალე მოეხვიე თორემ ვერ მოასწრობ—მითხრა ერთმა გრძნობამ და გაშლილი ხელები მაგრად მოვხვიე თეძოებზე და მკერდზე მოვიკარი.

— არიქა, ქურდი!—იყვირა ვიღამაც. ცალი ხელი მკლავში მტაცა და მეორე ისეთი გამაწნა, რომ ხელში არ ვყოლოდი—ყირამალა გადავვარდებოდი. მატარებელი ამ დროს გვირაბიდან გავიდა და ჩვენი ვინაობა საზოგადოებას დაანახვა. მე ხელში ვყავდი დაჭერილი ვიღაც შუახნის კაცს, ქალიშვილი კი იქ არ ჩნდა. ქვეყნის თვალი ჩვენ შემოგვცქეროდა.

— აი, ბატონებო ქურდი დავიჭირე. გაცარცვა უნდოდა.—ხვნეშით ამბობდა ჩემი დამჭერი და ძალლივით მიბღვერდა.

— შევედით თუ არა გვირაბში, მაშინვე მეცა, მაგრად მიმიზიდა და ჯიბეებისკენ მიქონდა ხელი, რომ მარჯვეთ არ დავხვედროდი გამცარცვავდა—უხსნიდა ის ხალხს. ყველას თვალი ჩემკენ მოემართა, ყველა მაგინებდა, ყველა მკიცხავდა და მე კი ლენჩივით აქეთ-იქეთ თავს ვაქნევდი, თითქოს მადლობას ვეუბნებოდი ხალხს.

საღამოს მილიციაში ოქმს ადგენდენ, მაგარ დასკვნას ამზადებდენ.

მეორე დღეს გამომძიებელს შემდეგი ოქმი მიუჩიდა:

— „როგორც მტკიცდება გამცხადებელ ბაკუშვილის სიტყვებიდან, ბრალდებულ ხვანჯგიას მოუნდომებია მისი გაცარცვა, რაც გათვალისწინებულია ამა და ამ მუხლით. ჩვენს მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ მოქალაქე ხვანჯგია მეგრელი უნდა იყოს და ამას გარდა გამოცდილი ქურდი და ყაჩაღიც“.

გამომძიებელმა ხელმეორედ დამკითხა და როგორც იქნა სიმართლე აღადგინა. შემდეგ ბაკუშვილმაც დაადასტურა ჩემი ჩვენება, ბევრი იტირა, რომ ასე ულმობლად მომეპყრა. მაგრამ რაღას იზამდა. ეხლა რომ თავისუფალი ვარ—მიკვირს როგორ დავახწიე თავი იმდენ ბრალდებას. ეს მიქნა ჩაქვში გასეირნებამ.

პ. ობოლი.



# გ ა რ ე წ ა რ ი

— იხვაძეზე ლაპარაკობთ არა? ივან ივანიჩზე? ო, ნუ დაენდობით მას! იშვიათი „ჟულიკია“! გარეწარი!

მობაასე ზედმეტი მღელვარებისგან კიდეც წამოდგა იხვაძის ხსენებაზე.

გარშემო ყველა დაინტერესდა.

— როგორ — იხვაძე „ჟულიკი“, გარეწარი? რას ბრძანებთ? შეხედულებით იგი წესიერი, საქმიანი ახალგაზრდაა! რითღაა გარეწარი?

— ყური დამიგდეთ, — განაგრძო პირველმა, — მოგიყვებით რა ოინები დამმართა. მე მას, უნდა მოგახსენოთ, კაი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ 18 წელში ერთად ვმუშაობდით. ერთხელ ჩემთან მოდის იგი.

— გამარჯობათ, — მეუბნება.

— გაგიმარჯოსთ!

— თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს!

— მაინც, რას შეეხება?

— არაფერი, უსაქმოდ, უადგილოთ ვარ დატოვებული...

— ჰოო! — ვეუბნები — მაგ ხაზით არაფრის გაკეთება მე არ შემიძლია.

— სამწუხაროა, — მეუბნება: — პირდაპირ აღარ ვიცი რა ვქნა, რა გზას დავადგე!

— რა ვუყოთ, მოეწყობით როგორმე!

ამაზე იგი მიპასუხებს:

— ძალიან ძნელია მოწყობა! მხოლოდ უმუშევარი, რომ ვიყო — კიდევ არაფერი, მაგრამ... ეეხ, აღარ ღირს ლაპარაკი!..

და ხელი ჩააქნია.

— ბოლოს და ბოლოს რა დაგემართად, რა უბედურებაა თქვენს თავზე ასეთი? — ვეკითხები.

მან თავი დახარა, მაგიდას გადმოსწვდა და ჩამიჩურჩულა:

— ფული და-მა-კ-ლდა! ოთხი ათასი, დიახ!

გამეფდა სიჩუმე.

— კი, მაგრამ, როგორ დაგემართათ?

— გავერთე! — მიპასუხა და უიმედოთ ჩააქნია ხელი.

— და წარმოიდგინეთ — პირველად მომდიოდა. მოგებასაც ვიყავი. შემდეგ, მივდივარ როგორღაც და — ერთი კარტი მომიკლეს, მეორე მომიკლეს. ზედიზედ ათჯერ მომიკლეს კარტი! არა თუ სახაზინო, საკუთარი ჩემი 68 მანეთი გამეპარა ხელიდან!

— ო, რა უბედობაა! — ვამბობ მე.

— დიახ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ გამოვიბრუნებ. ორი წელიწადი ვთამაშობდი. ჩემი ფული მართლაც დავიბრუნე, ხოლო სახაზინო...

და კვლავ მწარედ ჩააქნია ხელები.

— უნდა მოგახსენოთ მეც ადამიანი ვარ და ძალიან შემეცოდა. სწორედ ამიტომ მივმართე იხვაძეს კითხვით: — კი, მაგრამ მალე აღმოაჩინეს ეგ ამბავი?

— იმწამსვე. ორი წლის შემდეგ დამეცა რევიზია და...

— დასწყევლოს ეშმაკმა, ეგ რა უდროვო დროს დაგსხმიან თავზე!

— დიახ, ბედისწერაა ყველაფერი! მაგრამ, ვფიქრობ — ქვეყნად კეთილი ხალხი არ გადაშენებულა. არიან ხომ ისეთებიც, რომლებიც მდგომარეობაში შევლენ ან, მაგალითად მე ვფიქრობ, რომ თქვენ...

— კარგი! — გავაწყვეტიე სიტყვა, — რაკი ეგრეა შემოიტანეთ განცხადება!

ამბის მომყოლი ამ სიტყვებზე წამოდგა და გამწარებულმა მუშტი დაჰკრა მაგიდას.

მსმენელთა შორის შეიქნა თანაგრძნობის ჩურჩული. ერთმა კი როგორღაც წარმოსთქვა:

— არ მესმის... თვითონ თანაუგრძნეთ ადამიანს და შემდეგ თვითონვე უწოდებთ მას „ჟულიკს“ და გარეწარს! ადამიანს გაჭირვება შეხვედრია. ვის არ შეხვდება უბედურება რამე?

— როგორ? — გაოცებით იკითხა ამბის მომყოლმა, — თქვენ გგონიათ მე ჩემი მაშინდელი თანაგრძნობა მაწუხებს? მე ამაზე კრინტსაც არ დავძრავდი! მაგრამ თქვენ იცით მე იმან რა მიქნა? როგორ, თქვენ მართლა გგონიათ, რომ მას სახაზინო ფულები შემოეჭამა? სულაც არა. მან იცრუა. იცრუა თავიდან ბოლომდე! თავის ფულის შესახებაც იცრუა და სახაზინო ფულების შესახებაც, რომ ამით როგორმე სამსახურში შემომძვრალიყო!

არც ადგილიდან გაუგდიათ, მხოლოდ შემცირებაში მოჰყოლოდა, არც ერთი კაპეიკი იმ გარეწარს არ გაუფლანგავს! იგი მატყუარა და გარეწარი აღმოჩნდა, დიაღ, გარეწარი!

—ა.

# ჩვეულებრივი მოვლენა



— კაცო, შენ და პორტფელი? რატო აქამდე არ ატარებდი?

— ნუ გიკვირს, მეგობარო, — ეხლაც აბანოში ვიყავი!

# მეგობრული შარჟი



ეს რაღა უბედურებაა! გამოუხატავსთ ჩვენი მოლარე სალაროდან ფულის გატანის დროს!
— მერე, რა არის მანდ სათაკილო? ეს ხომ, ისე.. მეგობრული შარჟია!

# აპენდიციტი

როგორ გაუჩნდა ჩემ ცოლს აპენდიციტი!

მართალი გითხრათ, აპენდიცენტი მას თავის დღეში არ გაუგონია და არც არაოდეს გაუჩნდებოდა, რომ იგი მოდათ არ შემოსულიყო.

იქნება თქვენ კიდეც გაგიკვირდათ:

— რის მოდა, რა მოდა, სად აპენდიციტი და სად მოდა. ესეც „ჟერსეს“ კაბა ხომ არ არისო.

საქმეც ეგ არის, რომ მოდაა და ამ მოდამ, ისევე, როგორც სხვა მოდებმა, ჩემი ჯიბე, ჯამაგირი, გამოსარჩენი და გამოსაფხეკი სულ ერთად გამოიფხიკა და ახლა მოდა კი არა, სოდაც არ მეშოვება.

როგორ იყო საქმე:

— თქვენ და ყველა ჩემგანს კარგად მოგეხსენება, რომ მდედრობითი სქესი მეტად დაინტერესებულია მოდებით და თუ ერთმა რაიმე არაჩვეულებრივი ჩაიცვა, ყველა იმას ბაძავს, ერთმა რომ ფესი ამოიგდოს და კოჭლად გაიაროს, ყველა აკოჭლდება, საჭიროა მხოლოდ, რომ ეს აკოჭლება პირველად წამოიწყოს მოდებში ავტორიტეტულმა პირმა.

ერთ დროს იყო და ჩემი ქალბატონი „ჟერსეს“ კაბის გულისათვის თავს იკლავდა: ყველამ შეიკერა და მე ცალიერი ვარ, ჩემი ქმარი თავს არ იწუხებს ჩემი გულისათვისო.

აედექი და ვუყიდე. კარგი ბიჭი ხარ და ნუ იყიდი,— იმდენს მოგიხერხებს, რომ „ჟერსეს“ კაბას კი არა, ვგონებ ჟერსეს ფირმის ბჭეებთან მიგიყვანს.

ცოტა ხნის შემდეგ გავარდა ხმა, (ხმა რასაკვირველია გაიგო იმავე ჩემმა სოფიკომ) კონდრაბანდა შემოსულა, შევიოტი № 1001, მშვენიერი საკოსტუმეებიაო. ეს ამბავი ჯერ გაკვრით სთქვა სოფიკომ; გავიდა რამდენიმე დღე და სახლში, კარზე მომაყენა ინდიკოში გამოწკიპული ქალი, მისი მეგობარი როცა ის ქალი წავიდა, სოფიკომ ამოოხვრით სთქვა:

— იცი, ალმასხან, რამდენს იღებს ჯამაგირს იმ ჩემი ამხანაგი ქალის ქმარი?

— ეს ჩემთვის სრულებით არ არის საინტერესო, უპასუხე მე.

— მაინც, ნუ თუ ასე გულცივად ეკიდები შენჩემ მეგობრებს, რა დიდი საქმე იქნება, რომ იმ ქალის ჯამაგირის რაოდენობა გაიგო?

— არ მინდა ბატონო და ხომ არ ჩამოშასჩობ? — გავჯავრდი მე, რადგანაც მივხვდი, საითკენ უმიზნებდა სოფიკო.

— გინდა, არ გინდა ეს ჩემი საქმე არ არის. მაინც გეტყვი: მაგ ქალის ქმარი თვეში იღებს ცხრა თუმანს.

— ძალიან კეთილი. სხვა ხომ არაფერი?

— სხვა არაფერი, ოღონდ ის მითხარი, დაინახე რა ეცვა იმ ქალს?

— ადამიანო, თავი დამანებე—რა ჩემი საქმია ვის რა აცვია?

— არა, მაინც თუ დაინახე?

— დამანებე თავი მეთქი!

— კი დაინახავდი.

— არ დამინახავს.

— თვალს მაინც მოკრავდი.

— ზედაც არ შემიხედავს.

— სრულებით არა?

— არც ერთი წუთით.

— მაშ მართლაც არ გეცოდინება რა ეცვა?

— არც მინდა ვიცოდე.

— მე მაინც გეტყვი.

— გთხოვ არ გამაგონო...

— არა, უნდა გითხრა...

— არაფერი არ მესმის.

— არ გესმის რომელია! გესმის კი არა შენისთანა ყურმახვილი მეორეც არ მოიძებნება. იმ ქალს, ჩემო კარგო ეცვა ზაგრანიჩნი ინდიგო, კონტრაბანდა.

— ჩაიცვას, მე რა მესაქმება.

— ძალიანაც გესაქმება. რამდენს იღებ შენ ჯამაგირს?

— რას ვიღებ, რაღაც ხუთმეტიოდე თუმანს...

— მაშ მოიტა ექვსი თუმანი.

— რატომ?

— იმიტომ. რომ ამდენი ხანია ბუსგალტერი ხარ და უბრალო გამოკლება არ იცი? ხუთმეტს, რომ ცხრა მამოაკლოთ, რამდენი იქნება?

სრული სიჩუმე.

— არა, მიპასუხე რამდენი იქნება? ცბიერად გეკითხება სოფიკო.

ყალიონს ვაბოლებ. ისევ სიჩუმეა.

ბუხი გაფრინდა. ცხადათ გავიგონეთ.

— მიპასუხე რაღა, არ გინდა იანგარიშო? მე მოგახსენებ: —15 თუმანს, რომ ცხრა თუმანი გამოვაკლოთ, იქნება ექვსი.

# სხვადასხვა წრეების მუშაობა სამაგალითო კლუბში





2—სიმღერა—გალობის წრე...



3—მორიგი ლექცია...



4— ფიზკულტურა.

## კლუბის გამგე კი ამ დროს:




— ან სვამს,




ან სძინავს,




ან სულ არაა კლუბში!

# ქ ე ბ ა




— ისეთი მშვენიერი, პატიოსანი და ნიჭიერი კაცი, როგორც ჩვენი მდივანი, მე ჯერ არ მინახავს!..
— მოკვდა თუ?!
— რათა გგონია?!.
— რა ვიცი, ძალიან კი აქებ და...

— აი და მალადეც! ყოჩაღ შენს ქალობას!—ვითომ ვხუმრობ მე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ქალი აღარ მომეშვება.

— დიაღ, მალადეც, იმ ქალის ქმარს ცხრა თუმანი აქვს ჯამაგირი, მაგრამ მაინც უყიდა ცოლს ინდიკო; შენ ხუთმეტი გაქვს. მაშასადამე ექვსი თუმანი მეტი, რომელი თანხაც მე უნდა ჩავიბარო.

— კი მაგრამ...

— არც ერთი სიტყვა. ნიკაკიხ ვოზრაჟენიი!

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი, სად არის ინდიგოს ფული...

— შენ გაქვს; არ შემელაპარაკო, თორემ ისტერიკა მომივა!

— სოფიკო ჯან!..

ვაიმე-ე-ე ისტერიკა მომდის... მომაძახა ჩემმა სულის კლაპიტონმა და ლოგინზე წაიქცა.

გავიდა სულ რაღაც ერთიოდე თვე.

ჩემი მეუღლა, ჩემი სოფიკო ინდიგოს კოსტიუმით დაპარპაშობს. გული საგულეს მაქვს. აწი რაღა მიშავს. ინდიგო უყიდე. ორ-სამ წელიწადს უზრუნველყოფილი ვარ. ამაზე უკეთესი მოდა საიდან უნდა შემოვიდეს.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ გვესტუმრა ისევ ის ქალი, სახელად ვგონებ თინა ერქვა.

მოვიდა და დამცხელა ტანში. შევხედე თინას ახალი კოსტუმი აცვია, სულ სხვა ფერის და ყაიდის, ვიდრე ინდიგო. სოფიკო მხიარულად შეეგება და ხანგრძლივად ესაუბრა.

ბოლოს, როცა თინა წავიდა, სოფიკო მე მომიბრუნდა.

— იცი, საწყალი თინას ქრმისთვის ჯამაგირი დღემდეც არ მოუმატნიათ.

— მერე რა უყოთ,—უპასუხე მე გულგრილად.

— შენ ხომ მოგიმატეს?

— ორი თუმანი მხოლოდ.

— თინას ქმრისათვის კი კაპიკიც არა.

— რა უყოთ.

— მიუხედავათ აშისა, დაინახე თინას რა ეცვა?

თავბრუ დამესხა. წარმოვიდგინე რაშიც იყო საქმე. ქუდს ხელი დავატანე.

— სამსახურში მიმეჩქარება. სვერხუროჩნი სამუშაო მაქვს.

— მით უკეთესი, მეტ ფულს გააკეთებ. თინას კაბა მოგეწონა?

ვითომც ვერ გავიგონე.

— ჩაიზე ნუ მიცდი, შეიძლება დამაგვიანდეს.

— ეგ არაფერია. ხომ იცი თინას რა ეცვა ამ სალამოს? თავს ნუ იკატუნებ...

მე უკვე ქუჩაში ვიყავი და მივრბოდი.

— ტყვილად გარბიხარ, მომაძახა სოფიკომ. თინას ეცვა კოვერკოტი. კარგად დაიმახსოვრე: კოვერკოტი. სხვა შენ იცი,—მომძახოდა უკან.

რაღა ბევრი გავაგრძელო. ერთი თვის შემდეგ სოფიკომ ავანსი ამაღებინა და კოვერკოტი იყიდა.

ამას შემდეგ სოფიკო ხშირად წამოიწყებდა თინას, ან ზინას, ან დუნიას ამბავს.

— იცი, ალმასხან, ზინას ახალი პუდრი უყიდია.

— დამანებე თავი თუ ქალი ხარ, თავი მტკივა.



,,ვირს რომ ზურგი აქავდება, საბაჟოს კარს მიადგება‘‘

— რა უყოთ მერე, ამზის თქმა თავის ტკივილს არ უშლის, იცი რა უცნაური სახელი ქვია იმ პუდრს?

— თავი დამანებე ადამიანო? პუდრი კი არა, შენ-ხელში საკუთარი სახელიც მავიწყდება.

— მშვენიერი პუდრია. სახელად ქვია მობეგანი...

— მოგბეგვა შენმა გამჩენმა!

— მე უნდა ვიყიდო ის მობეგანი.

— მანამ ნურას ჭამ.

— კიდეც ვჭამ და კიდეც ვიყიდი. ხმა, კრინტი არ გავიგონო, ცუდ ხასიათზე ვარ. შენ კიდევ აქ მაბრაზებ!—და-მილრინა სოფიომ და გარედ გავიდა.

მობეგანმა არ დააყოვნა მოსვლა. მესამე დღეს სოფი-კო მობეგანით შეიარაღდა.

ცოტა ხნის შემდეგ:

— დუნიას ახალი საკოსტიუმე უყიდია ტრიკოტი.

— ტრიკოტი კი არა ანტრიკოტი. ხმა არ გამაგონო! შევყვირე მე.

— რამდენიც გინდა! იმდენი იყვირე. ტრიკოტი ენი-იკოტი დარჩება.

მე უტრიკოტოთ ვერ გაუძლებ. გადაწყვეტით მითხრა ჯალათმა.

ავიღეთ ვალი და იყიდა ტრიკრტი. ყელამდი ვალე-ბში ვარ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ თითქოს მეხი დამეცა.

— იცი, ალმასხან. თინას აპენდიციტი შეუძენია.

— საცოდავი თინა! მერე?

— მერე და ზინასაც ქონია ასეთივე აპენდიციტი.

— საწყალო ზინა...

— დუნიასაც აპენდიციტი აქვს თურმე.

— მერე?

— საშინელებაა! მერე?

— არაფერიც. გულს ნუ იხეთქავ. თინაც, ზინაც და დუნიაც საავადმყოფოში წვებიან აპენდიციტის გული-სთვის,

— დაწვენ მერე. შენ რა?

— თავს ნუ იკატუნებ, მე უაპენდიციტოთ ვერ გავ-ძლებ, მე მათზე ნაკლები ვარ?

— ქალო, აპენდიციტი ავადმყოფობაა!

— იყოს.

— შეიძლება მოკვდე კიდეც ოპერაციით.

— არა უშავს. ყველას აქვს აპენდიციტი. მე ვითომ რა ვარ ეგ რომ ადამიანისთვის მავნებელი იყოს, ამდენ ხალხს არ ექნებოდა- რაც ინტელიგენტი ხალხია, ყველას აპენდიციტი აქვს, მე რითა ვარ ნაკლები. სოფლიდან რომ ვართ ჩამოსული იმიტომ თუ?

— სოფიკო ჯან...

— ხმა არ გამაგონო, თორემ თავს მოვიკლავ. ან აპენდიციტი, ან განშორება, მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. რამდენ რამეს ვიკლებ შენი ხათრის და სიყვა-რულისთვის. აწას ვეღარ მოვიკლებ.

— ადამიანო, ესეც კონდრაბანდი და მოდა ხომ არ არის?

— ეს მე არ შემეხება. მე აპენდიციტი მაქვს, მორჩა და გათავდა.

— მერე?

— მერე და საავადმყოფოში უნდა დავწვე.

— სადა?

— კერძო პროფესორთან საავადმყოფოში.

— ფული?

— ფული შენ გექნება.

მოლი და ელაპარაკე, დაუშალე, არ დაიშალა, ვეხ-ვეწე—არ შეისმინა, გაუჯავრდი, ისტერიკა მოუვიდა;— აპენდიციტი მოდაა, ვერ მოვიკლებო.

ამ ჟამად საავადმყოფოში წევს სხვა ამხანაგ ქალებ-თან აპედინციტიანებთან ერთად.

ჰოი მოდავ! სულიერი იყო, უსულოდ გაგხდიდი, მაგ-რამ რა უყო?

**ბოლარ-ალლარსან.**

# თანამედროვე



1—ყველამ ერთხმად დაასახელა და აირჩიეს კოოპერატივის თავმჯდომარეთ!



2—ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ამრჩევლებს მადლობა გადაუხადა და... დღეგრძელობა უსურვა!



3—„უკეთესია ც[illegible]ა კარგი“! მანაც მოსპო ჩითები, და დასტოვა:—აბრეშუმი, ჩლუქი „ვიქტორია“, ლორიგანის პუდრი;

# ე რ თ ე რ თ

(სცენები)

„ლურჯი ხაალათის“ რეპერტუარისთვის

დარაჯი—აბა, ხალხო, აქ არ
შეიძლება დგომა,
თუ არ გსურთ ჯარიმა
გადიხადოთ რომა.. (პაუზა),
აბა, ჩქარა მანეთს
გადაიხდი ძმაო...
მოქალაქე—რათა?
დარაჯი—რიგში დგომის დროსა
პაპიროსის წევა?! (წარწერაზე ანიშნებს)
თქვენისთან კაცსა
არ შვენის ეგ ქცევა...
მოქალაქე—(ნამწვს გადააგდებს)
დარაჯი—ნამწვს ძირს აგდებ?
ახლა გადიხდი სამ მანეთს!
მარა, მაცა, ვგონებ
ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს... (ხელს გაუყრის მკლავში, მიჰყავს)

1. მგზავრი—წაიყვანა, ხო... ხო...
ააშვლიპავს ნაღებს...
მაგრამ ეს მოლარე
ფანჯარს რად არ აღებს?...

ქალი—მას რა ენაღვლება,
დე იდარდოს მგზავრმა;
ველარ ვუცდი, ლამის
მომკლას ამის ჯავრმა.

ვაჟი—მოლარე, ბილეთი,—
გააღე ფანჯარა;
„პოეზდი“ გამასწრებს,
თუ გიყვარდე, ჩქარა!..
თოლარე ქალი—(ზანტად, ზმორებით)
ააჰა—ჰა... ნეტა
საით გეჩქარებათ,
რომ თქვენს თვალებს ძილი
სულ არ ეკარება...
ისე ვით გაუძლო
ამდენ ხალხს, მილეთის...
ვერ ვასწრებ მიცემას,
ყველაზე, ბილეთის...
დარაჯი.—(მოქალაქესთან ერთად გამოდის)
ნაცნობი რომ იყავ,
რად ვერ მიხვედი? იმე!
ო, რა ცივი იყო...
კი... შენი ჭირიმე!
მორიგე.—(ტელეფონში)
იდუ ვეჩერკომ, სადაც
ეცი, ჩემო ნატა...

# სადგურზე

ჰა? სად მიხვალ? კარგი,
ბილეთი? ნე ნადა...
რევიზორი? ჩვენი!
აბა გელი... გელი...
ქმართან წასვლა?დის კვლავ...
ო, უკანასკნელი...
მემუხრუჰე. (გასძახებს)
—პოეზდ № 16—ტი?
უქენ პირველ პუტში!
კი... სტრელკა პავერნი...
რამდენ კვარტში?.. ხუთში...
ჯიბგირი—ჯიბგირებს უფრთხილდით,
თორემ აქ ხშირია...
(ყვირის და თან ათვალიერებს ვინ სად დაიდებს ხელს, ინსტიქტიურად,—ამოაცლის,გარბის ყვირილით).
არ გაუშვათ, არა,
გარბის... ჯიბგირია!
დარაჯი— სადა? მაჩვენეთ,
რავა, საით გაშპა?
ჯიბგირი—აგერა, ვაგონ ქვეშა,
გაძვრა... პა-პა-პა-პა! (გაძვრება)
1. მგზავრები ვაიმე საათი!..
2. ვაიმე ფული!..
3. ვაიმე პუუდრი!..
4. მიშველეთ, გგგული... (გული მისდის)
5 მგზავრი—(გამოვა, ხურჯინით)
რავა, ბოშო, იმე,
პოვეზდი აქ საა?
დარაჯი — აგერ უკვე მიდის,
ვერ ხედავ? ისაა!
5 მგზავრი—უჩემოდ ვით წავა,
შეგირცხვა თავია!
ვერ ხედავ: მის სული
აქ რომ მიკავია?! (ბილეთს აჩვენებს).
დარაჯი—ვის უბედავ? შენ, ეი!
ვერ ხადავ ამასა?!
დურაკ! შენ გიცდის თუ?
გიტირებ დდდდ—მამასა!
5 მგზავრი—კი მაგრამ, ზარი რომ
არ იყო სამია?..
დარაჯი—ეხლა ორი არის,
შე ღომ-ჭამია!
5 მგზავრი—მესამე?
დარაჯი—აქამდის
ვერ გაგიგონია?
შეამცირეს შტატში,
ისიც კი, მგონია!

ტარზან,

## ნაცარქექია



4—„უნდა შემცირდეს სატრანსპორტო ხარჯები"! —საქონელი მეწვრილმანე გადამყიდველის საშუალებით დაუახლოვა სოფელს!



5 „უნდა შემცირდეს ზედნადები ხარჯები"! — და მანაც... შეამცირა!



6—„საჭიროა მივლინებას შემცირება და დღიურების შემოკლება"!—აქ მას სხვები დაეხმარნენ; —მიავლინეს და შეუმოკლეს „პაიოკი"!



## დამარცხებულს არ სჯიან!

სხვაგან კი არა, ფოთში გლეხკომის თავმჯდომარე ამოუცვლიათ, რომელსაც „ძველი უზნაურიშვილი“ უმღერის:

— „სახალსა შენსა ქებულსა
თავიდან წამოწყებულსა
ასე უდროვოდ და ულვთოდ
ბოლომდის დამარცხებულსა
ამინ“!

— კირიელეისონ!—დავსძენთ ჩვენ.

## მელას რაც აგონდებოდა...

„კიკოლიკა“ ხაშურიდან გვითვლის თუ რას ლაპარაკობდა ხაშურის რკ. გზის სადგურის უფროსი:

— „დასწყევლა ღმერთმა, როგორ წახდა დროება:—წინეთ ბატონო სამსახურში, რომ ვისმეს უნდოდა შემოსვლა, გამოგიგზავნიდა ნათესავ ქალს ლამაზსა და კეკლუცს; შენც მასთან ალერსი ისე მოგხიბლავდა, რომ რკინის გზაზე კი არა, მეშვიდე ცაზე გააჩენდი ადგილს არც არავინ დაგიდევდა.

ეხლა წახდა დროება. თუ ვინმე ქალი მოვიდა ანგარანში ათასში ერთხელ და ფეხი გაუხრი, მეორე დღეს გაზეთში გამოგჭიმავენ სურათით და მთელ ქვეყანას მოფენენ:

— სადგურის უფროსმა ამა და ამ დროს სასამსახურო ანგარანში არშიყობა გააჩინაო!

მოდი და იმსახურე ასეთ დროში, როდესაც ბუზისაც კი უნდა გეშინოდეს“!

ტყუილა შინებია ხაშურის სადგურის უფროსს „ბუზების“,—ესენი უვნებელი მწერებია, მაგრამ აი, ხაშურის სადგურის უფროსისთანა ფუტკრები კი-მართლაც საშიშარი არიან:

— ვინ იცის, რა ყვავილისგან აკეთებენ სასამსახურო „თაფლს“!

## თვითპყრობელი სრულიად ლაგოდეხისა

ლაგოდეხიდან „აქაური“ გვატყობინებს:

— „ერთ დროს ჩვენსა ლაგოდეხსა
ზამბახიძე მოეთესლა.
ჯერ „ვოლნობდა“ პრაპორჩიკათ:
ვერ ელირსა, ვერ ქნა ესა.
მოხდა რევოლიუცია.
მილიციაში შეძვრესა,
ქრთამებისთვის აქედანაც
პალური ჰკრეს, გააგდესა!
შემდეგ“...

ერ ი სიტყვით შემდეგ რაღა საჭიროა გაგრძელება:

ას ;თ „დამსახურებულსა და დიდ სტაჟიან პირს“ მისცეს ს ა სამართლოს მდივნობა და სხვა, და სხვა, და სხვა...

ერთი სიტყვით აკლია:—მე, ზამბახიძე პირველი თვითმპყრობელი სრულიად ლაგოდეხისა... და სხ. ასეა, რა ამხანაგებო ლაგოდეხიდან?

## მოთმინებითა თქვენითა...

„ნამგალიანი“ გადმოგვცემს მღვდლებზე, რომ ისინი ძალიან სწუხან თავის მდგომარეობას და ყოველდღე მოსთქვამენო:

— „კრულია ჩვენი ხსენება
გლეხ და მუშაში ყველგანა,
ყველა დაგვცინის საწყლებსა,
ამას ველოდით ჩვენ, განა“?

აშას მართლაც არ ელოდენ.

აბა. რას ელოდენ?

— ტაბლებსა და ცხვრის სათბილოს! მაგრამ... დაცინის ბედი მღვდლებს და თუ თვითონ მღვდლები ტირიან, ტარტაროზი მათ „სამძიმარს“ უცხადებს!

## უხუნტრუცუნეო

დიდი ჯიხაიშიდან „კიჟოლა ბიჭი“ დაჟინებით გვთხოვს:

— „ტარტაროზო, ტარტაროზო!
შენი ჭირიმეო,
ჯიხაიში ინახულე,
ჩამოირბინეო,
ნახე ჩვენი სამკითხველო
იხუმრ-იცინეო,
ქალიშვილებს უარშიყე
უხუტრუცუნეო!
კომკავშირლებს სიმთვრალისთვის

## ცოდნა



— რა სამსახური გნებავთ ამხანაგო?

— თუ შეიძლება უფროს კანტრალიორათ დამნიშნეთ!

— გაქვთ რაიმე პრა[illegible]ა?

— როგორ არა:—სასამართლოში ერთი ათიოდეჯერ მაინც გახლდით ცრუ მოწმეთ




მილიციელი:—რას ეძებ მოქალაქე?
მთვრალი:—აბბაზზი... დავკარგე!!!
მილ:—სადა?

მთვრალი:—აგერ იმ ქუჩაზე...
მილიც.:—თუ იქ დაკარგე, აქ რას ეძებ?
მთვრალი:—ვა, მე ხოში აქა მაქ დაა!

ზურგში უცხუნეო
გაზეთი, წიგნი იკითხონ
შეუფუცხუნეო!"

მადლობელია ტარტაროზი მიპატიჟებისათვის, მაგრამ, დღეს, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა ისე გართულებულია, რომ არ ვიცით ჩემბერლენს ცხვირს როდის დააცემინებს, შეუძლებელია ტარტაროზმა ცენტრიდან ფეხი გადაადგას სადმე და განსაკუთრებით კი „უხუტრუცუნეს" ქვეყანაში!

## სახემძღვანელო ხელმძღვანელი.

ქუთაისის მაზრის სოფ. საჭამიასერი კაი სოფელია, მაგრამ ხომ შეიძლება კარგ სოფელს კარგი სამკითხველო ჰქონდეს, ხოლო სამკითხველოს ცუდი გამგე.

შესაძლებელია, და ამას „კირიელერსონიც" ადასტურებს, რომელიც გვწერს:—

— „ადგილობრივ სამკითხველოსთან სამაზრო ინსტრუქტორის დახმარებით ჩამოყალიბდა 5 წრე, რომლებისთვისაც საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სამკითხველოს გამგე პანტელეიმონ კვინტრაძეს, მაგრამ არც ერთი წრე რიგიანათ არ მუშაობს."

არც გასაკვირალია, რადგან თუ ცხრა ძიძას ერთი ბავში კოჭლი გამოუვიდა, რა ვუყოთ, რომ ერთი ხელმძღვანელის ხელში ხუთი წრე არა თუ დაკოჭლდეს, დაყრუვდეს კიდეც?

ვინ იცის, იქნებ ხელმძღვანელიც ყრუა? სინჯეთ, თიკვის დასაგროვებელი ფიწალი შეუყავით ყურში, იქნებ ბამბა გამოყვეს!

## ზუგდიდი

უბედური „კოლია"
შემწე არვინ ყოლია
ქოხის ბედი აღონებს
ფიქრი შემოსწოლია:
— რა ჰქნას როგორ მოიქცეს
გზა ვერ ნახა სწორია?

—

ქოხის გამგეთ დანიშნეს
მისცეს საქმე ძნელია
„სამკითხველო ნიმუში"
რიხით ზედ აწერია
ხმა დიდი და სახელი
შიგნით არაფერია!

—

თაბახ მოხსენებებს სწერს
დასტა მოთხოვნილებებს
ულდის გამწარებული
პასუხს არვინ ინებებს!
პოლიტ-განში ტრიალებს
ეხვეწება ყველასა,
ქოხსა საბჭო არა ჰყავს
ქოხი ითხოვს შველასა,
მაგრამ არსად და არვის
წარბიც არ შეუხრია
ნუ თუ ქოხი არრად ღირს
გამგის თხოვნა უქმია?

ცხვანტი.

## „თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე



ი... ...შია როსტევან, —მოლარე მეტად სვიანი“



ჩ—სხვა ძე არ ესვა როსტევანს, მარტოდენ ესიასული!



ჩ—მას ერთსა მიჯნურებასა—-ქვიანნი ვერ მიხვდებიან!

# ᲒᲐᲛᲝᲣᲡᲐᲓᲔᲒᲐᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ

— ბიჭო ისაკავ, ამსისხო რკინა, რომ ჩამოგიკიდია წელზე და ათრევ, რა ეშმაკად ხინდა. ერთა ლიგის არც ეოთი მუხლი არ წაგიკითხავს განიარაღების შესახებ თუ რაა მაგი?

— სწორედ იმიტომ მკიდია ძმაო! ხომ იცი ერთა ლიგის დადგენილებები როგორ ტარდება სხვაგან!—გამეხუმრა ისიც თავის მხრივ.

— მართლა კაცო და ხუმრობა გაშვებით იყოს—დაიწყო მან სერიოზულად,—მტერი კაცს ბევრი ყავს, ესეც რომ არ იყოს მგზავრობა მიხდება აქეთ-იქეთ და ხომ იცი ათასი ყაჩაღები და ოხრები დახეტიალობენ.

— მერმე მაგი რას გიშველის ბიჭო?

— რაო? რას მიშველის რომელია, ათ კაცს მაინც კი გაუსწორდები და სხვა რაღა გითხრა! —ბევრი ვედავე და ვეჭიჭინე, მას მაინც შეესრულებია ერთა ლიგის ეს ძველი ოცნება განიარაღების შესახებ, მაგრამ ვერ დავითანხმე.

— რა უყოთ, ახალგაზრდა კაცია, მოჭკვიანდება და თვითონვე მოიძულებო მეუბნებოდენ ნაცნობები.

— ოხ, როდის იქნება ერთი ჩემს იარაღს რომ დრო დაუდგება ხშირად იტყოდა ისაკა და ლევორველზე ხელს მოივლებდა.

„აჰა ბურთი და ეს მოედანი“-ო, არის ქართული თქმულება. ერთ დღეს მე და ისაკოს ბახმაროზე გამგზავრება ერთად მოგვიხდა. ის თავის იარაღს ამაყად მოათრევდა და გზაში ხან ერთ ხეს მიუჩიზნებდა, ხან მეორეს.

— ოხ, სად არის ერთი ის ბურჟუაზია, ისე დავხვრეტდი, როგორც გინახავს საცერი!

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, დაეხსენ მაგ ტრაბახობას!—დაილაპარაკა ერთმა მგზავრმა.

ჩვენ ტყიან აღმართს შეუდექით. ტყეში შესვლამ უფრო აალაპარაკა ისაკო.

— აი, ნახავთ თუ არ იქნება საჭირო აქ ჩემი რევოლვერი. ნახავთ! აქ იმდენი დათვი იცის, რომ უიარაღოთ კაცი ვერ გაივლის. ესეც არ იყოს ყაჩაღებიც იმალებიან ხოლმე აქ.—

ქალებმა და ბავშვებმა შიშისაგან კანკალი დაიწყეს.

— ნუ გეშინიათ—სანამ ჩემი იარაღი აქა მაქვს, მანამდე საფრთხილო არაფერიაო!—თქვა მან და ის იყო უნდა ამოეღო რევოლვერი, რომ ვიღაცამ დაიძახა:

— ყაჩაღები დაგვესხენ, ამხანაგებო!.

— უიმე. არიქა გვიშველეთ, დავიღუპეთ!—იძახდნენ ქალები.

ჩვენ ჯერ ხუმრობა გვეგონა, მაგრამ როცა შეიარაღებული კაცები დავინახეთ, შევკრთით!

— რა ვქნა ბიჭო ახლა?—წამჩურჩულა ყურში ისაკომ.

— რა უნდა ქნა კაცო? ხომ არ შეგჭამენ!

— კი, მარა ეს რომ წამართვან?—აკანკალებული ხმით მითხრა მან და ბუდიდან ამოღებული იარაღი უბეში ჩაიგდო.

— ხელები მაღლა! არაფერი გაბედოთ!—მოგვადგენ აქეთ—იქიდან.

— თქვენს ხელში ვართ ამხანაგებო—ლმობიერად ყველაზე უწინ ისაკომ დაასწრო.

ყაჩაღებმა სწრაფად შეაგროვეს ფულები, ყველასაგან წაიღეს ხორცის შესამატებელი მასალა და ყველას ჯიბეები გაუჩხრიკეს.

— აჰა, ჩქარა გახსენი!—უყვიროდა ერთი ყაჩაღი ერთ დედაბერს, რომელსაც ფულები შვიდად ქონდა გამოკრული ხელსახოცში.

— ამით მიხვიდოდი ბახმაროზე, შენ სულკატიანო?—შეაგინა მან და სამი მანეთის ხურდა ფული იქვე მიაყარა.

ყველაფერი მიწყნარდა. ყაჩაღები დაკმაყოფილდენ და ჩვენც ნება მოგვცეს წასვლის.

— მოიცა, ერთი სიტყვა მაქვს მაგენთან!—მითხრა ისაკომ, როცა რამდენიმე ნაბიჯით მოვცილდით ყაჩაღებს და იმათკენ წავიდა.

— ამხანაგებო, აი, ეს საჩუქარი მომირთმევია თქვენთვის ნიშნად მადლობისა, რომ ცოცხალი დამტოვე!—უთხრამ მან ერთ ყაჩაღთაგანს და რევოლვერი გადასცა.

— ბიჭო, მაგი რად ქენი?—უთხარი როცა დამეწია.

— არა ძმაო, შენ მართალი ყოფილხარ, რად მინდა აბა მე რევოლვერი.

— ბიჭო, დაგჭირდებოდა შე სულელო!

როდისღა ეშმაკში დამჭირდებოდა; როცა საჭირო იყო ველარ ვიხმარე და აბა რად მინდოდა?—მე გულიანად გამეცინა და სხვებმაც გაიღიმეს პირისუფლის ღიმილით.

თურმე რამდენ სიმძიმეს ვათრევდი ტყვილა! მითხრა ერთ დღეს ისაკომ.

— რა ჩემი საქმე იყო კაცო რევოლვერი, როცა მისი ხმისაც კი მეშინოდა? არა, როგორ მოვიქეცი, თუ ძმახარ მითხარი?

— ძალიან კარგად, მაგრამ სახში რომ დაგეტოვებია—უკეთესი იქნებოდა! ცულდის გასაკეთებელ რკინად გამოგადგებოდა!

— არა ძმაო, გამოუსადეგარი იარაღი დროზე უნდა მოიცილოსთქვა მან და გამომემშვიდობა.

ეხლა საცა შემხვდება—თავის ამ ბრძნულ და გმირულ მოქმედებაზე ჩამომიგდებს ლაპარაკს და მანამდე არ მომცილდება, სანამ მეც არ დავეთანხმები, რომ მისი გმირობა დაუფასებელია.

ბ. ლ—ია.

# მ ა რ ი ო ბ ა

გურიის ერთი ნაწილი
იხდის „დღეს" მარიობასა.
ვერსად შეხვდებით მგონია
ამდენ ჩხუბსა და თრობასა.

თითო სოფელში დაიკლა
ათ-ათი ძროხა, ხარია
მოდის და მოდის სტუმრები
მოდის და მოუხარია.

ხარჯავენ. ფუთში შვიდ მანეთს
აძლევენ ბალის ღვინოში
თუ ჩალანდარიც არა სჩანს
ყიდულობს სასადილოში.

ასე ქეიფობს გლეხები,
სილოვან, სერგო, დომენტი,
ამითთვის მობრუნებულია,
„ტრადიციული მომენტი".

მომავალს აღარ უცქერენ,
არც მისი რამე სწადიათ,
ამ დღეს ერთბაშათ სჭამენ და,
შემდეგ მშივრები დადიან.

ძნელოღლო.

„ვ ე ფ ხ ვ ი ს-ტ ყ ა ო ს ა ნ ი"



4—სმა-ჭამა დიდათ შესარგი, დეპა რა სა არეულია!



5—რასაც გაქაფამ შენია, რაც არა დაკარგულია!




6—ნახეს ბოლოს მოყმე ვინმე, ჯდა—მტირალი ციხის პირსა!



ზაჯესის ბრალია

## სადგური ტფილისი

ზოგიერთა მეურნენი
მითითებებს განს უვლიან
საქმისადმი დღეს იმათში
არც ხელი და არც გული.
ყოველ ღამე სადგურს უკან
როსკიპ ქალთა არის კრება—
ნეტავ ერთი მათ ალაგმვას
თუ როდისმე ეშველება?
იმათა ყავთ „უსტაბაში“
რომ ღამდება წამს გაჩნდება
და აშკარად კუნჭულებში
მოსულ სტუმრებს ევაჭრება.
პატიოსან მოქალაქეს
ამ გზით აღარ გაევლება—
მასპინძლობას დღეს ზინებით
არ ეკრძალვის ქალთა კრება.
თუმცა ბევრჯერ დაიწერა
სამმართველომ წაიკითხა—
ალბად მათმა კეთილ გულმა
სიბრალულით გაიკითხა.
ნუ თუ ერთხელ ვეღარ შესძლეს
დაედგინათ მაინც ოქმში
რომ როსკიპი ქალებისთვის
შეეძახათ;—„ჩოქში‘ ჩოქში!“

**წითელი ძეძვი.**

## ხარაგოული

.... კიდევ ერთხელ შუადღისას,
ბანოვანთა ვნახე კრება;
გეფიცებით მათ სიტიტვლეს,
ეხლაც თვალწინ მელანდება.
თუმც ეს ჯგუფი უშიშარი,
სხვა დროსაც არ იმალება;
კაბა-საცვლებს ნაპირს ისვრის,
სადგუს ზემოთ იბანება.
მაგრამ რაკი კვირა იყო,
ხალხი ბლომად იარება;
ხიდის ახლოს გაიშიშვლეს
დამალვა ვის ეკადრება.
მაგრამ დახეთ სიავკაცეს,
სადგურიდან გაჩნდა „ჩეკა;“-
და ტიტველი ბანოვანნი
მდინარიდან ამოჩეკა.
ძლივს აცალა ტანზე ჩაცმა,
კანტორაში გაირეკა;
ნოტაცია წაუკითხა
და ბაქანზე გამორეკა.
და ტარტაროზ, შენ გგონია
გაგიჭირდეს მათი ნახვა?
ბაქანზე, რომ ჩამოხტები
ყველას იქვე დაინახავ.

**მშოლტავი.**



**ამირანს:**—თქვენ გვწერთ:

— „მინდა რა, გაგაგებიოთ
ხაშური და ყოფნა მისი,
დამიბეჭდეთ თუ კაცი ხართ
მეც გამხადეთ ამის ღირსი"!

სეგისრულებდით თხოვნას ძვირფასო ამირან, მაგრამ დაგვერწმუნეთ, რომ ცუდი ლექსის დაწერა უფრო ადვილია, ვიდრე დაბეჭდვა!

**ფანკა:**—უცნაურ ამბებს იწერებით:

— „და იმ ბიჭმაც დამინახა, უცებ ზე ავარდებაო,
და მან კისერში მეძგერა და თავზე დამაჯდებაო,
ისეთი მთელა წიხლებით, რომ თავი გამისკდებაო,
სისხლი თიხთიხით გადმოდის. არეიაგან არის შველაო".

სავსებით გიჯერით ჩვენო ვანკა, რომ თავი გაგისკდა და სისხლი „თიხთიხით" გადმოდის, მაგრამ ჩვენც დაგვიჯერეთ, რომ ამ გამსკდარი თავიდან სისხლის გარდა, უშინაარსო ლექსიც „თიხთიხათ" გადმოსულა!

**სინდიოფალა:**—აი, თქვენი „ლექსიც":

— „სალოდინო ოთახისთვის
ვერ ვიშოვეთ სხვაგან ბინა
და ამისთვის მაგ სარდაფში
გაგიკეთეთ კარგი ბინა"!

„სხვაგან ბინა", "კარგი ბინა", კარგი ბინა", „სხვაგან ბინა"—ერთი სიტყვით რითმათა ასეთ მუსიკალობას თავი კი არა, ფეხებიც მშვენიერად შეგიძლიათ ააყოლოთ!

**ატრუას:**—იშვიათად „რევოლიუციონურია" თქვენი ლექსი:

— „ აქ ჩემი ლექსი გავარდა,
როგორც ყუმბარა ძლიერი,
შეძრწუნდა დიდი-პატარა,
ახალგაზრდა და ხნიერი"!

შეხედეთ—ყველა შეძრწუნებულა თქვენი ლექსით! ოლოდაც, ჩვენც საკმაოდ შევძრწუნდით და, რომ ზიანი არაფერი მიყენებოდა ჟურნალს თვენი „ყუმბარისგან", იგი ტარტაროზნა სანაგვე გოდორში გადისროლა:—ქაღალდზე რბილათ დაეცემა და აღარ გასკდება!

**წითელ ძეძვს:** – თქვენის სიტყვით:

— „შემჩნეულია, რომ ზაფხულში ტვინი თხელდება,
მიკროპ ბაცილა, თავის ღრუში, უხვად მრავლდება—
ხშირ ლუტუნს იწვევს, და სანამდე არ აგრილდება,
მანამდე ზოგი თავის ქერქში ველარ ჩერდება
და...".

ალბად ლექსების წერას იწყებს. ეს ზაფხულობით, ხოლო:

— „მოვა ზამთარი, ტვინი თხელი შეიკუმშება,
ჭკუა მეტყველი, თავის კაბინეტს დაუბრუნდება—
უნარიანი მუშაობით ამალა მთელი ახმაურდება"!

მართლაც, რომ იშვიათი შედარებაა:

„ჭკუ მეტყველი თავის კაბინეტს დაუბრუნდება"!

დაუბრუნდება და, რეჟიმეკონომიის გამო, ვერც სკამს ნახამს დასაჯდომს, ვერც ლოგინს წამოსაწოლს და სადღა წავა, ვის მიადგება?

— ალბად ნაგვის გოდორს უშინაარსო ლექსით!

**გილიოტინას:**—თქვენ საოცრად იმუქრებით:

—„ერთ რამე საქმეს წავაწყდი,
გიამბობ ეხლა ყველასა
და ნუ დამძრახავ თ ვინმეს
წაუხდენ ცხვირის ფორმასა!

— ო, ათას ცხვირს წაუხდინე ფორმა, ძვირფასო გილიოტინა, ხოლო თავი შეიკავე და ერთ ლექსსაც ნუ გამოგვიგზანი!

**ა. ტიტანს:**—თქვენ გვპირდებით:

—„მოვმართე ჩემი ქამანჩა
აწ აღარ დავდებ ძირსაო,
სალამს მოგიძღვნი ტარტაროზ,
დაუკრავ ამ ჩემ სტვირსაო"!

სალამისათვის მადლობელი ვართ, მაგრამ მადლს მარილიც მოაყარეთ და ეგ თქვენი ქამანჩა დადეთ ძირს, ნუ გაჯიუტდებით რადგან თქვენი ქამანჩა ნამეტან ყალბ ხმებს იძლევა. დაგვიჯერეთ—მღერით, ერთი ოთხფეხიც ხმამაღლა მღერის მაგრამ, საოპერო თეატრში გასტროლებზე მაინც არავინ იწვევს!

**გურულს:**—ფრიად სანუგეშო ცნობებს იძლევით:

—„მე კი მთელი დღეები
კუჭი გამომხმარი მაქვს,
და რომ კუჭი გამილბეს
ყუთში ბევრი ფული მაქვს"!

დიაღ, სანუგეშოა, რომ კუჭიც გქონიათ და ფულიც, მაგრამ ერთ რამეს მაინც გირჩევდით:—მოდი, ეგ თქვენი ფული თქვენ კუჭს მოახმარეთ, კუჭს მოუარეთ და თავს თავი დაანებეთ. სულ ერთია თავს ფულითაც ვერ უექიმებთ—დაავადმყოფებული ლექსების მეტს იგი მაინც არაფერს მოგცემსთ!



გერმანია მიილეს ერთა ლიგაში.

# სპილო და ფინია

„რუმინეთ - პოლონეთმა ხელშეკრულება დასდვეს საბჭოთა წინააღმდეგ“.
გაზეთებიდან.




— ფინიამ სთქვა: „ჩვენც კი ვხედავთ,
რომ არ გვაქცევს ყურადღებას,
თორემ, ეს რომ არ ვიცოდეთ,
გავბედავდით განა ყეფას!“

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა. მთავლიტი №

კვირა, 3 ოქტომბერი, 1926 წ.

№ 68

# ტარტაროზი

ფასი 10 კაპეიკი






მომხსენებელი ხულიგანი: ამხანაგებო, ეს არის რესპუბლიკა და თავისუფლება?! იქ, ევროპაში ჩვენი ძმები კონგრესს მართავენ—ჩვენ კი აქ გვდევნიან და გვავიწროებენ...

(იხ. წერილი მეორე გვერდზე).

# „კონფერენცია“

საღამო იყო.

მთელი ქალაქი ქუჩებში გამოსულიყო. დღეს, თითქოს, სულ სხვა დღე იყო. არა სჩანდენ: ავარები, ნაძირალები, ქუჩის ბიჭები და მატყუარა მათხოვრები—ხულიგანები.

— აი, როგორ ჩქარა მოსპეს ხულიგანები!? საჭირო ყოფილა, თურმე, გაზეთებში ორიოდე წერილის მოთავსება ხულიგანების წინააღმდეგ, რომ მათ შიშის ზარი დაეცეს და ქალაქი დასტოვონ.

— ჯერ არც კი დაწყებულა კამპანია მათ წინააღმდეგ და ისინმა კი მოჰკურცხლეს სადღაც!

— ტყვილა გვეშინოდათ ღამით მათი! თურმე რა მშიშარები ყოფილან?!

— ასე რომ გაიწმინდებოდეს ქუჩები ავარებისაგან, ყოველს საღამოს წამოვიდოდი პაემანზე...

ამბობდენ ქუჩებში მოსეირნე მოქალაქენი.

არა ამათზე ნაკლებ უხაროდა და უკვირდა გუშაგ მილიციონერსაც, რომელიც შუადღის შემდეგ იდგა საგუშაგზე, და ერთხელაც არ მომხდარიყო ხულიგნების **გამოსვლა**.

ჰოდა, როცა ქუჩებში ყველა ასე მხიარული იყო, გარე უბანში ერთი დიდი სარდაფი სავსე იყო ხულიგანებით; ყველას იქ მოეყარა თავი და ამიტომაც დაცლილიყო ქალაქი...

კონფერენცია ჰქონდათ...

... და მომხსენებილ ამბობდა:

— აი, ამხანაგებო, ეს არის თქვენი საბჭოთა ხელისუფლება:

ამხანადებო, მაგათი... რა უნდათ ჩვენთან? რატომ დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ ასეთი რეპრესიები?.. როგორ? განა ჩვენ ხალხი არ ვართ? განა ჩვენ ცხოვრება არ გვინდა?.. იმუშავეთო! ვაჰხ! მაგათი... როგორ ვიმუშავოთ, როცა გვეზარება, მუშაობის ხალისი არა გვაქვს!.. ჩვენ რას ვუშავებთ მთავრობას? არაფერს... ვინმეს რამე რომ წავართვათ და მით ჩვენი თავი ვარჩინოთ ისა სჯობია მთავრობისათვის, თუ თვითონ მან დაგვიჭიროს და ციხეში გვარჩინოს! ამის მეტი გაგება არა აქვთ, და ჩვენ კი გვდევნიან... ეს არის რესპუბლიკა? ოჰხ! მაგათი... ეს არის სლაბოდნობა? გადახედონ მაგ ოხრებმა რა ხდება ევროპაში და?! ამხანაგებო, მე გაზეთში წავიკითხე, რომ...

— ვახ! ვახ! როდის დაიწყე გაზეთის კითხვა? მაგისთვის მოიცალე?—შეეკითხენ მომხსენებელს და ხორომ გადიხარხარეს.

— ვაჰ თქვე ჩემო ჯიბიდან გავარდნილებო, ეს მაშინ წავიკითხე, როცა ვიღაც დაყუდებულიყო ქუჩაში გამოკრულ გაზეთის წინ და კითხულობდა; მეც მივედი, გაზეთს კითხვა დავუწყე და ჯიბიდან ფულიც ამოვაცალე...

— ვაჰხ! ვაჰხ! რა ზორბა რამ ყოფილა!!!—ყველამ გაიკვირვეს და კვერი დაჰკრეს...

ჰო-და აი ამ გაზეთში ეს წავიკითხე (კითხულობს გაზეთიდან):

### პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი.

**ბერლინი. 27 სექტემბერი. ბერლინში გაიხსნა პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს ესწრებიან 17 სახელმწიფოს წარმომადგენელები.**

აი, ამხანაგებო, იქ ასეთი თავისუფლება აქვთ ჩვენს ამხანაგებს, ჩვენ მოძმეებს... ისინი სატახტო ქალაქში კონგრესს აწყობენ; ამ ამბავს ქვეყანას ატყობინებენ... ჩვენ კი აქ არალეგარულად შევკრებილვართ, გვეშინია მთავრობის... იქ კი ასე არ არის... განა ეს არის თავისუფლება? არა, არ არის... ზიზღი ასეთ მთავრობას...

— ზიზღი... ზიზღი...

— ვაშა იმ ევროპას, რომელიც ჩვენს ძმებს, ამხანაგებს—ხულიგნებს საერთაშორისო კონგრესის მოწვევის ნებას აძლევს?

— ვაშა... ვაშა...

— ამხანაგებო, ჩვენ არც ისე აბუჩად ასაგდები ვართ, როგორც მთავრობა იქცევა... ჩვენი წინაპარი იყო ინგლისელი ლორდი... მის გვარი იყოლორდ ხულიგან.

—მაშ, მაშ ლორდები ვართ!..

— ვაჰ! ვაჰ! რა თოზალო რამე ვყოფილვართ!—გაკვირვებით ამბობდენ კონფერენციაზე დამსწრე ხულიგნები.

— ლორდ ხულიგანმა რამდენიმე საქმე ჩაიდინა, როგორიც არის: ქურდობა, მოტყუილება, მკვლელობა, გაუპატიურება, უზრდელობა და სხვა ასეთები... ყველა ამ მოქმედებებს **ხალხმა უწოდა ხულიგანობა, ხულიგანური**, რომელიც წარმოსდგება სიტყვიდან: **ხულიგან**, რაც ნიშნავს **ლორდ ხულიგანის** გვარს...

ამხანაგებო, პატივი ეცით ჩვენი ბელადი ლორდ ხულიგანის ხსოვნას,—ვინც დამჯდარი ხართ,—იჯექით და ვინც ფეხზე დგანხართ,—დაჯექით...

— აცხონოს ღმერთმა ჯოჯოხეთში და წასწყმიდოს ეშმაკმა სამოთხეში,—წამოიძახა სიჩუმეში ერთმა ხულიგანმა...

— რომ მე მართალს ვამბობ, ეს იქიდან სჩანს, რომ დღემანდელ ინგლისში ბევრი ლორდი ხულიგნებია... თქვენ ალბად გაგიგონიათ ლორდი ჩემბერლენი.

— ვაჰხ! გაგვიგონია და მეტი არა? ჩვენი ძმა, ჩვენი პირისზიარება...

— იქ წავიდეთ, ჩვენს ძმებთან; ზოგი მინისტრებია და ზოგი დეპუტატები... იქ ქვეყანა ჩვენი ძმების ხელშია და ნუ თუ ჩვენ ვერ შაგვინახავენ?

— ვაჰ! თქვე ჩემო თექვსმეტიანებო,—ვერა ხედავთ—უკვე დაღამდა... ამეღამ ორი ბინა მაქვს გასაქურდი და მაგვიანდება... მორჩით რაღა!

— მართლაც, მართლაც; უკვე ბნელა; ეხლა ხალხი ქუჩებშია; ბინები უპატრონოთაა.. ქუჩებშიაც ჭინჭველებსავით უსრიან და ვაჰხ!.. აჯან ხელები იქით. აქეთ...

— ამხანაგებო, მთელ საბჭოთა კავშირში ჩვენი ძმები დევნას განიცდიან... აქ ბევრი ამხანაგებია, რომლებსაც აუკრძალეს რუსეთში ცხოვრება და აქეთკენ გამოეშურენ; აქედანაც ასახლებენ და იქითკენ მიეშურებიან ჩვენი ამხანაგები...

— ვსეირნობთ რაღა!

— სეირნობის ვის რა ექნება საწინააღმდეგო, მაგრამ მატარებელში კონტროლს ყოველთვის ვერ დაემალები და როგორც უბილეთოს, სადღაც გადმოგვსვამს...

— მერე-და მეორე მატარებელი გამოივლის!..

—ვახ! შენს ჭკუაში კი... მეორე გამოივლის და იგიც არ გადმოგვსვამს სხვაგან...

— ვაჰ! მართლა შენს თავში და ტვინში... რამოდენიმე სადგურს ის წამიყვანს, მერმე კიდევ სხვა მატარებელი და ასე სულ...

— ვახ! თქვენ ენაზე კი...—გაბრაზდა მომხსენებელი —დაჩუმდით თქვენი ჩემი... შვილებო... ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმე; ჩვენ არ უნდა შევდრკეთ... სულ დედა ვუტიროთ...

— განვაგრძოთ, განვაგრძოთ... ეხლა წავიდეთ...

---

მთვარე ამოსულიყო...

მის შუქზე შავი სულიეტები მოსჩანდენ სარდაფიდან მომავალი... გადიოდენ სხვადასხვა ქუჩებში და მოსახვევებში იკარგებოდენ...

გაისმა იქა-აქ მილიციონერის სტვენა... იქა-აქ ქუჩებში ხმაურობა და ჩხუბი...

მოქალაქენი მოსტყუვდენ... ხულიგანების „პარტიზანული რაზმი“ სათარეშოდ გამოსულიყო ქუჩებში...

მეორე დღეს დილით „პარტიზანებს“ სამილიციო უბნის სამმართველოს სარდაფებში გამოეღვიძათ...

**ჭინჭარი**



მოიპარეს კონდიტერში შოკო ლადით სავსე ყუთი.
(ალბად იმ ყუთს მოელოდა ქალი ნაზი და სათუთი)
მოსახვევში იქვე ახლოს გამოსცალეს და შესჭამეს.
შოკოლადით და ქურდობით სული-გული დაიამეს.



ყუთი რატომ იზარალონ, თუმც ნაყიდი ის არ არის?
კვლავ გახვიეს იმ ქაღალდში, შემოაკრეს ის ბაწარი...
შუა ქუჩაზე დადვეს კოხტად... და გამოჩნდა გამომვლელი...
დაინახა... გაუხარდა... და საჩქაროდ სტაცა ხელი.
სასოებით გახსნა ყუთი... და შიგ მკვდარი თაგვი ნახა...
გაიცინეს ხულიგნებმა... მპოვნელს დარჩა ღიად ხახა.

# დამაფიქრებელი ხვრელი
## და
# უჩინარი ხელი

ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ამზადებენ ბინას № ისტრესტის
გამგეობისათვის (მთარულ ამბებიდან)

უზარმაზარი შენობა,
უზარმაზარი კედლები,
მე ღმერთს ვუმადლი, უცბათ ზედ
თუ შუბლით არ შევეხლები.
არის მზადება: სარკმლებში
შუშის სმა, ღებვა ჩარჩოთა,
ვეება ოთახები სჩანს,
შიგ სიხალვათეც ფართოთა.
გარეთაც „გაკრასკულია“,
ვით ტუჩი „მოდნი“ ქალისა;
ვუმზერ და თვალს ვერ ვაშორებ:
სიტურფეშ წამახალისა!...
ნეტა, ვისია ეს ბინა,
რომელი კერძო პირისა?
ვკითხულობ და ვაკვირდები,
მჭირს სიჯიუტე ვირისა.
და უცბათ—ერთგან კედელში
ვიწრო სამკუთხი სარკმელი..

უსიტყვოდ გასაგებია
და თქმულიც უკვე სათქმელი...
სჩანს, რაღაც „უჩრეჟდენია“
ამა ბინაზე გამოდის,
ხუთი ნაბიჯიც არ არის
აქიდან მის სალარომდის.
აი, ეს ხვრელი უჩვენბს,
კედელში რომ სჩანს ნახვრეტი,
დამაფიქრებელ განცდებით
ამ თავიდანვე საჭვრეტი:
აი, აქ ფულის ნაკადი
იდინებს იქით-აქეთა
და გადიქცევა ეს ხვრელი
სანატრელ „მოდი-ნახეთა“!..
მაგრამ თავდება ეგ საქმე
სულ სხვა სახით და საგანით:
უკვე გამოსჩანს ამ თავით
შორს ციხეც ბნელი საკანით.

სჩანს სასამართლოც მსაჯულით,
დამცველით, პროკურორითა,
შემოჰყავთ იგი მოლარე
ხმლიანი მცველით ორითა;
აქ რომ ფულებსა ჰქექავდა
იქით და აქეთ დენითა,
დღეს საიქიოს გზავნიან
სასტიკი განაჩენითა.
ხვრელი კი, ეს სამკუთხედი,
ზევიდან ვიწრო თაღითა
აქვე დარჩება ამ თაღით,
სალაროს ამ ოთახითა.
და კვლავ ახალი მოლარე
აქვე მოჰყვება ქექასა,
სანამ ახალი „პანამა“
ისევ არ ასტეხს ჭექასა.
ახლი კვლავაც სახლად დარჩება
ამ საიდუმლო ხვრელითა,
ისევ ახალი მოლარით
და უჩინარი ხელითა.
ის ახლაც აქ სჩანს, ამ ხვრელში,
წინ გაშვერილი თითითა
და უჩინარი ხელითა.
უამრავ მაგალითითა!..

ღნისიძე.

# აშრ-ზაშრ




კინოს წინ

## ნადირობა ღამით

სამილიციო უბანი. მორიგე მილიციელის ოთახი. მორიგე განკარგულებებს აძლევს უნცროს მილიციელებს.

— აბა თქვენ იცით! ფრთხილად იყავით ქუჩებში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ხულიგნებს. ხომ იცით როგორც ეპყრობიან ახლა მათ. დაკვრითი წესით უნდა მოვსპოთ ხულიგნობა.

მილიციელები მიდიან

საღამოს 8 საათია. შემოდის მილიციელი. მოყავს პატიმარი.

— ამხანაგო მორიგე, აი, ხულიგანი გავიჭირე.

— დავაი ელო სუდა! სად იყო?

ქუჩაში: უწესოთ იქცევა. ვიღაცა ქალს ისე გაკრა გვერდი, რომ კინაღამ გულ-ბოყვი ჩაანგრია. ქალს გული წაუვიდა. ეს აქეთ წამოვიყვანეთ.

გადის ერთი საათი.

შემოდის მეორე მილიციელი. მოყავს პატიმარი.

— ახ ტი ხულიგან! გაყურებიებ სეირს. ტავარიშჩ მორიგ! აჰა, ხულიგანი მოვიყვანე.

— აი და მალადეც! სად იყო?

პლეხანოვსკის პროსპექტზე. ქუჩაში იდგა და ქალებს ბადლებნიებს უკეთებდა. ერთ კავალერიან ქალს გაუკეთა ხადევანია. კაცმა ველარ მოითმინა და სილა გაარტყა. ამან შეუბრუნა, ისე გაარტყა, რომ ორი კბილი ჩაუგდევინა, ისიც ორივე ოქროს კბილი.

— მერე ის კაცი რა იქნა?

— საავადმყოფოში წაიყვანეს.

— ოქროს კბილები რა უყავით?

— კბილები?.. გადმოცვინდა ძირს. ვეინდოდა წამოგველო, როგორც ვეშესტეენი დაკაზატელსტვა, მაგრამ ხომ იცით რამდენი ჯიბგირი ტრიალობს... ვიღაცამ თვალ და ხელს შუ აგამოგვტაცა ის ჩაყენებული კბილები.

— პლოხო! ამბობს მორიგე. მარა ნიჩევო, წაიყვანეთ ვაჟბატონი კამერაში.

— სლუშაიმ.

გადის ერთი საათი.

შემოდის მესამე მილიციელი, მოუბრუნდება პატიმარს, რომელიც მოყავს.

— წამოდი ჰო! შე სულქისინო! იქინე რომ ხულიგნობ რავა გონია საქმე?

— სად წავიდე ე-ე! თავი დამანებე, თორემ იხეთს აგადეთ ფაერეთში რომ... იმუქრება ხულიგანი.

— რაიო? აგადებ კი არა, ცემით გაგაცივებ ამ მინუთში. შამოდი შიგ! იმდენს გირტყამ, რომე ნახევარი ვერ დამითვალო.

ამხანაკო მორიგე! აი ხულიგანი, ახლა რაც გინდა იგი უქენი.

— მალადცომ! რაზე დაიჭირე?

— რაზე ბატონო და დამთვრალა. მაგი კიდომ აფეთრია, დამთვრალიყო და გამევიდა ულიცაში, მისი აფხანაკებით, შექნეს ერთი ყვირილი და სიმღერა. ჯერ ვეხვეწე გაჩერდით მეთქი. მარა არ დეიჯერეს. მერე ვსკანდ სული წამოვათრიე ყველა.

— მერე დანარჩენბი რა უყავი?

— რაუყავი ბატონო და — ხომ იცი მაგინის ამბავი... ხულიგნები არიენ. აგერ ბნელი კუთხეში რომ შივედით, მყვერა რომელიცამ ყურის ძირში იმფერი, რომე კილამ წევიქეცი. თვალები ამიფსიორა. შეხაჩუბაში მაი ხულიგნები გეიქცენ... მაინც მარჯვეთ ვიყავი. გამოვეკიდე და აგი ერთი დევიჭირე.

— მერე როგორ დაეწიე ამ ერთსაც?

— ვაჰ, რის დამეწია ატამიანო! — ცხარობს პატიმარი — რის ხულიგანი? მთელი დღე მწვანილს ვყიდი; მერე ცოტა ღვინო დავლიე და სახლში მოვდიოდი... უცებ ყვირილი მომესმა და გამოქცეული ხალხი შემეფეთა... მეც შემეშინდა და გაქცევა დავაპირე. ამ დროს მომეწია ეს ვირის თავი და დამიჭირა. ღმერთი, რჯული არც ვიცნობ იმათ.

— მართლა არ იცნობ?

# აურ-ზაურ



კინოში

— ცოლშვილს გეფიცები.

— რას მეფიცები, იმათი ამხანაგი თუ არ იყავი. ღვინო რაღ დალიე?

— ვაჰ! ღვინოს მე ყოველ დღე ვსვამ, მაშ ეს ხულიგნობაა? ვინც ღვინოს სვამს ყველა ხულიგანია?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! წაიყვანე კამერაში!

ღამის 12 საათია. მორიგეს ეძინება.

შემოდის მეოთხე მილიციელი.

— ამხანაგო მორიგევ! ხულიგანი მოვიყვანე!

— რა დაუშავა.

— ჩემ ამხანაგ მილიციელს სცემა.

— ახლავე კამერაში.

ღამის 1 საათია მორიგე თვლემს.

შემოდის პირველი მილიციელი.

— ამხ. მორიგევ! კიდევ ხულიგანი!

მორიგე გამოფხიზლდება:

— დაიქცეს მაგის ოჯახი... რა შინდაო?

— ქალს ჯიბეში ფული ამოართვა... დაუკითხავად.

— მაშ ჯიბგირი ყოფილა.

— არა მე მგონია ხულიგანია.

— რატომ?

— ამოართვა ფული და გაიქცა. გამოვეკიდეთ. გზაზე, ვილაცას დაეჯახა. ბოდიშიც არ მოუხდია. მაინც გაიქცა. დავიჭირე, ყვირილი მორთო—გამიშვითო. მე მაინც წამოვიყვანე.

— აჰა, ხულიგანი ყოფილა. შეიყვანე!..

ღამის ორი საათია. მორიგეს ეძინება.

შემოდის მილიციელი.

— ამხ. მორიგევ!

მორიგეს სძინავს.

— ტავარიში მორიგევ!

— ჰაა! რა ამბავია?—გაჯავრებით ამბობს მორიგე—ღამის ძილს აღარ აცლით.

— ხულიგანი გახლავთ.

— ვითომ ხულიგანია?

— ნამდვილი! რესტორანში ივახშმა, ფული არ გადაუხდია ისე გამოიპარა. თან დანა-ჩანგალიც წამოუღია.

— მაშ წაიყვანე ჩასვი.

ღამის სამი საათია. მორიგე—ხვრინავს, შემოდის მილიციელი, დაღლილი.

— ამხანაგო მორიგევ!

მორიგე განაგრძობს ხვრინვას.

— ტავარიში მორიგევ!

მორიგეს ისევ სძინავს.

— მორიგევ!

ისმის გაწყვეტილი ხვრინვა. მოსავებული მილიციელი იქვე ჩამოჯდება სკამზე და დაღლილი ხმით ეძახის:

— დეჟურნი!

სიჩუმეა. მორიგეს სძინავს. მისი ხვრინვა მილიციელსაც ძილს გვრის მილიციელი ამთქნარებს.

— მორიგევჯან! გაიღვიძე რალა! ხულიგნების ამბავი მინდა გითხრა... ყველა დავიჭირეთ უკანასკნელი მოვიყვანე ახლა. ჩვენ ქუჩაში დავრბივართ, შენ აქ გძინავს. ესეც ხომ ხულიგნობაა?

მილიციელსაც ჩაეძინა.

უკანასკნელი ხულიგანი, რომელიც მილიციელმა მოიყვანა და კარებს უკან იდგა. შემოყოფს თავს კარებში. დაინახავს, რომ მის მომყვანსაც დასძინია. გაჯავრებით ამბობს:

— მაშ ამდენი გზა ტყუილად გამომარბენინე? კამერაშიც აღარ ჩამსვით ძმაბიჭებთან? მთელი საათია კარებში მაცდევინებ...

ამ ღამით სალად წავიდე... ეტო ტოჟე ხულიგანსტვა!

წამოწვება და ისიც ხვრინვას ამოუშვებს.

ალლარ-ალლარხან.

# ხულიგნები ქუჩებში



# შეხვედრა



— საით მიდიხარ?

—ხულიგნობისათვის ბაქოდან გადამასახლეს და თბილისში მივდივარ.

— მე კი თბილისიდან გადამასახლეს და ბაქოში მივდივარ.. მოკითხვა ჩვენს ბიჭებს... გზა მშვიდობისა..

— შენ მომიკითხე იქაური ჩვენი ბიჭები, შენაც გზა მშვიდობისა.

## ტარტაროზი და ხულიგნები





# ყაირათიანობის რეჟიმი

### საქულას და გეურქას დიალოგები.

საქულჯან, ამ ბალშევიკებისა მე ვერაფერი გამიგია რა! ჯერ შემოიღეს ისეთი წესები რომ სუყველაფერი უფასო იყო: აბანო, ტრამვაი, რკინის გზა, თეთრი პური და ბევრი კიდევ სხვა. მე და ჩემი დედაკაცი ყოველ კვირა აბანოში დავდიოდით და კვირაობით კი ტრამვაით დავკატავობდით. კიდობნები რომ დაიცალა, მაშინ დაუწყეს ხურჯინის პირის მოჭერა. მეტი წილი შეიჭამა, გაცვდა, დაიმტვრა და სწორეთ მაშინ მოიგონეს ახალი შტუკა— ბევრი იმუშავეთ და ნაკლები ჭამეთ· ამას დაარქვეს სახელათ სოციალისტური დაგროვება. აგროვეს, აგროვეს და მაინც იმდენი ვერ დააგროვეს, რომ ყველას მშრალი ლუკმის მაგივრათ სველი ლუკმა ჩაეყუდებინა ყანყრატოში.

გამოსავალი გზა კიდევ სხვა მოძებნეს. ბალშევიკების საქმე ხომ იცი, საქულჯან, რასაც იტყვიან აასრულებენ. როცა მოიწადინებენ აქლემს ტერტერას აშობინებენ. პუპუშ და გადმოისროლეს რაღაც რეჟიმ-ეკონომია·

რაც რომ ჩვენ ვაჭრობაში ქესატობა ჩამოვარდა, მეც ვზივარ და გაზეთებსა ვკითხულობ. ბევრსა სწერენ ამ რეჟიმ- ეკონომიაზე და ჩემ ტვინში კი არაფერი არ შადის ამ რეჟიმისა.

ვეკითხები ჩემ სათინიკას.

— გოგოჯან. შენ ამ კონცომოლკაში გაზდიხარ და ერთი ამიხსენი ეს რეჟიმი-ეკონომია რა არის? საქულჯან, იცი იმ ძაღლის ლაკუტმა რა მიპასუხა?..

— ფაშვზე საბელი მოიჭირეო, ჩაის სტაქნებიდან ღვინის სტაქნებზე გადადიო. დღეში ოთხი ბოთლი ნუნუას მაგიერათ ერთი ბოთლიკა ბორჯომის წყალი დალიეო და გამოვიდა რეჟიმ-ეკონომიაო·

მახლას! რატომ არ დაიწვება ის შკოლები, სადაც ეს ახალგაზრდობა იწურთნება? რომ არ გამოვბრუნებულიყავი, მაშინ სხვა რამეებხაც მეტყოდა. განიერი შარვალის მაგივრათ, რომ პიონერის მოკლე იუბკა ჩავიცვა. დოშლუღური ახალოხი რომ ფუტბოლისტების გემნასტიორკათ გადავაკეთებინო ჩემ დედაკაცს და ჩემი პტყელი ვერცხლის ქამრიდან ჩემ გოგო-ბიჭებს ჩულქების პადვიაზკები გაუკეთო, მაშინ, როგორც იძახის ჩემი სათინიკა, ესეც რეჟიმ-ეკონომია იქნება რაღა!

**საქულა**

ბიჭოო! ეს ბალშევიკები ჭკვიანო ხალხი არიან. ყველაფერს თავის სეზონით გამოიგონებენ. როცა გულუხობა იყო საჭირო, მაშინ ხელგაშლილები იყვნენ. მენშევიკებმა ისე დაამშივეს ხალხი, რომ მართლაც საჭირო იყო თეთრი პურის უფასოთ დარიგება, ტრამვაით უფასოთ სიარული და აბანოში გაბანება. ხალხი როცა რომ ცოტა მოფერიანდა და კლავში ძალა შიეცა, მაშინ მოსთხოვეს მას უფრო ნაყოფიერათ და ერთგულათ მუშაობა,—და აი ეხლა კი ახალი ქვეყნის აშენებისათვის, საჭიროა ყაირათიანობა, როგორც ოჯახში, ისეც მთელ სახელმწიფოში· მაგრამ სუყველას ერთნაირათ არ ესმით ეს რეჟიმ-ეკონომია. როცა ავტომობილით ზოგიერთ ნაჩალნიკს ბუტურბროტის მოტანაც არ ჩეეძლო, ეს იყო საძაგლობა, მაგრამ ეხლა როცა უტვინო ხეპრეები საერთოთ ავტომობილების საქმეში მოხარები წინაალმდეგ გამოდიან, ესეც დაუშვებელია. ერთი მითხარ, თუ ძმახარ. რა ქნას იმ კომისარმა, რომელიც ხუთმეტ ადგილას არის საქმეში გაბმული. ფეხით იაროს? ვირზე შეჯდეს. ცალკისელი მემაწვნესავით? არა, გეურქჯან, ეს ეკონომია არ იქნება, არა!

აი გუშინ რა სურათი ვნახე ერთერთ ბანკში შვიდერვა თანამშრომელი ოჩერედში იდგა. როცა მინდოდა გამეგო რის ოჩერედი არის, რა მიპასუხეს:

— ამ განყოფილებაში სასტიკ რეჟიმ ეკონომიას ვეწევითო: თანამშრომლებზე ერთი კარანდაში მოგვცეს და ოჩერედით ვწერამთო!

ამნაირ ნაჩალნიკს ტვინის ეკონომიის სატკივარი უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთი უტვინობის ნიშანი: ჩვენ დაწესებულებაში დამლაგებელის თანამდებობა გააუქმეს. ამას დაარქვეს „დვაინოიო“ ეკონომია. ჯერ ერთი რომ თანამშრომელი შევამოკლეთ და მეორეც ისა, რომ ბევრი დაგვით აღარ გაცვდებაო. ამნაირ განკარგულების მიმცემმა იქნება ხვალ-ზეგ მოლას ვირსავით ჭამაზედაც ხელი აიღოს. მაშინ თვითონაც ამ ქვეყნიდან საკრაშჩენიაში მოჰყვება და ეს უფრო დიდ ეკონომიას მოუტანს სახელმწიფოს·

**გეურქა**

ეჰ, საქულჯან, რომ იცოდე ჩემი ლაწირაკები რას მიშვრებიან სახლში!? უერბოოთ მაჭმევენ, ჩიხირთმას უკვერცხოთ; სარეცხის საპონით პირს მაბანინებენ. უკაცრაო პასუხია, შარვალზე პუგიცას ველარ ვაკერინეფ— სულ გაიძახიან: რეჟიმ-ეკონომია არისო. ამან ჯანი გავარდეს, როგორც იქნება საქმეს კალაპოტში ჩავაყენეფ, თუმცა დრო ხელს არ გვიწყობს, მაგრამ შინაურებში მე მოვრიგდები. უარეს სხვა საქმეა. ამ რეჟიმ-ეკონომიის გამოთ დაეკარგა გემო სუყველაფერს. კაცო, პაპის პაპიდან ჩვეულება გვაქვს კვდარის ქელეხი გაუმართოთ და ცოცხალს კი ნათლობა და ქორწილი·

**საქულა**

მემრე ვინ გიშლის ქელეხის და ქორწილის გამართვას?

**გეურქა**

არა, „ზაპრეშჩენია“ კი არ არის გამოსული, მაგრამ ეს კომცომოლები იძახიან:—ქეიფი და ღვინის სმა არ უნდა იყოსო; ისე უნდა გაატაროთ დროებაო.

ბიჭო უღვინოთ ქორწილი გაგონილა?

## საქულა

მაშ გეურქჯან, ძველი ჩვეულება უკეთესი იყო, როცა თითო ქელეხი ანუ ქორწილი ადამიანს უნგრევდა ოჯახსა?!. ეს ტერტერაო, ეს ნათლიაო, ეს ქალების ანთებაო, ეს ეკლესიას შესწირეო. მემრე კიდევ შვიდი რვა ფაიტონები, მეზურნეები, საზანდრები, სახლში კიდევ ორმოც-სამოცი სულისათვის ვახშამი. ერთი სიტყვით; ჭირით და ვარამით, სისხლით და ცრემლით ერთი ორიოდე შაური წლობით მოგროვილი ფული, იქმეოდა ორ-სამ დღეში. არა რაც მართალია-მართალია: კომსომოლისტების აზრი მაგ საკითხში ჩვენ აზრზედ უფრო სალი და ხელმოსაცემია. ვენაცვალე მაგით დეკრეტის რამკას! კარგი კანონია—კარგი. მოგეწონა გოგო—ბაშუსტა! წაიყვა ზაქსში, დააკარი ექვს აბაზიანი მარკა „ზაიავლენიას“ და გათავე საქმე. მაგაზე კარგი რაღა არის, გეურქჯან. ძმათ გეურქ გამიბერტყე ყურები! ძველი თუთები დაიკრიფა — დაიკრიფა ეხლა ახალი ნამყენები უფრო სხვილ ხილს ისხამს.

## გეურქა

საქულჯან, კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძღება, ეგ წვრილმანი რამ არის. შენ სხვილებზე ილაპარაკე. მაგნაირი ეკონომია, დიდ ხეირს არ მოუტანს სახელმწიფოს. ავიღოთ ეს კონპერატივები და სახელმწიფო მაღაზიები. კაცო რა ხარჯები გაუძღეთ! მემრე რა ჯურა-ჯურა სახელები აქვთ და. ერკოპი, ბოეცი, ზაკტეპო, ზაკსოუზი, ცეკავშირი. სოფლის კავშირი. ეს კონპერატივები, ეხლა ტორგები რამდენია, ერთი დაითვალე. ზაკგოსტორგი, გრუზგოსტორგი სევკატორგი, არმენტორგი. ნოვტრესტტორგი, სევზაპტორგი, ტოფტორგი და რა ვიცი კიდევ რამდენი სხვა ტორგები არის მარტო ტფილისში. ამასაც რომ მოუმატოთ მრავალი ტრესტები, სინდიკატები და სხვები მაშინ დარწმუნდები, საქულჯან, იმაში, რომ კარგი რეჟიმ-ეკონომიის ჩამტარებელი, კურიერების და მაშინისტკების საკრაშჩენიას დაანებებს თავსა და შეუდგება ამ მრავალ რიცხოვან დაწესებულებების საკრაშჩენიას. მარტო ამით კიოსკები რომ გავყიდოთ, ეს ფული ეყოფა ოც კურიერების ჯამაგირს. მართლაც ულმერთობაა რაღა! ტორგები და კონპერატივები კი ბევრია, მაგრამ საქონლის მაგიერათ მაღაზიის ყაფაზებზედ თაგვები მაზურკას ტანცაობენ. რაც რომ ორმოც დაწესებულებაში საქონელი არის, სულ დაეტევა ერკოპის ორ მაღაზიაში.

## საქულა

გეურქჯან, შენ სიცოცხლეში მაგნაირი მართალი ჯერ არაროდეს არ გითქვამს. ეს ტორგები რომ შეუერთონ და ერთი მაგარი ტორგი შექმნან, მაშინ სახელმწიფო მიიღებს ათას თუმნობით ეკონომიას და მყიდველებიც, ჩემა მზემ, არაფერს დაჰკარგამენ, ესეც კოოპერატივები საცა ძაღლი კუდს გაიქნევს. უეჭველათ ერკოპის ვივესკას ხდება. მაღაზიები კი ბევრი არის, მაგრამ საქონელზეგ კი უკაცრავათო. „ცოტა, მაგრამ უკეთესიო“ ნათქვამია ამა!

მაშ მოდი მივწეროთ ჩვენ მეგობარს ამხანაგ ანდრო დოლიძეს, და ვთხოვოთ ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქციოს. ავტომობილების საკრაშჩენია გაბითურდა, რადგანაც პეტრესაგან ჩამორთმეულ ავტომობილში პავლე ჩაჯდა და ძველებურად სტეფანის რუსთაველის პროსპექტს. შტატების საკრაშჩენია კურიერებზე და რეგისტრატორებზე დამთავრდება. ჯამაგირების გადათვალიერებამ უფრო მეტათ ასწია სპეცების გასამჯელო. ამ რეჟიმ-ეკონომიის და საკრაშჩენიის დროს სერგო ერისთავმაც კი იშოვა ბანკში ადგილი. ისევ ამ ჟურნალ-გაზეთების საკრაშჩენიას მოვკიდოთ ხელი და ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.

## გეურქა

საქულჯან, წავიდეთ სახლში თორემ ჩვენ ცოლებმა საკრაშჩენიაში არ მოგვაყოლონ, ხომ იცი: ამნაირი საქმე ეხლა ადვილათ ხდება.

**ვინმე.**

## სიტყვას საქმე თუ არ მოს
## რასაც ვხედავთ აქ ჩვენ არ



## ...ეს აღარ არის მაშინ მარგი ...ხულიგნობის ერთი დარგი.




# ტყის მნიშვნელობა *)

ტყის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე თვითონ ტყე. მშვენიერია ტყე როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში. ზაფხულში ტყე მწვანეა, ხოლო ზამთარში თეთრი, რადგან თოვლია; თოვლი კი მეცნიერების გამოკვლევით მთაში უფრო ადრე მოდის, ვიდრე სოფელში, ბარში. (პროფესორების საყურადღებოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენში ბარი იხმარება არა როგორც მიწის მოსათხარი იარაღი, მაგ. თოხი. ბარი—არამედ როგორც სოფელი, ამ მნიშვნელობით არის აქა ნახმარი სიტყვა ბარში).

ტყეში ხალხი არ სცხოვრობს, არამედ ნადირები. ამიტომაც წუნია ბალნებს, როცა ტირილს დაიწყებენ ასე აშინებენ დედები:

— თუ იტირებ და არ გაჩერდები, ტყეში წაგიყვან ტურასთან და დაგტოვებო. შეშინებული ბავშვები გაჩერდებიან და ყაბულდებიან დაწყნებულ კერძს. ამ მხრივ საგრძნობია ტყის მნიშვნელობა. მამაკაცები ტყეში შეშას სჭრიან. სახლში მოაქვთ ურმებით, ცეცხლს ანთებენ და ზამთარში ცოლ-შვილს ათბობენ... თუმცაღა ეხლა ტყეში ხის მოჭრა აკრძალულია, მაგრამ ქურდულად მაინც ახერხებენ, ანდა თვითონ ტყის მცველიდან ყიდულობენ წიფელას.

კაცებზე ნაკლებ არა ქალები დადიან ტყეში და დიდ სარგებლობას ნახულობენ. ტყეში არის ველური წყავი, წაბლი, მოცვი, რომელიც სამჯერ მოდის ერთს წელიწადში და წიწიბო... ამას ქალები აგროვებენ და ინახავენ... მოცვის ჩაი პირდაპირ მისწრებაა თუ მუცელი გტკივა, ან და დასველდი და გაცივდი სადმე... წიწიფო ჩურჩხელად კეთდება, წაბლი იჭმევა როგორც ნედლი, ისე მოხარშული და შემწვარი; (მე ძალიან მიყვარს) წყავიც საჭმელია... ტყეში იცის სკამ, ფუტკარმა... თაფლი უყვარს დათვს**).

კიდევ ტყეში იცის სოკოში; ქალები კალათით ეძებენ და აკეთებენ საჭმელს... ტყე რომ არ იყოს, მგლები სოფელში დაიწყებენ ფარეშს და მუსრს გაავლებდენ წვრილფეხა პირუტყვს. ტყეები იფარავენ ნადირებს რომლებიც აღარ შემოდიან სოფელში, რადგან მათ აქვთ თავისი საცხოვრებელი. ამას გარდა ტყე რომ არ იყოს, მთელი ქვეყანა ვაკე იქნებოდა... თუმცა ეს რკინის გზის გასაყვანად უკეთესი იქნებოდა, რადგან გზებს გათხრა აღარ დასჭირდებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, სულერთია, თუ ტყე არ იქნებოდა, შპალები აღარ იქნებოდა და რელსები რაღაზე დაიჭედებოდა!

ასე საჭიროა ტყე ცხოვრებისათვის... ეხლა შევეხოთ ტყის რომანტიულად: რა ჯობია, როცა შეყვარებული გახლავს და ტყეში მიდიხართ ორივე ან მოცვის საკრეფად, ანდა სადილი მიგაქვს მამაშენთან. თავისუფლად ხართ... არავინ გხედავს, სადაც გინდა იქ მოეხვევი და აკოცებ, ვინ შეგიშლის ხელს; აქ ჩიტები დახტიან ხეზე და ჭიკჭიკობენ... იქ ისმის ცულის ხმა,—ხეს სჭრიან. ნიავი დაჭქრის:: ყველაფერი ხელს გიწყობს და გეუბნება: შეიყვარეთ ერთმანეთი... მოეხვიეთ... აკოცეთ:: სიცოცხლეა, ნამდვილი სიცოცხლე::

ახვალ მაღლობზე და გადმოხედავ მთელ სოფელს... ჰორიზონტი, რომელიც ვერ წარმოგედგინა როცა გეოგრაფიას გასწავლიდენ, ეხლა შენს თვალების წინ არის... დასცქერ მაღლობიდან ქვეყანას ამაყად და ასე გგონია, რომ ქვეყანა შენია და ის კი გავიწყდება, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ფაცხა გაქვს...

ამ ნეტარებას გრძნობ, როცა ტყეში ხარ.

ისელი.

---

*) ეს თემა მისცეს დასაწერად ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებიც აბარებდენ გამოცდებს უნივერსიტეტში. იაკინთე წკვერტაძემ დასწერა ეს თემა. როგორც სანიმუშო მუშაობას, ტარტაროზი ბეჭდავს.

**) დათვი უყვარს ლევარსი როხროხაძეს

ტარტაროზი.

# რა ჩემი ბრალია?

უდანაშაულოდ კაცი არ დაისჯებაო, ვინც ეს სთქვა, იმის...

არა, ერთი ის მითხარით, რა დამნაშავე ვარ მე ეხლა, მილიციაში რომ ვზივარ და ხვალ გამსახლისაკენ მიმაბრძანებენ მთავარ ქუჩაზე გავლით?! რის თავისუფლებაა ადამიანებო აგი?! თავისუფლება თუა, მაშ რატომ ვზივარ ამ ვირის აბანოში? იყე ღმერთი მაგენს უშველის, კაი თავისუფლება მაგენს ჰქონდეს.

**„ქალი და კაცი სწორია. ერთნაირ უფლებიანია, ერთგვაბად უნდა უყურებდეთ მათ“.** ო, იძახდნენ ეგ ჩემი ცოდვით სავსენი.

მეც ასე მეგონა. ყველა ქალი ჩემი ტოლი ყოფილიყო მინდოდა, ისე მომეცეს სიცოცხლე, როგორც კომუნისტებზე უფრო ქალები მე მიყვარდა. მეც განსაკუთრებულ პატივისცემით ვუყურებდი მათ. ჩამიარდა თუ არა გვერდში ლამაზი გოგონა, რაც უნდა უარზე ყოფილიყო, მაინც მივაცილებდი სახლამდე, იცოცხლე თქვენ და ჩემმა კეთილებმა, რამდენი სილა აუწნებიათ ჩემთვის.

სანამ „ვაენი კომუნიზმი“ იყო, ქელეხში ვიყავი გიყვარდეს ქალიშვილები.

— „აბა შენ, ბურჟუის შვილო, წამოდი ჩეკაში“ — შევძახებდი მაღალ ქუსლებზე შემდგარ კოპწიას; ისე აკანკალდებოდა, რომ ყველაფერზე თანახმა იყო. ტყუილა კი არ ამბობს ზოგიერთები: „ვაენი კომუნიზმი“ გვირჩევნიაო; სავსებით მართალნი არიან.

მერმე **„ნოვი ეკონომპოლიტიკა“** გამოაცხადეს, სხვას ხელი-არ ახლოო.

ცოტა არ იყოს კი მეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი. მე მაინც ჩუმად ვანხორციელებდი ჩემს გულის წადილს. ერთი ქალიშვილი არ გამიშვია, რომ ხელი არ შემომევლოს. განგებ რიგში ვდგებოდი, კიდევ არა უშავდა, სანამ რიგები ხშირად იყო, მაგრამ კარგ რასმეს განა დააყენებენ ესენი? აილეს, სწერეს და სწერეს: **მოვსპოთ რიგები, მოვსპოთ კუდებიო...** და მართლაც მოსპეს.

წინად იყო და ქალს ფეხის პოჭოჭსაც ვერ დაუნახავდი, ეხლა მთელი ბაყვები მოუჩანთ.მოდი და ნუ გაგიჟდები და. დღიან-ღამიანად ქუჩაში დავდიოდი, მაღლიდგან გადმომდგარ ქალს ერთ საათს ვუცქეროდი მელასავით.

მილიცია კიდევ ვერას დამაკლებდა. ეს მუშკორები რომ არ გადამკიდებოდენ. **„ხულიგნობა უნდა აილაგმოს, ხულიგნობა უნდა მოისპოს. პატიოსან ქალს თავისუფლად გავლის უფლება უნდა მიეცეს...** ეს ისაო და ის ესაო.

კეთილი და პატიოსანი, ვიჯდე მე აქ თუ თქვენი სირცხვილი არ იქნება. განა მე ვარ ხულიგანი? ღმერთი თქვენ გაგბერავს ისე. ხულიგნები სწორედ ეგ ქალებია, რომლებიც ყოველ ფეხის გადდგმაზე გედებიან წინ, სად გინახავთ მგელი და ბატკანი ერთად სძოვდა!? საცაა გამსახლში მიმაბრძანებენ, რომც გამიშვან მაინც არ გავალ; ერთი რომ ამ ზამთარში ხეტიალს იქ ყოფნა მირჩევნია, და, მეორეც, რა მინდა გარედ? ისევ ხომ უნდა დამიჭირონ?

მივდივარ, მოქალაქენო გამსახლში და მანამდე არ გამოვალ, სანამ იმ პირობას არ დამიდებენ, რომ ქალებს აეკრძალება მოკლე კაბის, გულმოჭრილ და უსახელოებო ტანსაცმელის ტარება. რა ჩემი ბრალია, თუ ვერ მოვითმენ და კიდევ რამე წამომცდება? გინდა ხულიგანი მიძახეთ და გინდ ნაძირალი; მე მაინც ჩემს პრინციპზე ვარ.

ობოლი.



# ესეც მათთაგანია



მღვდელი (შეზარხოშებული ზიარების ღვინით ვნებით უცქერის „ქალწულ“ მარიამს) უუჰ! რა იქნებოდი!? გასაკვირიც კი არ არის იოსების საქციელი.

# „თავ დასხმა"



ხულიგნებმა გაიგეს, რომ „ტარტაროზი"-ს დღევანდელ ნომერში ბევრი იქნებოდა მათი საწინააღმდეგო მასალებ ი, და ამიტომაც იერიში მიიტანეს რედაქციაზე...




მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა ტარტაროზი, მაშინვე თავზარდაცემულებმა უკან მოკურცხლეს.



### კიდევ გაწამაწია

ეს გაწამაწია კი მოხდა ზუგდიდში და ამის შესახებ იწერება ბოდოშა ქუდაგრძელაძე.

კუბოს გასავენტებელი მიტკალი მიცვალებულის პირისუფალმა მისცა ქვრივს, ეს რომ მამაო მ. ჯელიამ დაინახა, ცოფიან ძაღლსავით ეცა ქვრივს და მიტკალი წაართვა.



ჰოდა, ასე იყო აქაც საქმე მამაო მიხეილ! „ტარტაროზს" არ უნდოდა თქვენს შესახებ ამ ცნობის მოთავსება, მაგრამ, იცით, თქვენ გეწყინოთ და გეისაყვედურეთ:— თუ კი ქუთაისელ მამაო ანდრიას პატივი ეცით და „ტარტაროზში" მოათავსეთ—მე რაღა ვარ? ნუ თუ მაზე ნაკლები გალლეტილი ვარ?..

არა ხარ, მამაო. და ამიტომაც გეცით თქვენც პატივი.

### „ტელეფონი" (საჩხერე)

საჩხერეს და ქიათურას შორის ტელეფონის კარგად მუშაობას, მხოლოდ სადგურის მორიგე ქალს ყოველ-



თვის უხდება დარაჯის გაგზავნა კორბოულში, რათა ტელეფონი სალაპარაკოდ შეუერთონ ქიათურას.

### ხიდი (იქიდანვე)

ერთი კვირის შემდეგ საჩხერეში გაიდება ხიდი, რადგან სამი წელიწადია რაც ტეხნიკ-ინჟინერები იმუშავებენ ხიდის გეგმას.

### „მომჭირნეობა"

აი ეს სურათი გადაღებულია ტფილისის მთავარ სახელოსნოს სახარატო-საქროში. ადუღებულ წყალს „კილუნძის ბაკში, რომელსაც ოთხი გასადები აქვს, ყარაულობს ორი დარაჯი. ეს ცნობა მოგვაწოდა თანამშრომელმა (გოგია მეწინწკულე). ალბად ავტორი ფიქრობდა,



რომ „ტარტაროზი" უსაყვედურებს სახელოსნოს ადმინისტრაციას... პირიქით: მადლობა მას. ალბად ადმინისტრაცია წყლის მომჭირნეობას იცავს. წყალი ფული ღირს. (მუქთად ხომ არ იძლევა აღმასკომი), მისი ადუღებაც ფული ჯდება — და თუ მუშებმა ბევრი დალიეს, ზარალია.

### გაწამაწია

აი რას გვწერს ქუთაისიდან „კოტე გნაწაძე":

ბავშვის მონათვლაზე მამაო ანდრია გოგელაშვილს და მაისურაძეს მოუვიდათ ჩხუბი. მაისურაძემ გაარტყა მამაოს, მაგრამ არც მამაო დარჩა უკაცრავად.



ორივე მხარე დაკმაყოფილებულია. მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვიკვირს: რატომ მამაო ანდრია არ იცავს ქრისტეს სიტყვებს: მარცხენა ლოყაში რომ ვინმემ გაგარტყას, მარჯვენაც მიუშვირეო. (ალბად მაისურაძე ფიქრობდა, რომ მამაო ანდრია ასე მოიქცეოდა; მაგრამ უკაცრავად,— ანდრია არ ჩამორჩენია მას.

## ღვინის სმა (იქიდანვე)

საჩხერის რაიმილიციის ზოგიერთმა თანამშრომლებმა ერთხმად დაადგინეს: ამიერიდან ალაო დავლიოთ ღვი-



ნო; ხოლო თუ ვინმე დაგვაძქლებს, მაშინ რაც ჩვენ მოგვრჩება, დავალევინოთ ცხენებს. შალიკო.

## რევიზია (სოფ. საგარეჯო)

სოფ. საგარეჯოს სახალხო თეატრში ადგილობრივი ძალებით წარმოადგინეს „ხანუმა". ალბათ ზარი არ ჰქონდათ და მამლის ყივილს უცდიდნენ. როგორც კი მამლებმა შუაღამის იყივლეს, მაშინვე აიხადა ფარდა (ბალდახინის გადასაფარებელი) და მძინარე დამსწრე საზოგადოებასაც გამოეღვიძა (ალბათ გათენდა ეგონათ)... ბევრი ვაი-უის შემდეგ ქაბატომ დიდქუსლიანი ფეხსაცმელი ესროლა მსახურს; ფეხსაცმელი პარტერში გადმოვარდა; ქაბატომ კი გულიანად გადიხარხარა... მაჭანკლისა რა მოგახსენოთ და პრინცესას კი ძალიან ჰგავდა. ქაბატოთი მოხიბლულმა და გაბრუებულმა მოკარნახემ ორი ფურცელი სალაპარაკო მოჰპარა ხანუმას, მაგრამ ამ დროს აკოფას ყვირილმა ყველას ყურადღება მიიპყრო და ეს არავის შეუმჩნევია. დათიკო დარაჯი ყოველ წუთში მზად იყო თუ მონასტერი აირეოდა, ფარდა ჩამოეშვა. აკოფა მშვენიერი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი იქნებოდა, რომ სრულიად არ გამოსულიყო სცენაზე. როცა უკანასკნელად წარმოდგენის დასრულებისას ფარდა ჩამოეშვა, დათიკო დარაჯი შეუდგა ხალხის გაღვიძებას. სამი საათის მუშაობის შემდეგ, კიდეც გაისტუმრა უკმაყოფილო საზოგადოება თავიანთ სახლებში. მახლას.

## თავკერძა გამგე (ლანჩხუთი)

ცხრაწლედის მასწავლებელთა კრებაზე მოხდა დიდი ოფლის ღვრა, გამგემ აიღო ოცი გაკვეთილი, რის წინააღმდეგაც გაილაშქრეს მთელმა მასწავლებლობამ. გამგემ მის ასეთ საქციელს ამართლებს იმით, რომ მას ბევრი სახარჯავები აქვს, ხოლო ბევრ სახარჯავს ბევრი ფული სჭირიაო. მუქარამ და მუშტებმა ვერ დააფრთხო მასწავლებლობა, რის შემდეგ გამგე იძულებული გახდა გამოზებული გავარდნილიყო გარეთ... არ ვიცით სად წავიდა. მზვერავი.

## ქვით უკეთესი შეფი

თქვენ გგონიათ—ზაკავტოპრომტორგმა იმიტომ აიღო შეფობა ბაზალეთზე, რომ სოფლისთვის რამე გაეკეთებინა?.. სრულებითაც არა. თურმე იმიტომ აულია, რომ აქ ბევრი ყოფილა მწყერი,—და მწყერზე ნადირობა, მოგეხსენებათ, იცოდნენ როდესმე ჩვენმა თავად-აზნაურობამ. რომელსაც, როგორც ჩანს მემკვიდრეობა ზაკავტოპრომტორგელებს გადაულოცია. ცხადია, რომ დაუჯეროთ (და რომ არ დაუჯეროთ რა უფლება გვაქვს) საქმე ასე ყოფილა: ფულს არა ზოგავს შეფკომი

არც ძალას ავტო-ბუსია.
ზიდავს: გაზეთებს, პლაკატებს.
მათ თუ გაარჩევს რუსია.
წიგნები ელის ჭამბრელსა,
გაზეთიც ნატრობს თარჯიმანს...
ერთხელ კვირა დღეს გვესტუმრ,
შეფკომის „ბუსი" დიდია,
შიგ იჯდა კაცი ოცამდი...
ყველას მწყერები ჰკიდია.



ეს კიდევ რაა! როცა მწყერები გაუფრინდათ (ნადირობის დროს საჭიროა სიმწყნარე; ესენი კი არეულ-მარეულს აყრუებდნენ),—ჰაერში ქუდებს ისროდნენ.

ვასო მწყერს ესვრის, მიტო მტრედს,
მათ რაც ჩამოარჩეს ბაგრატა.
ქუდს არ დააცდენს ის არც ერთს
თუ ბედმა არ უღალატა.

ყველა ამის შემდეგ „ტარტაროზმა" ამ წერილს ცოტათი ასე შეუცვალა სათაური: მართლაც „ქვით ასეთი შეფი"...

## სიუხვე (ტყიბული)

თუ ვინმეს გნებავთ მიიღოთ უდიდესი მადლობა, მიმართეთ პარტკომის პასუხისმგებელ მდივანს ალექსანდრე ხამთარაძეს.

## კურსების დასრულება (იქიდანვე)

ტყიბულის მო-ს გამგეობამ ჯერჯერობით თავის ნოქრებიდან გამოუშვა ექვსი მიკიტანი და სამი მღვდელი. არ მოდგა.



# ორი თითი



აბა, ერთიც ვნახო ამას თუ რაში აქვს ჯიბეში!?

დაგექცეს ოჯახი, ჯიბეგამოფხეკილო.



ვ-ბელაგორელს. თქვენ გვწერთ, რომ 22 აგვისტოს

**იყო სალამო ვახშმიანი...**
**ყველა იყო მადიანი.**

მიხას მეოხებით მომხდარა აყალ-მაყალი და ცემა-ტყეპა... შე კაი კაცო, როცა ვახშმიან სალამოს მართავდით, მაშინ რატომ არ მოგაგონდათ ტარტაროზი და რატომ არ მიიპატიჟეთ?.. ეხლა კი, როცა საქმე წახდა, გვესვეწებით:

**რკინის ჩანგალზე ააცვი**
**მიხა ჩია ხორცისაო.**

ვახშამი თქვენ შესჭამეთ, და ტარტაროზს კი ჩია მიხათი უმასპინძლებით. არა ძმაო, მაგისთვის ტარტაროზი მანდ ვერ ჩამოვა.

**კუდს.** ჭკვიანი კაცი ხართ, და როცა არ დავბეჭდეთ, კი მიხვდებით სად წავიდოდა თქვენი „სამი დღის თავგადასავალი". (კიდევ კარგი, რომ სამი დღის იყო, და არა მეტის).

**ავტორს,** რომელმაც მოიტანა რედაქციაში ორი ლექსი სათაურებით: **„ვაი-უის ხმაზე"** და **„ხელშეკრულება"**. თქვენი ლექსების ცალ-ცალკე დაბეჭდვას ვამჯობინეთ ერთად დაგვებეჭდა ორივე და მივიღეთ

## ვაი-უის ხელშეკრულება

მოდით და ჩვენც დავდვათ ერთმანეთს შორის ხელშეკრულება,—თქვენ გევალებოდეს, რომ ამიერიდან არ მოიტანოთ; ხოლო ჩვენ გვევალებოდეს: თუ ვინიცობაა თქვენ გაბრიყვდით და მაინც მოიტანეთ, ჩვენ ისინი არ დავბეჭდოთ და გადავგზავნოთ უფსკრულ გოდორში, როგორც ეს ეხლა ვქენით. ხელშეკრულება ესე ძალაში შედის თქვენ მიერ „ტარტაროზში" ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ.

**უშა-კვერთხს.** სურვილი კარგია: გახდეთ „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი, მაგრამ საეჭვოა, რომ თქვენ ეს შესძლოთ (ჩვენი ასეთი შეხედულებ თქვენს წერილის დაბრალეთ).

**ჩიტაიას** (ს. ქვედა-ხუნწი). კარგად ჩატარებულა საღამო, მაგრამ თქვენ გულს მაინც იმიტომ გაკლიათ, რომ ზოგიერთებმა დაუზიანებელი თავები გამოიტანეს. ნუ იდარდებთ, არა უშავს რა; ერთი სალამო კიდევ გამართეთ, და ნაკლი გამოსწორდება.

**ჩახ-მახს.** ნუ თუ ამდენი რამე დაჰკარგეთ, რომ ამდენ დაკარგვის განცხადებებს გვიგზავნით?.. ნეტავი ეს წერილი დაგკარგოდათ, მაშინ ჩვენ აღარ დაგვეკარგებოდა დრო მის წასაკითხად.

**სურამელ მაროს.** ახირებული შეკითხვაა თქვენი შეკითხვა:

**ვარ უქმარო ქალი. მიყვარს ღამით სეირნობა, რამაც შემძინა შვილი, რომელიც სხვას მივუგდე საზარდელად დროებით. ეხლა გამზრდელი აღარ მაძლევს. სასამართლოში მოვიგე.ა. როგორ მოვიქცე?**

რაღას ედავებით გამზრდელს! ამდენ ხლაფორთს ისა სჯობია,—მეორე შვილი შობოთ.

**ნოე ქ—რის.** თქვენს თავში ჰქრის, თორემ რომელი ჭკვიანი კაცი შეუდგება ქვეყნის ისე მოწყობას, რომ

**მგელი, ცხვარი ერთად სძოვდეს**
**დიდი მტკიცე სიყვარულით.**

მგელი არ იტყვის უარს ცხვართან ერთად ყოფნაზე, მაგრამ ცხვარს შეეკითხეთ თუ თანახმა არის?!

**ალენახცო ოსოს.** არა მარტო თქვენი ფსევდონიმია უკუღმა, არამედ მთელი თქვენი აზროვნება.

**„ჭკუამტკაველას".** გულახდილად გვითხარით: ჭკუა როცა „დამტკეცლეთ"—დაზომეთ, რა ზომის გამოვიდა? ერთი ციდა იყო! მგონი ნაკლები... აბა რა მოგარბენინებდათ იქ, სადაც ნიკო შევიდა და ნუნუც იქ მიედვა?! თქვენი წერილიც იქ გამოგვადგა.

**„კირილეოსონს"** (საქამიასერი). იწერებით:

**მასწავლებელი გვეწვია,**
**სახელად შქვია ალვასი.**
**შესახედავათ, თუ მკითხავთ**
**მართლაც არის ალმასი...**

მაგრამ რად გინდათ, შემოუღია
**ძველი წესებით სწავლება.**

ალბად ალვასის ასე ესმის და ასე ფიქრობს:

**„ცხოვრების ყველა დარგში ცდილობენ მიაღწიონ ომის წინადროინდელ მდგომარეობას... მაშასადამე; სკოლაშიაც მასწავლებლები უნდა ცდილობდენ იმის წინადროინდელ მდგომარეობის შემოღებას".**

საწყალი ლოლიკა, რომელიც „გაჯახირებულა" ალვასის თავში. კარგი იქნებოდა სამაზრო განათლების განყოფილება ალვასის წაუკითხავდეს ლექციას.

**პ. გოცირიძეს.** გვთხოვთ:

**დაგვიდასტურეთ, რომ 1925 წ. 27 სექტემბერს „ტარტაროზი"-ს № 18 (21)-ში მოთავსებული კარიკატურა ვერის დაღმართზე მცხოვრებ კბილის ექიმ ვარშავსკის შესახებ, მე არ მეკუთვნის.**

გიდასტურებთ, რომ თქვენ არ გეკუთვნის, მაგრამ მას შემდეგ სწორედ რომ ერთი წელიწადი გავიდა და სად იყო ამდენხანს ექიმი? ნუ თუ ეხლა გამოფხიზლდა?..

**ბრაგუნას.** თქვენი წერილიდან ვერაფერი გავიგეთ, თუ **რა ხდება თქვენს სოფელში**; ამიტომ მას ბრაგვანი ვუქენით უფსკერო გოდორში და ალბად იქ გაიგებენ თუ **რა ხდება თქვენს სოფელში.**

**სიმართლის მთქმელს—ვ. რ.** არა გეტყობათ, რომ სიმართლის მთქმელი იყოთ. ბრალმდებელი რა არის თქვენი? ყოველს შემთხვევაში ეს მეტად რთული გამოსარკვევია, და ამიტომაც უფსკერო გოდორში ჩავდევით, სადაც საქმეს მსვლელობა მიეცემა.

**ნემსის წვერს** (სამტრედია). გვიხსენით კატოს და აგრაფინას შაირებისაგან. ჩვენ მოსვენება გვინდა.

**მარნელს ისარს.** კაცო, „ტარტაროზი"-ს № 65-ში ხომ მოგცეს პასუხი, რომ თქვენი ლექსი არ ვარგაო? თქვენ ეს პასუხი წაგიკითხავს, მაგრამ იმავე ლექს შესწორებით ისევ აგზავნით. შეგისწორებიათ, ძაგრამ კიდევ უფრო უარესია... მოგვეცით მოსვენება, თორემ თქვენ რო ვერ გამოგინახავსთ რითმა ამ სტრაქონებისათვის:

**ეხლა დრო არის: შეუდგე**
**დავაღილინო სტვირია,—**

ჩვენ გამოუნახავთ ამ სტრიქონებს ასეთ რითმებს:

გაჩერდი, ნუღარ გვაწუხებ,
თორემ აგძვრება ცხვირია.

რომ კი სჯობია თქვენს რითმას:

**ტარტაროზსა გადუგზავნი**
**ვინც არ არიან ფრთხილია.**

აი ამ სტრიქონებსაც გამოუნახავთ რითმებს და გაიგეთ:

რომ ჩვენთან თანამშრომლობა
არ არის მთლად ადვილია.

**თრითინას** (სეზტაფონი) თქვენ ტყვილა ამბობთ საყვედურს, რომ ქუჩებში:

**ძაღლი გიკბენს და ღორი ხომ**
**ტალახშია ამოსვრილი;**
**გაგედება, გაისვრები**
**და გიტყდება თვით სიცილი.**

ძაღლებზე რა მოგახსენოთ, და ღორებს კი მადლობა ეკუთვნის თქვენგან, თუ კი გაცინებენ.

**რა ვუყოთ, რომ მილიციას**
**მოუვიდა უკვე ძილი?!!**

რა ვუყოთ! არაფერიც...

**აქ ჩვენს ქალ-ვაჟს შეუყვარდათ**
**საარშიყო ღამე ბნელი.**

კარგი გემოვნება ჰქონებიათ, და რა არის აქ დასაძრახი? კარგი, დაგეთანხმოთ, რომ დასაძრახია... ისინიც ხომ ბნელ ღამეში არშიყობენ, რათა სხვებმა არ დაინახოს... ნუ უშლით ხელს.

**იქსკვადრატს.** გვაცნობეთ დაწვრილებით, თუ რომელ სამტრედიელ კატო მიქაძეს ეხება თქვენი წერილი, რომელიც მოთავსებულია „ტარტაროზი"-ს № 65-ში მე-13-ე გვერდზე.








# „კომისარიატში“



უბნის უფროსი: ეს ხულიგნები რატომ არ ჩაგიყრიათ საკანში?

მორიგე: საკანი უკვე სავსეა ხულიგნებით. და თავისუფალი ადგილი არ არის, რომ ესენიც მოვათავსოთ!

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 69 ქვირა, 10 ოქტომბერი 1926 წ. № 69

## მეზობრული შარჟი

სრულიად საქართველოს გლეხკორთა ყრილობამ ამხ. შ. ელიავა და ლ. ქართველიშვილი აირჩია საპატიო გლეხ კორებათ.



# სიცილი. ჰიუმორი და „მაუზერი“

მწერლობაში ჭეშმარიტებათ არის დამკვიდრებული აზრი, რომ სიცილსა და იუმორისტულ ორგანოს შორის, ანუ მოკლეთ—სიცილსა და ჰიუმორს შორის უშუალო, თითქმის ორგანიული კავშირი არსებობს.

ამიტომ იუმორისტულ ჟუნალის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს მკითხველთა გუნებაში სიცილის გამოწვევა, ზოგჯერ მხიარულების მთელი კოცონის დანთება.

სიცილი რომ სასარგებლოა, განსაკუთრებით—რიგიანი გაძღომის შემდეგ,—ეს მწყერჩიტამაც კი მშვენივრად იცოდა, მელა რომ აბრიყვა და თავი აცინებინა.

რითი გადუხადა მწყერჩიტამ მელას ასეთი სამსახური? თავის გაჩეხითა და მწყერჩიტასათვის განაწამებ ტანიდან სულის გამოფრთხობინებით.

ამიტომ იმ თავიდანვე, ე. ი. , მელას მწარე შემთხვევის დღიდანვე დამტკიცებულ ჭეშმარიტებათ არის აგრეთვე ცნობილი, რომ იუმორისტი სხვას აცინებს, თვითონ კი არას დროს არ იცინის. პირ იქით: თუ მელას ამ შემთხვევაში ცხადებულ ხვედრს მივიღებთ გამოსავალ წერტილად, გამოდის, რომ ჰიუმორისტი, ანუ სხვის ტუჩებზე სიცილის გამომწვევი პიროვნება არა თუ არასოდეს არ იცინის თვითონ, არამედ ყოველთვის ტრაღიკულად ათავებს თავის საკუთარ სიცოცხლეს.

მართალია, მე იუმორისტად არავინ მაგდებს, მაგრამ თავისთავს მე თითონ ვთვლი იმორისტად. და, განა, რომელ „ცისფერ ყანწელზე“ ნაკლები ჭკუა მაქვს მე, რომ თავისთავს ძალად იუმორისტად არა ვსახავდე, როცა ისინი, თავიანთავებს უდაო პოეტებათ აღიარებენ და საქართველოში დღეს უკონკურენტო პარნასელებათაც კი რაცხავეენ?!

ასეა, ჩემო ტასია, ვამბობ მე. მორჩა და გათავდა: მე გახლავარ დიდებული და, თუ გნებავთ, უდიდებულესი იუმორისტი!

მე პოეტიცა ვარ იმავე დროს და,ვინაიდან პოეტებისათვის კანონი არ დაწერილა, ამიტომ ყოველივე ის, რაც სავალდებულოა იუმორისტისათვის საზოგადოთ, როგორც ეს ზევით მოვიხსენიეთ, ჩემთვის სრულიად მიუღებელია, როგორც დაკანონებული და სავალდებულო რამ.

მაგალითად: აი, მე ვსწერ იუმორისტულ ჟურნალისათვის წერილს, ე. ი., „ვიქ საქმესა ჰიუმორულს“, მაგრამ სრულიად ვალდებულად არ ვრაცხ თავს, რომ ვისმე პატივცემულ ტუჩზე ამითი სიცილის თუნდაც ოდნავი შუქი გამოვიწვიო.

მე ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოგახსენებთ მამაკაცებზე და არა ქალებზე, და ეს შემდეგი მოსაზრებით:

მართალია, ქალები და კაცები დღეს კანონით გათანასწორებულია, მაგრამ მე მაინც ეჭვი შემდის იმაში, რომ ქალის მიერ ხელმოწერილი ვექსილი დღეს რომელიმე ბანკმა გაანაღდოს. თუმცა არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო, რომ ამ მხრივ არც მამაკაცებია დღეს ქალებზე ბევრათ უფრო სანუგეშო მდგომარეობაში იმათ გარდა, ვინც ვექსილებს დღეს ხელებს აწერენ ზოგჯერ ყოველგვარი ვალდებულობის გრძნობის გარეშე.

მეორე მოსაზრებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ წერილის კითხვის დროს, შეიძლება რომელიმე ჭკუის კოლოფმა ქალის ტუჩებზე შენიშნოს ალისფერი რაიმე ზოლი და მან იგი ჩასთვალოს სიცილის შარავანდათ.

აქ, რა თქმა უნდა, ეგრედ წოდებული „დალტონიზმი“ (თვალის ერთნაირი სნეულება, რომიოიც მხედველობის სიყალბეს იწვევს) სრულიად არაფერ შუაშია, ვინაიდან ქალის ტუჩებს წითელი ზოლი თით ქმის სამოთხის დროიდან მომდინარეობს და, ახლა თუ ასე იხშირა ამ მოვლენამ ჩვენებურ ქალაქის ქუჩებზე, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ისევ სამოთხეს და ამ შემთხვევაში—უკვე ამ ქვეყნად ნამდვილ სამოთხეს ვუახლოვდებით.

თვითონ წითელი ზოლიც ქალის ტუჩებზე სწორეთ ამისი უტყვად მოლაღადეა, რომ იმ ზოლს იქით ქალი მთლად სამოთხეა და ტუჩებიც—შესასვლელია ამ სამოთხეში. (უკაცრავად იმ დაწესებულებებთან, რომლებიც თავის კარებზე აწერენ არა „შესასვლელს“, არამედ „შესავალს“ და ამას ისინი სჩადიან იმიტომ, რომ ყოველი დაწესებულება დღეს მართლაც მარტო „შესავალს“ წარმოადგენს იმ დიადი დრამისას, რომესაც ეწოდება შემდეგ „წმენდა“, „შემოკლება“, „შეკვეცა“, „მოკვეცა“ (წელში უფროსის წინაშე, რა თქმა უნდა) (შეკრეჭა“ (კბილებისაო უფროსისათვის, თუ იგი შენზე უფრო მაღალია) და ბოლოს „შეხვეჭ“ (ფულებისა სალაროში, ხოლო იქიდან—საკუთარ ჯიბეში), რის შემდეგაც იწყება სისხლის სამართლის მილიციასთან ცოტა „კონცესიები“ და ყველა ეს უსიამოვნება ბოლოს თავდება პროკურორის მცირედი სიამოვნებით, თუ დახვრეტა მოგისაჯეს, როგორც დამნაშავეს სახალხო ქონების გაფლანგვაში.)

ჰო... ამას მოგახსენებდით, მე სიცილზე მინდოდა წერა და აი, დალახვროს ღმერთმა, უნებლიეთ ტირილზე კი გადავქედი.

თუმცა პოეტმა სთქვა, მგონი: „ზოგი სიცილი ცრემლზედ უფრო მწარეა“-ო, მაგრამ მე ნამდვილ სიცილზე მოგახსენებთ, ცრემლის დენამდე სიცილზე და არა ისეთზე, რომელიც მხოლოდ ცრემლის დენას უდრის.

დიახ, ჩემთვის კანონი არაა, მაგალითად, ის, რომ ჩემმიერ თქმულმა სხვა აცინოს, ხოლო მე კი გაბერილ ფშუტურასავით ვიდგე, და ამას გულგრილად ვითმენდე.

სიცილი ბევრნაირია:

სიცილი, ღიმილი, დღლაბვა, ცქლაპვა, ცქლიპვა, პიწკვა, პუწკვა, ხირხიცი, ჩითხითი, კირკიცი, კისკისი, ხორხოცი, ღოღოხი, კორკოცი, კარკაცი, ხარხაცი, რახრახი, ტარტახი, ფხუკუნი, ფრუტუნი, ქქლოპინი, ჯღოყუნი, ღლოჭინი, კვიაცი, კიასი, ბრიხინი, ბლიყინი ხვიხვანი და სხვა.

როგორც ხედავთ, სიცილი ბევრნაირია და უფრო მეტ ნაირი თვით ჰიუმორიც.

ეს ჩემი წერილიც ერთ იუმორისტულ წერილთაგანია, მაგრამ წინასწარ ყოვლად შეუძლებელია იმისი თქმა, თუ რა ხასიათის სიცილს გამოიწვევს ის მკითხველთა ტუჩებზე.

შეიძლება ზოგი ისედაც გააბრაზოს, რომ ტუჩებზე დორბლებმაც ერთი ორი (თუ მეტი არა) კიდეც შემოგვიკურთხოს.

მათი ნებაა.

ჩვენ უკვე ჩვენი მოვითავეთ: ეს წერილიც დავსწერეთ, ზედ კიდევაც ვიცინეთ. ხოლო ნათქვამია: „ნამდვილად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო“, ახლა რედაქტორის საქმეა: გაბრიყვდება, გაიცინებს და—ჰონორარს გადიხდის, არა და—ჩვენ გაგვაცინებს, ხოლო მას, ამის შემდეგ, უეჭველად რაიმე ტრაღიკული ბოლო მოელის. ყოველ შემთხვევაში ამ წერილის დამწუნებელს, რედაქტორი იქნება ის, თუ უბრალო მკითხველი, თუ „მაუზერი“ არა, უბრალო სიკვდილი მას მაინც არ ასცილდება.

ციცი.



# ოი, წმინდაო გულუბრყვილობავ!

ვარდენ: რად ჩამოგიშვია ცხვირი თედო?

თედო: ნუ ჩამოუშობ, თუ ბიჭი ხარ! სულ წაწყმედილი სიდედრი მომიკვდა. რომ საძარხის ფული ამელო, დედათ ჩავწერე მოწმობაში. სტრახკასის თავმჯდომარემ პირი მიშალა: „შენი დედა უნდა ყოფილიყო"-ო... რომ კითხოთ ასე ამბობენ: ქალი და კაცი ერთ უფლებიანი არიანო... ვინ გაოყო ცოლი და ქმარი. ჩემთან თუ არ ცხოვრობდა სოფელში ხომ იყო? ეს არის რომ იძახიან: პირი სოფლისაკენო?.. იმის ხუთი თუმნისთვის ნამდვილ ჩემ დედას ხომ არ მოვკლავდი?!

ამას წინად ჩემ ცოლის დას ბავში შეეძინა. რომ რძისა და დაბადების ფულით მესარგებლა, ბავში ჩემად ჩავაწერინე. ამაზე გადამემტერა სტრახკასის თავმჯდომარე და აღარ მასვენებს. კაცო, რა სისულელეა: ჩემ ცოლს თუ არა, ჩემ ცოლის დას ხომ შეეძინა? რა შორებელი არიან ერთმანეთის?! აბა ჩემ ცოლს რომ ვუყურო, ეგება სულ არ შეეძინოს შვილი. ჩემ მეზობელ ონისიმეს „დიზინტერიამ" სამი ბავში მოუკლა სამივეს სამარხი „დიზინტერიამ" სამი ბევში მოუკლა; სამივეს სამარხი განადგურდი, ამოგიწყდეს ოჯახი და მაშინ მოგცემთო... ეს არის მაგათი კანონი?!

ვარდენ: წერა კითხვა ხომ იცი?

თედო: ქადაგობენ:—არ დარჩეთ არავინ წერა-კითხვის უცოდინარიო... მარბენინეს კლასში, მასწავლეს წერა-კითხვა, ციფრები,—მარა თუ არ მომცემენ საშუალებას რომ მოვიხმარო, სწავლა რაღა ეშმაკად მინდა.

კარდენ: როგორ თუ არ გაძლევენ საშუალებას?!

თედო: როგორ და „ბილიუტინის" ფული მერგებოდა 10 მანეთი; ათს წინ ერთი ხაზი ჩამოუსვი და ასად გავამრავლე. ესო „პოდლოგი" გაგიკეთებიაო. რავაც უნდა ისე იტყვიან"

ვარდენ: კრებებზე არ დადიხარ?

თედო: რაღაც ეშმაკად ერთხელ დავესწარი და კინალამ დამახვრჩეს. ხუთი თვის საკავშირო გადასახადი არ მქონდა შეტანილი და ხალხს რომ ჩემი ცოლ-შვილი არ შეცოდებოდა, თავმჯდომარე კავშირიდან მიპირებდა გაძევებას, მერე რომ ვერაფერს გახდა, ასეთი ბრალდება წამომიყენა: კრებებზე იგვიანებო. ამის შემდეგ არც დაგვიანებით ვაწუხებ და არც ადრე მისვლით.

კავშირში აწი რაღა ეშმაკი მინდა! რაღაც ეშმაკად 30 მანეთი ვისესხე. სულ დიდი ხუთი თვე შემიჩერდა, ვერ შევიტანე, ამისთვისაც ერთი ამბავი მიქნეს. სამი თუმანი კი არა,ამ ხალხმა სამი ათასი სახელმწიფო ფული შეჭამეს, მარა ერთი წლის შემდეგ, ქე გამოუშვენ ციხიდან... ჰო-და მე რომ ჩვენი კასის სამი თუმანი შევჭამო ამითი რა დაშავდება?! რომ ჰკითხოთ, გაიძახიან: მუშის არის ქვეყანაო. კავშირი რო ამას გიზამს, ადმინისტრაცია რა ხეირს დაგაყრის? ჩეკამ მითხრა—ციხეში უნდა გაგზავნოო.

ვარდენ: ცნობ შენ თავს დამნაშავედ?

თედო: არ ვცნობ, მარა ქვეყანა რო შამოგძახებს:—სულელი ხარო, უნდა გაჩუმდეო,—გამიგონია ცხონებულ სიდედრისაგან.

ვარდენ: სოციალური მდგომარეობა როგორი გაქვს?

თედო! სოციალური ჩემისთანა ვის აქვს გავლილი! 1916 წელში ქუთაისში ალიხანოვს რომ ბომბა ესროლეს, მისი ხმა ჩემზე უწინ არავის გაუგონია. კაზაკებმა ნემსაძის შენობას რომ ცეცხლი წაუკიდეს, იმ ცეცხლს ისე უყურებდი, როგორც მე ეხლა შენ. მერე ზესტაფონში რომ ჯადაწვეს. კიდევ 1905 ბუდუ მდივანი ბაღში რომ ქადაგებდა, ვინ იყო საყურებლად ხეზე გასული? მე! ვინ უსმენდა დაინტერესებული? მე! ახლაც მახსოვს მისი სიტყვები: ამხანაგებო, ერთობა და ძმობაო...

ვარდენ: მაგას არ გეკითხები. ოჯახური მდგომარეობა როგორი გაქვს, რომ შეგიმსუბუქონ სასჯელი! ღატაკი თუ ხარ?

თედო: ახლა მაგათი გულისთვის ვენახს და ყანას ვერ მოვსპობ და რაღაც ორ სართულიანი სახლი მიდგია, იმას ხომ ვერ დავწვავ!?

ვარდენ: იცი რას გეტყვი: შენ საკმარისად გქონია ცოდვები. და მიეცი ასეთი შინაარსის განცხადება: „ვინაიდან დამნაშავე ვარ, ამ ბრალდებებში და მასთან ვარ სოციალურად ღატაკი, გთხოვთ მომათავსოთ გამასწორებელ სახლშითქო.

თედო: კი, მაგრამ ჩეკა ციხეში გაგზავნის.

ვარდენ: ასეთი განცხადების შემდეგ გაგაგზავნიან—გამსახლში.

თედო: კი. მაგრამ ციხეს სჯობია გამსახლი?!

ვარდენ: რა თქმა-უნდა სჯობია.

მილიციელი: (თედოს) თქვენ დაპატიმრებული ხართ.

თედო: კი, მაგრამ მე გამასწორებელ სახლში მივდივარ!!

მილიციელი: მე გაგაცილებ.

თედო: რაღა ჯანი მაქვს: მაგრამ არ მომატყუო!

ვარდენ: გზა მშვიდობისა, თედო...

კოსტაიდი.

# შვიდი აბაზი



— ძია, არ დამიჭირო ქურდობისათვის და სამაგიეროთ ჯამაგირის მომატების ამბავს გახარებ: თითოულ უფროსს მილიციელს მოგემატათ თვეში შვიდი აბაზი.

# ჩვეულება



—სად მიდიხარ ამ სკამით, იოსებ?

— სალამოზე,—ლექსი უნდა წავიკითხო და იქნებ, კლუბში სკამი არ იყოს...

— მერე, როგორ?! ლექსი დამჯდარი უნდა წაიკითხო?!

— საქმეც ის არის, რომ ამდგარი უნდა წავიკითთხო და ხელის დასაყდომად გამომადგება.

# „შური იძია“

ახლად გაფართოვებულ სადგურის ქუჩაზე ორი კაცი დგას და საუბრობს:

— კაცო, ეს ქუჩა რომ გააფართოვეს, გაალამაზეს და ცალ მხარეს მოკირწყლულ ქვაფენილი დააგეს, მეორე მხარემ რა დააშავა? რატომ არ აკეთებენ?

— იმიტომ არ აკეთებენ, რომ ალმასკომი გაჯავრებულია დამზღვევ სალაროზე.

— ბიჭოს! აქ დამზღვევი სალარო რა შუაშია!?

— აბა კარგად დაფიქრდი.

— დაფიქრდი კი არა, ასი წელიწადიც რომ ვიფიქრო, ვერ მოვიფიქრებ, თუ დამზღვევ სალაროს რა ბქვს საერთო სადგურის ქუჩასთან?

— ალმასკომი რაკი გაჯავრებულია დამზღვევ სალაროზე, ამითი ჯავრს იყრის მაზე.

— არაფერი მესმის...

— არაფერი გესმის, მაგრამ ძალიან ადვილი გასაგები კია. აი, იმ მხარეს რომ ოღროჩოღრო გზაა, ადვილად შეიძლება იქ მოსიარულე მუშებმა ფეხი იღრძონ, ან კისერი მოიტეხონ და საქმეს მოსცდენ.

— მერე?

— მერე ისა, რომ ამის გამო გამცდარ მუშებს ყოველ გაცდენილ დღეზე უნდა მისცეს მისი დღიური ხელფასი დამზღვევ სალარომ და ამითი ზარალი ნახოს...

**ნიკოს ას—ლი.**

# „გაჩერება“

რონოდები სდგანან...
„გაჩერებები“ გარბიან!..

ფარნიევს თუ ენება
ჩვენი გამოშტერება:
რონოდა რომ ერთგან სდგას,
გაგვირბის „გაჩერება!“..
დღეს აგერ სჩანს, ხვალ—იქ, ვით
გაგიჟებული პორტმანი;
რონოდს აქ შედგომა სურს,
მაგრამ უშლის ვატმანი.
შეხტები,—კონდუქტორი
შენ ათშაურს აგაძრობს,
არა და—„გაჩერება“
უეცრად გაგასწრობს!..
სდგეხარ საქოს ვირივით
რონოდების ლოდინში:
„გაჩერება“ გაგიდნა,
შენ რომ ეგდე ლოგინში!..
ახალ გადანაცვლების
ადგილს შეიშურები,
ხედავ: იქაც არ გხვდება,
სდგეხარ და იყურები...
ამ ქარიშხით, თვალებში
ჩანიც ვაშომელია:
ეს ბოძია, ის ბოძი,
თუ ნეტა, რომელია?!..
აკვირდები ცივს ბოძებს,
ეძებ ახალს შესასვენს,
აქ ცუდს ისეთს რას იტყვი,
რომ თვითვე არ შეგარცხვენს?!.. ნ.

# თავსატეხი

მამაჩემი სახელოვანი ვაჟკაცი რომ არის და იყო, ყველამ იცის; თუ ვინმემ არ იცის, არც არის საჭირო, ვინაიდან ვინც იცის, ისიც საკმარისია და უკეთესია რომ არ იცოდეს.

მამაჩემს ჰყავდა დედაჩემი ცოლად. როცა დედაჩემი მოკვდა, იგი დაქრივდა.

მიცვალებული დავასაფლავეთ...

...და როცა ეკლესიიდან სახლში ვბრუნდებოდით, მამაჩემმა შემაჩერა გზაში და მითხრა

— შვილო, ქალი უნდა შეირთო; ხომ ხედავ—მქადის გამოცხობი აღარავინ არის ოჯახში.

— არა, მამაჩემო, რა დროს ჩემი ცოლია! ისევ შენ შეირთე მეორე ცოლი ის სჯობია... ვეუბნებოდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

— კი, მაგრამ ვინ შევირთო?—შევეკითხე.

— ვინა, შვილო და, ამბაკოს ნაცოლარი, კარგი ქალია, პატიოსანი და მეოჯახე; მოსწრებული ქალიშვილი ჰყავს, გასათხოვარია და დროებით მოგვეხმარება ოჯახში.—

მეც დამჯდა მამის დარიგება და ასეც მოვიქეცი: შევირთე ამბაკოს ქვრივი, რომელსაც მზითვად მოჰყვა გასათხოვარი ქალიშვილი—ანეტა.

ცოლის შერთვის შემდეგ ჩემი ცოლის ქალიშვილი ჩემი შვილი გახდა

თურმე მამაჩემსაც ეს უნდოდა... არ გასულა ბევრი დრო და მამაჩემმა ჯვარი დაიწერა მაზე...

ასე რომ ჩემი შვილი ე. ი. მისი ბადიში ცოლად შეირთო. ჩემი—ქალიშვილი—მამაჩემის ცოლი გახდა ჩემი დედინაცვალი; ხოლო ჩემი ცოლი—რძალი მამაჩემისა, გახდა მამაჩემის დედამთილი. ჩემს ცოლს ეშვა ვაჟი; იგი არის ჩემი ქალიშვილის ბადიში, ე. ი. ძმა ბადიშია თავისი დისა. ჩემს ქალიშვილს, იგივე დედინაცვალს ეყოლა ვაჟი, რომელიც არის ჩემი ძმა, როგორც მამაჩემის შვილი, მაგრამ ვინაიდან იგი შვილია ჩემი ქალიშვილს, გახდა ჩემი ბადიში და მე კი მისი ბაბუა.

ა—ლ.

# მეგობრული შარჟი



— ვანო, სიცივეები უკვე დაიწყო და ეხლა მაინც ჩაიცვი წინდები?!

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, ქვირი არის და ვერ ვიყიდე.

# მიუსანძიმრა

## ღმართმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წასწყმინდოს?!

შოთა.



გერმანიის ფინანსთა მინისტრმა რენვალდმა სენ-სემასტიან'ში ინახულა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ინგუსი და მწუხარება გამოსთქვა ლიგიდან ესპანეთის გამოსვლის შესახებ.
(დეპეშებიდან)

(იგავისებურად)

დათვსა, მგელსა და ტურას
ჰქონდათ არტელი მჭიდრო,
ტყეც სანადირო ერთი,
სამყოფი და სამკვიდრო;

ნანადირევის ჭამაც
საერთო, სუფრაც—ერთი,
ნადირობაში ზოგჯერ
თუ არ გაუწყრათ ღმერთი.

მართალი არის, ნადირს,
მეტს პოულობდა ტურა,
მაგრამ ვერ ჰკლავდა, თუნდა
ზედ ოფლიც მიეწურა;

და სადმე ქათამს, იხვს, ან
ბატს თუ იგდებდა ხელში,
აქ საარტელოც რაა?
თვითო არ ჰყოფნიდა ყელში.

დათვსა და მგელს კი ამ დროს
გაჰქონდათ რისხვა ტყეში,
და ნადირს, ორ-სამს თუ არ,
თითოს ხომ ხოცდენ დღეში.

პირ-ბურტყლიანი ტურაც,
იქ გაჩნდებოდა წამში,
და მზა-მზარეულად სუფრას
პირნათლად ედგა სამში.

მაგრამ, ბუნება ითხოვს
და უკაცრავად ნურას,
თუ რომ ჭამაში მგელიც
და დათვიც სჯობნის ტურას.

ხედავს ის, თუ ეს ორნი
როგორ იტენენ პირებს,
თვითონაც დიდი ლუკმის
დათრევას დააპირებს.

მაგრამ უსუსტებს მას ყბა
და ელალება ძალზე,
მოხდა, რომ ზოგჯერ კბილიც
ილრძო ნადირის ძვალზე...
(თამბეთი დაიწყევლა...
ცრემი მოადგა თვალზეა!...)

და ბოლოს გამოუტყდა
თავის-თავს, მოდეთ, მოძმეთ,
რომ არ შეეძლო ყოფნა
მას ამ სურათის მოწმეთ.

ადგა და სამეულით
გარიცხა თავისთავი,
ღმერთს დაუმადლა, მრთელად
რომ გაიტანა ტყავი!..

მგელსაც ეწყინა, დათვსაც
ტურის ასეთი ქცევა,
თუ სხვა არ ნახეს ვინმე,
კავშირი დაიქცევა.

სძებნეს ბევრი და ბოლოს
აწვიეს მელა-კუდა,
მას ჩააბარეს სახლი,
სუფრა და საგზლის გუდა.

ამბობდენ: ამის შემდეგ,
მელამ რომ ნახა ტურა,
მიუსამძიმრა წასვლა
და ცრემლიც მოიწურა.

უთხრა: „უშენოთ არტელს
დააკლდა დიდი ძალა:
სახლიც შეჩხრტდა, სუფრაც
და გუდაც დაიცალა!“.

გულში კი ჰფიქრობს ასე:
„შე გაიძვერა. შენა,
შენ რომ არ წასულიყავი,
მიმძიმდა თავის რჩენა.

ახლა კი სუფრას სამში
თავში ვუდგევარ, განა:.
მგელსაც კი შეშურს, დათვსაც
ლუკმის ღრჯნა ჩემისთანა!“.

ონისიმე..



# ნაშცგაღევი

ცოლი გაბრაზებული წავიდა თავის ამხანაგთან; (მაგრამ მგონი, უფრო ჩემს „ამხანაგთან).

— შენთან ცხოვრება ჯოჯოხეთია-ო... ასე წამომძახა, რომცა კარები გაიხურა.

მე მარტო დავრჩი და..

დღიურში მინდოდა დღემანდელი ამბავი ჩამეწერა, რომ ამ დროს გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— დაგექცეს ოჯახი ვილაცა ხარ,—წომოვიღლუღე და მილი ხელში ავიღე.

— გისმენთ... დიახ!.. მე ვარ... ვინა?.. ტარტაროზი!?! (და მე სკამიდან წამოვდექი; ასე მეგონა, რომ ტარტაროზი ტელეფონში მხედავდა, რომ სკამზე დამჯდარი ველაპარაკებოდი). რას გვიბრძანებთს?

— ერთი გვერდის მასალა მაკლია. აუცილებლად რამე უნდა დასწერო და გამომიგზავნო.

— თემა არა მაქვს, არაფრის დაწერა არ შემიძლია...

— ძველი დაწერილი გექნება რამე... სულერთია..

— არაფერიც არ მაქვს, რაც მქონდა, ყველა მოთავსებულია.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ... ერთი გვერდის მასალა საჩქაროდ გამოაგზავნე რედაქციაში. აბა, ერთ გვერდს ცარიელს ხომ ვერ გავუშვებთ? სულ რომ არ იყოს, საზღვარგარეთის პრესა ახმაურდება, თითქოს ჩვენში სასტიკი ცენზურა იყოს და ამიტომაც, თითქოს, ცენზურას არ გაეშვას ტარტაროზის მთელი გვერდი... გესმის? ჩქარა გამოაგზავნე.

— კი... მაგრ... კი...

— კაცო, რა გაწუხებს შენ?.: რამე კი გამოგიგზავნე და მეტი რა დარდი გაქვს?!

— ამხანაგო ტარტაროზო, ყველაფერი კარგი, მაგრამ არავითარი მასალა არა მაქვს, გარდა დღიურისა, რომელშიც ჩემი ოჯახის ამბავია.

— ჰოო-და ყველაზე უკეთესი... მაგას რაღა სჯობია...

— რას ამბობთ, ამახანაგო ტარტაროზო?! ამის დაბეჭდვა და ისიც ჩვენს ჟურნალში, რომელიც იუმორისტულია და სახუმარს, როგორ შეიძლება? მე მრწამს დღიური იყოს სასაცილო-სახუმარო, რომ მისი კითხვა მკითხველს კი არ უნდა ალონებდეს, ასევდიანებდეს, არამედ, პირიქით: ართობდეს, აცინებდეს... ჩემი დღიური კი, ეს არის მწუხარების კრებული, ცრემლიანი სტიქონები და დაჭრილი გულის კვნესა.

— ნუ სტყუი!.. ეს არ შეიძლება... შენი ცხოვრება არ იქნება მაგნაირი, როგორც შენ ახასიათებ... რა ვიცი რა, ძალიან ამასხარავებ ყველას და ქვეყანას დასცინი... არა მგონია, რომ შენ ოდესმე მწუხარე იყო...

— ოჰხ! რომ იცოდე...

— არ ვიცი, და მინდა გავიგო... ამიტომაც გამომიგზავნე მაგი შენი დღიური... შენ თუ ცხოვრებაში რამე სამწუხარო გაქვს, სხვას რაღა ექნება?.. დეე, ჩვენმა მკითხველებმაც იცოდეს, რომ მათ საპატივსაცემოდ, მათ გასართობად ვსწერთ ჩვენ სახუმარო, სასაცილო ამბებს, თორემ ძალიან ხშირად არც კი გველხინება.

კვირას მკითხველები უნდა გავამხიარულოთ; ეს არის ჩვენი ვალდებულება. თუ გინდ მიცვალებული გვედგას კუბოთი სახლში, მაინც უნდა შევასრულოთ ჩვენი საქმე... გამოაგზავნე რაღა!

— კიდევ ვიმეორებ, რომ დღიური მელანქოლიით არის სავსე და ჩვენი მკითხველი...

— ისელო, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან! გითხარი და მორჩა... არ მინდა, ბატონო, სახუმარო-სასაცილო წერილი. სწორედ მელანქოლიური მასალა მესაჭიროება... რატომ ყოველთვის ვაცინოთ მკითხველი? ერთხელაც ჩა-ვაფიქროთ, რათა ამით შემდეგ კიდევ უფრო დაგვაფასონ და იუმორს უფრო პატივისცემით მოეპყრან... მე გეუბნები, რომ სწორედ მაგნაირი მასალა მესაჭიროება..

— კი მაგრამ, ჩემი ოჯახურ ცხოვრების ამბავს, რა ინტერესი და ხალისი ექნება სხვისთვის?

— ნუ გეშინია; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მკითხველების [illegible] შენს [illegible] იქნება და ეს [illegible] რესს გამოიწვევს ავტორისა და ჟურნალისადმი. მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ ჩვენ სერიოზული ადამიანები არა ვართ, რომ, თუ ხანდახან არა, ერთხელ მაინც ვსთქვათ ჭკვიანური, ანუ არა სასაცილო!? (თუმცაღა სასაცილოში უფრო მეტი ჭკუაა).

— ამხანაგო ტარტაროზო, საქმე იმაშია, რომ რა ვქნა არ ვიცი... საქმე იმაშია, რომ, კაცო, ცოლი წაიკითხავს ჟურნალს და მაინც კი მყევარ, ნუ გეშინია, აგდებული, და ახლა მთლად მომინელებს..

— მაგისი ნუ გეშინია.. მე დაახლოვებით ერთი გვერდის მასალა მაკლია... მარტო ერთ გვერდზე დაბეჭდავ და ერთ გვერდზე აბა რას ნახავს? მაინც რა გიწერია დღიურში ისეთი, რომ ასე გეშინია?

— რა მიწერია და, აი, მაგალითად:

**7 სექტემბერი**: ფული არა მაქვს. პირველში აღებული ჯამაგირი უკვე გათავდა. ამიტომაც: ცოლი გამიდიდგულდა, იქით გადამიბრუნდა... (ამხანაგო ტარტაროზო, არ შეიძლება ცოლქმარის ინტიმიური ცხოვრება ვინმეს გავუზიარო).

— .არაფერი; განაგრძე...

ასე გასტანს მანამდი, სანამ ფულს არ ვიშოვნი. ფულის შოვნა კი ხუთმეტამდი—ჯამაგირის მიღებამდი არ იქნება. ვისგან უნდა ვისესხო? ჩემი ამხანაგები ჩემსავით გაფხეკილები არიან. (ამხანაგო ტარტაროზო, ჩემს ამხანაგებს ეწყინებათ, რომ მე მათ გაფხეკილებს უწოდებ..

— არა უშავს!... სიმართლის თქმა თუ ვინმს ეწყინბა, —დეე, ეწყინოს... განაგრძე.

**10 სექტემბერი.** ეს თუ ცხოვრებაა, მაშინ ტუსაღის ცხოვრება ნეტარება ყოფილა. დღეს ცოლმა სკანდალი ატეხა. მიზეზი: უფულობაა. ო, ღმერთო, მალე მოიყვანე 15; ჯამაგირს მივიღებ და ცოლი შემირიგდება... .

**15 სექტემბერი, დილით.** დღეს დილით ჩემი ცოლი ჩემზე უფრო ადრე ადგა. ჩაი გაამზადა. მეალერსება... მე ეს მიკვირს. თვეში ასე მხოლოდ ორჯერ იქცევა: თვის პირველს და ხუთმეტ რიცხვში, როცა მე ჯამაგირი უნდა მივიღო. კიდეც მაკოცა (კინალამ) დამავიწყდა... რა სიამოვნებაა... მეც მერი პიკფორდსავით ვსწერ. იგი ხომ თავისი ქმრის ყოველ კოცნას დღიურში აღნიშნავს).

გენაცვალე, ჩემო ბიჭო, ჩემო მშვენიერო და საყვარელო ქმარო; ჩემო სიცხლევ, როგორც კი ჯამაგირი აიღო, მაშინვე წამოდი სახლში, ხომ იცი, მე უშენოთ ყოფნა მიძნელდება?! მალე მოდი; დღეს საყიდლები მაქვს.— მეუბნებოდა ცოლი.

— კი მაგრამ, როგორც ჩვენს კანტორას სჩვევია, თუ ჯამაგირი დღეს ვერ მოგვცეს?

— რაო? ვერ მოგცეს?! ვაი შენი ბრალი; თვალებზე არ დამენახვო? სახლში არ მოხვიდე ღამის გასათევად.

— გეხუმრე, მეხუმრე, თორემ დღეს ჯამაგირი აუცილებლად იქნება; დღეს კი არა, გუშინ კინალამ დაარიგეს, მაგრამ ფული არ ჰქონდათ.

**15 სექტემბერი. ნაშუადღევი.** თუ არ გინდოდეს ჭირიო... (ამხანაგო ტარტაროზო, უცენზურო სიტყვა და...)

— კარგი, კარგი... ვიცი შემდეგი სიტყვები... ჯამაგირი დღეს არ მოგვცეს რა ვქნა? სად წავიდე? რომ არ მშიოდეს ქუჩებში ვიხეტიალებდი, მაგრამ მშია და რავქმნა? არც ფული მაქვს... ჯანი გავარდეს... რამეს მოვიგონებ გზაში სახლში მისვლამდი.

დაღვრემილი მივედი სახლში

— რა დაგემართა?.. ჯამაგირი ხომ აიღე?

— ვკვდები... მიშველე... ავად ვარ.

— სულიც ამოგხდენია... მე ვიცი შენი იშკილები: ჯამაგირი არ მოგცეს, ჩემი გეშინია და ავათმყოფობა მოიმიზეზე... როდის იქნებაო, აბა?

— ხვალ აუცილებლად იქნება,—წამოვიძახე მე ალტაცებით, როცა მეგონა, რომ ცოლი შეურიგდა დღეს ჯამაგირის არ მიღებას.

**16 სექტემბერი:** თორმეტს საათზე მივიღე, დღეს ჯამაგირი და მაშინვე სახლისაკენ მოვკურცხლე, სამსახური მივატოვე. ცოლმა დამინახა აივნიდან, თუ როგორ ქლოშინით მოვრბოდი სახლისაკენ. შემატყო ჯამაგირის მიღება.

— გენაცვალე, რატომ ასე ფეხჩქარა წამოდი? ოფლი გამოგივიდოდა და არ გაცივდე, შენი ჭირიმე.—მომიალერსა ცოლმა და მაკოცა. (ეს ხომ დიდი ბედნიერებაა).

— ჯამაგირი ავიღე, გენაცვალე, ჯამაგირი,—ვეუბნებოდი ალტაცებით და ერთხელ კიდეც ვაკოცე (ეს მას არ ესიამოვნა, რაც შევატყვე იმით, რომ თავი მიიბრუნა და ნაკოცნარი ლოყა მოიწმინდა).

— ფული რა ოხრობად მინდა, თუ შენ გამიცივდი და ავად გამიხდი?! რა გაჩქარებდა? მაგის მოტანას ვერ მოესწრებოდი?

**28 სექტემმბერი.** ისევ გაიარა ჩემს და ცოლს შორის შავმა კატამ; ეს შავი კატა გახლავთ: უფულობა. მაგრამ ორი დღე კიდევ და პირველში ჯამაგირს მივიღებ.

**1 ოქტომბერი.** კვრიას ნახშირი: წლეს, ცხოვრებაში ერთხელ თავის დროზე მოგვცეს ჯამაგირი. ო, როგორ გაუხარდა ჩემს ცოლს! კიდეც მაკოცა (დიდი ბედნიერების ნიშანი). რა მიჭირს, რომ ყოველ დღე პირველი და ხუთმეტი იყოს; მაშინ ჯამაგირსაც ყოველდღე მივიღებდი... და ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე ჩემს ცოლთან მექნება ტკბილი ცხოვრება... ო, ნეტავი თითო თვე მაინც გაგრძელდეს პირველი და ხუთმეტი რიცხვები... ანდა ორი ·კვრა ერთი დღის განმავლობაში მიდიოდეს, რათა ჯამაგირი მალ-მალე მივიღო. საკვირველია: ადამიანს უხარია თვეში ორი დღის ადრე მოსვლა; ეს ის დღეებია, როცა ჯამაგირს ღებულობს... საბრალო ჩვენო ცხოვრებავ, ჯამაგირის მალე მიღებისათვის, ვნატრობთ დღეების გავლას. მოკლებას დღენი ჩვენი ცხოვრებისა.

**9 ოქტომბერი.** მე უკვე დავრწმუნდი: ჩემს ცოლს ვუყვარვარ ჯამაგირის მიღების დღეების ორი დღით წინ და უკან. ეხლა სიცოცხლეს მიმწარებს: ზამთარი მოდის და პალტო მიყიდეო...ო, ეს ცხოვრება ვინც მოიგონა... მაგრამ ცხოვრების მომგონს კი არა, ზამთრის მომგონს რა ვუთხრა მე... მაგრამ ზამთრის მომგონს რას ვერჩი, ვინც ეს კავერკოტი მოიგონა; თუმცალა კავერკოტის მომგონს რას ვერჩი, ვინც ქალი გააჩინა... ადამია ჩემი ხელიდან მოსაკლავი. იგი ოჯახქორი, გდებულიყო მისთვის სამოთხეში? ვერ მოისვენა, ქალი გაიჩინა და დაგვღუპა ყველა მამაკაცები... თუმცალა ადამს რას ვერჩი! იგი თუ გასულელდა და ქალი ინატრა, მე რამ გამასულელა?.. ვერ დავეტიე ჩემს ტყავში?.. იგი მე! მიამოს ახლა... ხუთმეტის მოსვლამდი კიდევ ერთი კვირაა... ამ ერთ კვირას სახლში ყოფნას, ერთი თვით ციხეში ყოფნა მირჩევნია... ცოლი აღარ მელაპარაკება. ერთა ლიგის სამშვიდობო კონფერენცია აღარ შესდგება ხუთმეტამდი—ჯამაგირის მიღებამდი. ლოკარნოს სულმა დატოვა ჩვენი ოჯახი და ჩვენს სალაროში დაბინავდა... ო, ხუთმეტო რიცხვო, მოდი მალე... მაშინ მოხდება ვერსალის ზავი და დამკვიდრდება მშვიდობა ოჯახსა შინა და ცოლ ქმარს შორის სათნოება. (თუმცალა ეს დროებითი სტაბილიზაცია იქნება ჩვენი სიყვარულისა).

— ამხანაგო ტარტაროზო, აი ეს არის, და, მე მგონია, აქ არაფერი საინტერესო არ არის, რომ ღირდეს ამის დაბეჭდვა!

— შენ არ იცი, რა ხილია ხურმა.

— საქმე ის არის, რომ ეს აზრი, რომელიც ჩემს დღიურშია გატარებული, ჩემს მიერ დამუშავდება სატარტაროზო წერილებად, რომლებიც ახლო ხანში უნდა მოთავსდეს ჩვენს ჟურნალში; ამიტომ ახლა ამის დაბეჭდვა მე უადგილოდ მიმაჩნია.

— მთელი ჩვენი ეხლანდელი საუბარი ტელეფონით და შენი დღიური, რომელიც ეხლა ტელეფონში წამიკითხე, მოთავსებული იქნება ხვალინდელ „ტარტაროზში". მეტი მე არც მინდოდა მასალა... მშვიდობით...

— ????!!!!????!!!!

---

ჩვენი მიზანიც ეს იყო: ეს ადგილი, რომელიც ამ წერილს უკავია, ცარიელი არ გაგვიშვია. ხომ წაიკითხეთ? ისიც კარგია რომ ამდენხანს შეგიქციეთ... აწი შეგიძლიათ განაგრძოთ კითხვა.

ისელი.

შენიშვნა: არავინ იფიქროს, რომ მასალები გვაკლია, —და ამიტომ მოგვაწოდოს ყოველგვარი ხარა-ხურა. თუ მასალები დაგვაკლდა, ეს იმიტომ, რომ ყველა ხარა-ხურას აგზავნის.

ტარტაროზი.



# ს ა ხ ე ლ გ ა მ შ ი




მწერლები
დღეს მაინც მოხდეს ეს სასწაული
(სტრიქონზე გვიწევს ოთხი შაური)
მთელი ჭაფხული შევსცქერით აქა...
(სიცხისაგან ტვინიც კი დაგველაქა)

წათ...სასწაუ
(ხვალინდელი დ
რადგან სალ
რალას უუურემ

## „პირი ქალაქისაკენ“

სინამდვილე.

ნიკო კერეჭაძეს ძალიან ახლობელ ნათესავების გარ- და არავინ არ იცნობდა.

ნიკომ ჯერ კიდევ ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს გაათავა საშუალო სასწავლებელი, მაგრამ უ::ნობობის გამო ვერ იშოვა სათანადო სამსახური და ერთ სახელ:წიფო დაწესებულებაში . უბრალო გადამწერად დაიწყო მუშაობა.

უფერულად მიდიოდა ნიკოს ცხოვრება.

მაგრამ...

რევოლიუციამ სრულჰყო ანდაზა: „წინანი უკან და უკანანი წინ“.

და...

ნიკო სწორედ იმავე დაწესებულებაში დიდი კაცი გახდა.

ჩარხი წალმა დატრიალდა.

ნიკო კერეჭაძე ყველასათვის ნაცნობი პიროვნებაა.

— ნიკო, კაცო? ჩვენი ნიკო კერეჭაძე? როგორ არა, ძალიან კარგად ვიცნობ?

— ის ხომ ჩემი ნაამხანაგარია!..

— ის ხომ ჩვენი კუთხის კაცია!

— ნიკოს როგორ არ ვიცნობ!? მე და ის ერთ სკამზე ვისხედით და განუყრე:: ი მეგობრები ვივავით.

— ვერ წარმოიდგენო, როგორი სიმპატიური ადამიანი არის.

— დღეს ვიყავი მასთან და როგორ ზრდილობიანათ მიმიღო!?

— „პრიამო დუშკა“—გაისმოდა ყველგან.

სულ რაღაც ერთი თვის განმავლოში, ნიკო კერეჭაძე ყველასათვის ცნობილი პიროვნება გახდა.

ნიკო არ იყო განდიდების მოტრფიალე ადამიანი; მას აინტერესებდა მხოლოდ საქმე და ხალხის სამსახური. სწორედ ამას უნდა მიეწეროს რომ პირველ ხანებში ნიკო ყველასთან თავაზიანი და თხოვნის ა::სრულებელი იყო; მაგრამ სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ისე მოაბეზრეს თავი „ნათესავებმა“, რომ არ იცოდა რა ექნა.

— ნიკო, ადგილი მომეცი.

— ნიკო, ფული მასესხე.

— ნიკო, ჩემი შვილი სასწავლებელში მიაღებინე.

— ნიკო მთავრობასთან მიმეგზავნე.

— ნიკო, ოთახები მაშოვნიე.

და...

ვინ იცის კიდევ რა.

უამრავი ხალხი უსვრიდა მისას. სოფლელები ყოველდღე ჩამოდიოდენ. წინედ ყველასაგან დავიწყებული ნიკო, ეხლა დღეში ოცამდე წერილს ღებულობდა:

— მართალია: არ მიცნობთ, მაგრამ იმედია პასუხს მომწერთ და წერილით გავაცნობთ ერთმანეთს.

— არა გრცხვენია, ბიჭო, მამაჩემი მაშენის კარგი ნაცნობი იყო და ჩვენ კი ერთმანეთს არ ვიცნობ!? ამ ერთ თვეში მოვალ აუცილებლად და გაგეცნობი.

— შენთან ლაპარაკი ძალიან მენატრება და მგონი მალე მოვესწრები. მინდა მანდ გადმო იდე, აქ ყოფნა აღარ მაძლევს ხელს... შენი იმედით გადმოვდივარ... ხომ იცი ჩვენი ხალხის ბრძნული თქმულება: „ძმა ძმისთვის,— შავი დღისთვინა... ახლა ჭჭირიხარ...



ლორთთქიფანიძე
ლი არც დღეს მოჰდება
ლეც ამ თვეს მოჰხვდება)
რიას ფული არც დღეს აქვს,—
ი, ნეტა, ამდენს აქ!

მართალია: ხელცარიელი არავინ არ ჩამოდიოდა, ყველას ჩამოყვებოდა სოლმე ხურჯინით ან აბგით: სამიოდე გამხმარი ხაჭაპური, მუჭის ოდენა ყველი და თითო დამხვრჩვალი ქათამი, მაგრამ თვეობით ჩამოსულ სტუმრებს ეს ხომ არ ეყოფოდა?!

საშინელ პირობებში ჩავარდა ნიკო.

ნიკოს სოფელმა ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ“ უკუღმა გაიგო და გამოვიდა „პირი ქალაქისაკენ“. მეტი გზა არ იყო: ნიკო იმ ბინიდან ქალაქის განაპირა უბანში უნდა გადასულიყო.

ალმასკომის დახმარებით ნიკომ საბურთალოზე იშოვა ორი ოთახი და იქ გადავიდა. ძველ ბინაზე დაიბარა თითქოს რუსეთში წასულიყოს.

სამიოდე დღე ნიკომ თავისუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ...

დიდი კაცის დამალვა განა ისე ადვილია?

და...

ერთ საღამოს ნიკოს ახალ ბინაზე სამი სტუმარი ეწვია.

ხერხი არ გამოდგა.

ახალი ბინა ყველამ მონახა და ნიკოსათვის ისევე დაიწყო ძველებური ტანჯვა-წვალება...

**შ. გორისელი.**



# სატარტაროზო



## ძია ტარტაროზს

მინდა გაკადრო ერთი რამ,
თუ რომ კი გაიბედება.
მსურს ვალიარო ხმა-მაღლა,
რაც გულსა ცეცხლი მედება.
გზება ბევრია ბოროტი,
კაცის ბადეში გამხვევი...
ოზურგეთს ეხლა ააგეს
ქარხანა სართავ-სახვევი,—
სადაც რომ მუშებს უხდებათ,
შრომა და საქმე ზედმეტი.
ჩვენ სამუშაოდ გვარგუნეს
დღეში საათი თერთმეტი.
ზედმეტს ვმუშაობთ ყოველდღე.
არარავინ გვყავს პატრონი,
ხშირად მოიქრის ქარივით
ბენია „დიდი ბატონი“.
იქვე იხილავ მოღრუბლულს
მიქაშავიძეს შავათა.
მუშების მარად მოძულებს
და შემომცქერელს ავადა.
დათიკოც აქვე შეგვხდება,
ცნობილი აჯი-ბაბათა.
ოქროს კბილები ამშვენებს,
ნეტა რა დედამ დაბადა!?
სოლომონი კი გამგეა;
მაგრამ კაცია მართალი;
(ცოტათი მოარშიყეა.
უყვარს ქალებში ფართხალი).
ინჟინერი გვყავს ნემეცი,
კაცია მეტად ქებული.
ადამიანიც ეს არის.
ნამდვილი მირონცხებული.
კანცელარიის მოხელე
და მისი ბუღალტერია,—
სიტყვებით მუშას ემხრობა,
სინამდვილეში მტერია.
აქეთკენ ძია ტარტაროზ,
მოგელით, მიგვიხარია,
თორემ ტყავს გვაძრობს აქ ბენო
და მისი ამირბარია.

**იტორიტო.**

## ს საჭილაო

ტარტაროზ, ერთხელ ჩამოდი
და გადაგვავლე თვალი.
ქარხნის გამგესაც შეხედე,
მგონი ის ახლაც მთვრალია.

რატომ არ ხედავს, როდესაც
მუშა ოფლსა ღვრის სიცხეში?
ფული კი არსად არა სჩანს,
თითქოს იყოსო ციხეში.

მუშა ლოდინობს, კარზე სდგას,
ტანზე აცვია არშია.
გამგე ზის თვის კაბინეტში,
სხვებსავით მას ხომ არ შია!?...

ტარტაროზ, შენი წყალობით,
იქნებ მოშივდეს მალეო.
ეკმაროს ჩვენი მოცდენა,—
„დღეს არა, მოდი ხვალეო.

**მიშა.**

## პატარა თავგადასავალი

ტარტაროზო ამბავსა გწერ,
ამბავს მეტად გასაკვირსა:
ენახე პეტა ნადირაძე
ჯდა მტირალი ზღვისა პირსა.

—

ვინ იცის თუ ის რას იღებს
უკანონოთ ქა! ქარს ხელში?
კოტრაბანდა მი!: ხელშია,
ბზინავს ძვირფას სამოსელში.

—

ჰოდა პეტრეს სტუმრებოდა
გრიგოლ მისი მეზობელი.
ერთმანეთი არ ენახათ
გადის აგერ ათი წელი

—

გაჰკოცნეს ერთმანეთი,
გადაჰხვიეს ძმურათ ხელი
და მეზობლის პურ-ღვინოთი
ჩაიტკბილა პეტრემ ყელი.

—

გამოუტყდა მეზობელი
პურმარილში თუ რაც სურდა
და სოფლიდან ბათომისკენ
იგი რატომ გამოცურდა

—

უთხრა:—ჩემო ძმაო პეტრე,
შევაგროვე ცოტა ხურდა;
(ამ სიტყვებზე პეტრეს გული
აძგერდა და არახუნდა)
ცოლშვილისთვის მინდა ცოტა
საოჯახოთ კოტრაბანდი
და თქვენ ასეთ საქმეებში
ხართ ყოჩაღი, დარდიმანდი.

—

ამ დღისათვის გიგულებდი,
შემონახული მისთვის მყვანდი;
(ამ დროს სუფრას მოემატა
ატლეტი და ცხელი მწვადი)

—

პეტრემ მხარზედ ხელი დაჰკრა...
—მაგის დარდი ნუ გაქვს 'შენო;
მე ვიცოხლე შენს ცოლშვილსა
კოჰ-ბეჰვბი დაუმშვენი.

—

სულ საწყალ ხალხს ვეხმარები,
მინდა ყველა ავაშენო;
არ იფიქრო—გილალატო,
გულში მტრობა ჩავიშენო.

—

მე მყავს ერთი კარისკაცი,
ის მიზიდავს ყველაფერსა;
შენ მომეცი ახლა ფული,
ნუ ვაგრძელებთ სიტყვას ბევრსა,

—

იქნებ მალე ვერ წახვიდე,
დაგვიანდე ორ-სამ დღესა...
(გრიგოლიდან ასიანი
ჩუმათ პეტრემ იგდო ხელსა!).

—

ზის გრიგოლი... ელოდება
ინდიკოსა განაბული;
დღე დღეებსა ემატება,
დღეს გავიდა ხუთი სრული

—

პეტრე ამბობს:—იგი კაცი.
ჯერ არაა ჩამოსული—
ბოლოს... მიხვდა ჩვენი გრიგოლ,
რომ პეტრიამ „ყლინწა“ ფული...

ადგა გრიგოლ და წავიდა
დაღვრემილი, დადაგული,—
და შეჩივლა ძველ ძმა-ბიჭებს:
—შემისანსლა პეტრემ ფული.

—

შეიბრალეს რა გრიგოლი,
მიიმწყვდიეს პეტრე ჩიხში...
უთხრეს:—ჩქარა ჩამოთვალე
ის ფულები აგერ ჯიბში.

—

რა ქნას პეტრემ... კანკალითა
შემოიძრო წელზე ღვედი...
ექვს ჩერვონეცს დავაბრუნებს.
ოთხს ეწევია ცუდი ბედი

—

ეს ქამარი ოთხი აქ ღირს,
აბა რა იქნა ამის მეტი?!
არ მაქვს მეტი არაფერი,
კაპეიკი განახვეტი.

—ე.

# სამტრედია



მოსადილეებს არა აქვთ
სასადილოში ოხია.
ძაღლების მოსაგერებლად,
ხელში უპირავთ ჯოხია.
ძაღლებს დასდევენ: ბიქტორი,
ილარიონ და თედორე,—
ერთს გააგდებენ, მაგრამ კვლავ
კუთხეში რჩება მეორე.
როიალი სდგას ძვირფასი
და ზედ დამკვრელი რჩეული.
(ის რუსეთიდან ამისთვის
არის აქ გამოწვეული).

დამკვრელს ვერ ნახავთ უკეთესს,
ვინ იცის რას არ ტიტინებს.
მარშებს დაუკრავს ისეთ, რომ
დაბმულ ძაღლს ააწყვეტინებს.
ფასებს ნელ-ნელა უმატებს,
რომ არ დაერვათ ვალია;
კერძები შეავიწროეს,
შიგ ჩაურიეს წყალია...
ეჰ, ჩემო „ეპო“ ძმაოჯან,
ეს „ეკრეჟიმი“ ფუჰია...
სჯობს: წითელ სასადილოში
ხალხს გამოუძღოთ კუჰია.

ა. ეწერ-მაშელი.

## მესტვირული

I.

ყველამ... ყველამ დამივიწყა,
თითქოს შეკრეს ერთათ პირი.
არავინმა არ მიიღო
ჩემი ტანჯვა გასაჭირი.
არავინ არ დააფასა:
ჩემი შრომა, ჩანგი, სტვირი;
ვისაც ვთხოვე შემწეობა,
მიუბრუნა ეშმაკს პირი.
ყველგან დამრჩა პირი ღია,
სიტყვა ყელში განახირი;
შიკვირს ასე რატომ დავრჩი,
ყველასაგან განაწირი.
ალბათ მიტომ, რომ არა მაქვს,
ტკბილი ენა, კუდი გრძელი;
ლაქუც-მიეთ-მოეთობა—
ვერ ვიკისრე, ვერ შევძელი,—
და ამიტომ არავინ არ
გამიწოდა ძმური ხელი;

# მზად არის



— ამბობენ: სარევიზიო კომისია მოდისო!

— მე მზად ვარ მის შესახვედრად.

(„კროკოდილი“-დან)

ვერ ვილერსე, და არ მერგო
სამსახურის სავარძელი.
ავდექი და ნაღვლიანმა
გადვიკიდე ჩემი სტვირი
და ვესტუმრე ქუთაისსა
ცხარე ცრემლით ანატირი.
მივადექი „განმუშკავშირს“,
გადავიღელე გულის პირი,
თავი ისე შევიბრალე,—
ისიც დარჩა ანატირი.
გამისტუმრა იმედებით...
თუ ასრულდა დანაპირი!...

II.

გავთამამდი, ვინახულე,
განათლების ზალის არე,
დამხვდა კაცი „კაბინეტში“...
ხმა ბოხი და ქუშ-მწყრომარე.
შემეშინდა, მოკრძალებით
გაუწოდე არძა მწარე,
სთქვა: „ისედაც ქე ვიციო!“
და გადმდო იქეთ, გარე.
გაიცინა, მითხრა: „ძმაო,
შენ ეგ ვინ მოგცემს სამსახურსო!?
ტანადობა არ გივარგა,
ვერ იცეკვებ შენ ლეკურსო.
უნდა გქონდეს ბადრი სახე,
რომ ეამოს ეშხით გულსო,
შევეცდები, რომ დავფარო
შენი ნაკლი, თუმცა მე მძულსო,
რას ვიზამდი? წამოვედი,
გამეცინა მწარედ, ნელა...
და ვინატრე: ნეტა ვიყო
გოგო ტურფა, ცურგუმილა!“.

**კვინტაძე.**

## ტარტაროზს

(ქუთაისიდან)

შენი ბრძანების თანახმათ
ქუთაის ჩაველ ხვლიკია.
არგებს ზოგიერთს რომ აქაც
აუწყათ კუდის რიკია.

—

ქუთაის ვეღარც კი იცნობ
მწვანე ბაზარი სავსეა
სულ გამოცვლილა სახითა.
დამპალ სილითა და ხახვითა.

—

ქალაქის ბაღში სავსეა
ნაირ-ნაირი ხალხითა.
მოდი, იხილე, ტარტაროზ,
დასტკბები ამით ნახვითა.

—

ბევრს ქურქი გამოუცვლია,
ზოგს შეუკნაჭავს წვერია;
ენით თაღლითობს, ისე კი
გულში მუშების მტერია:

—

თეატრში შეველ და ვნახე
ბებია ჩემი ანუხა;
როცა ეს ერთხელ სარკის წინ
იცხებდა ფერ-უმარილსა.

—

ხალხი შიგ მაინც არ დადის,
რის მაქნისია შეგნება?
მე ვფიქრობ: ყველა ისინი
შენ ჩანგალს წამოეგება.

—

ცოტას დავიცდი ჯერ კიდევ,
დავივლი კარგათ ქალაქსა,
გადმოგიგზავნი ზამთრისათვის,—
ახლა კი გავსწევ მარტვილს.

**ტყიბულელი ხელაკუ.**




— ბაბუა, როდის დაიწყეს ამ მუზეუმის აშენება?
— კარგად არ მახსოვს... მაშინ მე შენზე უცროსი ვიყავი.
— როდის დასრულდება?
— ამის თქმა უფრო ძნელია... დაახლოვებით ალბად მაშინ, როცა შენ ჩემსავით მოხუცი იქნები.

### სამტრედია

ჩემო კარგო ქალაქო,
რაზე მოგიწყენია?
ეს ლოუბელი, ეს ნისლი,
სრულიად არ გშვენია.
საქონლისა ექიმის
თუ გაწუხებს ყურება,—
დამაცალე და მე მას
გადავაქცევ ყურებათ.
რომ ის ჩხირად არ აგდებს
სხვისა ჩივილს, მუდარას—
ბევრი გლეხი დალუპა,
ჩააცვა სუდარა.
ან რევიზორს ლომაძეს
(თუ არ დაიკვეხებსა)
უბილეთოთ მგზავრებით
ეუბორკავ ფეხებსა...
კრინიტსკიც თუ არ მოგწონს
თავის „ლამაზ“ ქალებით,—
თუ მას მუშის დანახვა
ეზიზღება თვალებით—
შემწევს ძალა იმდენი—
გაუჩინო ქარები.
საყვარელო ქალაქო,
გთხოვ ნუ მოგიწყენია!
წითელ სასადილოზე
ვიცი, თქმა რომ გრცხვენია.
მაგრამ მაინც ერმილე
ეოპებიან ლორებით,
ჩანაც დადის ღიმილით,
და სან დანალონები.
ბინძურ სუნით სუნთქავენ
სასადილოს სტუმრები...
(ე, ერმილე, ერმილე,
დღეს მე არ გეხუმრები)...

ჭაგნელი ბზიკი.

### ზენობანი

(ოზურგეთის მაზრა)

სალამი შენდა, ტარტაროზ
ჯოჯოხეთისა მპყრობელო,
ქვეყნად სიმართლის მთესველო,
სიმრუდის დამამხობელო.
რა სათქმელია, მაგრამ, ეჰ!
უნდა დავიწყო თავიდან,
ვფიქრობდი უკვე გვეშველა,
რადგან ძველი დრო წავიდა.
უძალლოთ ჩვენი სოფელი,
მე არც კი მახსოვს ძველათა,
მას მუდამ ჰყავდა პან—ელი,
ქომაგათა და მცველათა.

ებრძოდა სოფლის სიბნელეს.
მაგრამ სოფელი ბილწია,—
და რაღაც ბანკის შესახებ
მას დაარქვეს: „ყლინწია“.

ეხლა მე მგონი ღვდლობა სურს,
ხელადობს ცრუ-მორწმუნეთა.
ჩვენც უთხრათ: —წადი და თავი
კედელზე ურახუნეთა.

რაუდენო! ჩემო ძვირფასო,
როგორ ვსთქვა შენზე ძვირია,
ასე პატარა საქმეზე
რად გაიშავე პირია?!

ნუ თუ არ იცი, რომ სკოლას
მხოლოდ დამხმარე სჭირია?
მაშ უკან უნდა მიტანა,
რაღაც... აგური... კირია.

სამი წელია ბრძოლაა,
ბრძოლა ხმლითა და თოფითა,
რომელიც კიდევ გრძელდება
სასტიკ ბრაზით და ცოფითა.

# სტრატეგიულ მოსაზრებით

ქუთაისის ვენერიული დისპანსრი მოთავსებულია სასტუმრო: „ეკონომია“-ს ახლოს. ეს, ალბად, იმიტომ, რომ სასტუმროდან გამოსულ დაავადმყოფებულ ახალგაზრდას შორს წასვლა არ დასჭირდეს და იქვე ახლოს აღმოუჩინონ მას დისპანსერში საექიმო დახმარება. სასტუმრო მხოლოდ ამით ართლებს თავის სახელწოდებას: „ეკონომია“.

შარი.




ექიმი: (ავადმყოფს) თქვენ შორიდან მოსული ხართ?
ავადმყოფი: არა! აი იმ სასტუმროდან მოვედი.

---

ვერ გადასწყვიტეს—სად დასდგან,
სკოლა ზევით თუ ქვევითა.
ორთავე ასე ამბობენ:
— მახვილზე დავეხევითა;
თუ რომ ეზოში არ გვექნა,—
ჩვენი ცოცხალის თავითა,
არავის არ დავანებებთ,—
და შუაზე გაგვიყავითა.
მხოლოდ „სამება“ მომხრეა
მას გამარჯვება ერგოსა;
ვინც საშუალებას მისცემს, რომ
მიწებს ჩაილოზოსა.
ასე ამბობენ ენები,
ენები ბოროტისანი;
და რისთვის არ სურთ ასრულდეს,
მიკვირს, ეს კარგი მიზანი?..

**ძმისძმა.**

### ვესტვირული

ვანი

ძნელი არის მესტვირობა
გეფიცებით ხუცის წვერსა;
მიშა მინდა გავაჯავრო,
მაინც ისე ქე მიბღვერსა.
კულტ ფონდისთვის დროზე იღებს
ანარიცხებს, პროცენტებსა;
ორი თვეა სამდივნოში
ვერ ველირსეთ გაზეთებსა.
გოგია ზის მოწყენილი,
ენერგიას ხარჯავს ბევრსა,
ხან მას მიშა ეფერება,
ხან ის მიშას უსვამს ხელსა.
ასე არის, ტარტაროზო,
მუშაობა ვანში დღესა!
ამ ჩვენს „ეპოს“—რათ დასჩემდა
ეს „ყლინწიზმი“—ყოველ თვესა?!

—

ახლა ლეომ გაჰკრა კბილი
საწყალ „ეპოს“—სალაროსა;
(მართლაც ასე სითამამე
მე არ მახსოვს არა დროსა)
თუმცა ლეო გამსახლისკენ
გზას მშვიდობით განაგრძობსა,—

—

ეს სალაროს რაში არგებს,
შიგ თაგვები ხუნტრუცობსა.
ჩვენ ინტილიგენციაც
ძალზე უწყობს „ეპოს“ ხელსა:
ზოგს სამი წლის ნისია აქვს,
ზოგიც ორით იტკბობს ყელსა:
სასადილოც ამ დღეშია:
გამოსვლიპეს შიგნით ფული;
ხომ კი იცით რა კარგია
შემწვარი და მოხრაკული.

—

რევიზია გამოფხიზლდა ,
ტარტაროზო, სტვირის ხმაზე;
„ეპოს“—ფხიზლათ უდარაჯებს,
და მზათ არის მართლის თქმაზე;
თუმც კიდევ ქე წაიხათრებს,
ცოტა ისე „კუჭის ძმაზე“—
მაგრამ უფრო პირდაპირობს,
აულია ხელი თავზე.

—

მინდა უფრო რთული ნაკლი,
დავამღერო კიდევ სხვაზე,
მაგრამ დარჩეს შემდეგისთვის,
სტვირის პირი გადავრაზე!..

**კვინტაძე.**

# ცხვრის

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველოს ბათომის განყოფილებაში ბევრი თეთრგვარდიელებია. არა ერთხელ ყოფილა დადგენილება განყოფილებიდან მათი დათხოვნისა, მაგრამ ეს ვაჟბატონები დღესაც არხეინად გრძნობენ თავს... რატომაც არ იგრძნობენ: ყოველ კვირა-უქმე დღეს ეკლესიაში გალობენ და ღმერთს „გოსპოდი პომილუი"-ს უმღერებენ... იმშა.

„ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, საბჭოთა დაწესებულებების ძველ ჩინოვნიკებისგან გაწმენდა, აი ჩვენი მორიგი გასაკეთებელი საქმე „საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების დარგში". (გაზეთიდან)




# სიყვარულის ახსნისათვის

მართალია: დიდი ნასწავლი კაცი არა ვარ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბედს არ ვემდური და ისიც ცხონებულ ბებია ჩემის წყალობით, რომელმაც წერა-კითხვა მაინც მასწავლა. სამ-ოთხი წელი ჯარში დავყავი და რუსული ლაპარაკი იმდენად შევისწავლე, რომ ეხლანდელ გიმნაზისტებს არ ჩამოვრჩები.

ჰო და ასეთი ნასწავლი კაცი ვარ. უკვე 30 წლის გავხდი და არ მეღირსა, რომ ლამაზ გოგოს გვერდში ამოვკროდი. დასწყევლოს ღმერთმა, რამდენი ბებრუცუნა მაჭანკალი არ მოსულა ჩემთან და ვინ იცის ვისი თავი არ შემოუძლევია, მაგრამ არც ერთი სახეში არ დამიჯდა. მე ვინც მომეწონა, იმათ არ მოვეწონე, ყველა გაიძახის:

— ირაკლი (ჩემი სახელია) რა ნასწავლი კაცია?! ცოლად როგორ გავყვები?! ჩემი ქმარი სტუდენტი ან და, დიდი თანამდებობის კაცი უნდა იყოს!

ვიფიქრე: — ნამდვილად უცოლო დავრჩები, თუ რამე ხელობას ხელი არ მოვკიდე-თქო. ხათქვამია: „სწავლა სიბერემდისო". მეც გადავსწყვიტე რაიმე პროფესიისათვის მომეკიდა ხელი, რომ როგორმე ბედი გაღიმებოდა და ერთი ლამაზი ქალი გვერდში ამომეკრა.

შევუდექი ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანას. გადავწყვიტე პოეტობის შესწავლა, რადგან ადვილ ხელობათ მივიჩნიე და თანაც ქალებში პოეტობას დიდი გასავალი აქვს. შევუდექი ლექსების წერას, და პირველ თემად სიყვარულის ლექსების დაწერა ავირჩიე, რადგან ამ გზით უფრო ადრე მივაღწევდი ჩემს მიზანს.

ერთი ლამაზი გოგო მყავდა ამჩნეული და ჩემი გული და სული მუდამ მასთან იყო. და, აი, პირველი ჩემი ლექსი მას მივუძღვენი. რა არ დავსწერე და როგორ არ შევაქე!! არც ერთი მისი სხეულის ნაწილი არ დამიტოვებია, რომ კოცნა არ მიმეძღვნას, და ბოლოში პასუხს ვსთხოვდი. იმდენად ლამაზად დაწერილი მივიჩნიე ჩემი წერილი, რომ ბედს ვიწყევლიდი, თუ რატომ ადრე არ მომივიდა თავში ასეთი აზრი.

მუდამ იმას ვფიქრობდი: ვინ იცის როგორ იმოქმედოს ამ ჩემმა წერილმა სონიკოზე და ნაცვლად პასუხისა, სახლში არ მომადგეს!?

გავიდა რამოდენიმე დღე და პასუხი არ არის.

ერთ დღეს რაღაც ქაღალდი მოიტანეს. მე სონიკოს წერილი მეგონა და სიხარულით ნუკრისავით შევკოტ-

# ქურქოსანნი




ესტუმრება ეკლესიას მგალობელთა დიდი გუნდი;
ლოცულობენ:—ძველო დროო, ისევ-ისევ დაგვიბრუნდი;
გელოდებით ამდენ ხანსა... ზიზღით ვუცქერთ ჩვენ ამ სოფელს.—
ხელს გააქნევს აქ ლოტბარი, რომელიც ჰგავს მეფისტოფელს;
გუნდი გალობს:—ღმერთთო, მადლი შენი რისთვის მოგვაკელი?
შენ მანდ გყავდეს ნიკოლოზი, დაგვიბრუნე ჩვენ ვრანგელი.

რიალდი... მაგრამ როცა წავიკითხე და სასამართლო მიბარებდა როგორც ბრალდებულს, ყურები ჩამოვყარე და გაძიკვირდა; არ ვიცოდი თუ რა დანაშაული მედებოდა.

სასამართლოში გამოვ: ხადდი.

— ბრალდებული ირაკლი პოეტაძე აქ არის?

— აქა ვარ, ბატონო სუდია.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ირაკლი პოე ' აძე.

— პროფესია?

— გლეხი. მიწის მუშა, მაგრამ ეხლა პოეტო. ა დავიწყე.

— რა განათლების ხართ?

— ბებია ჩემის წყ: ლობით წერა-კითხვა შევისწავლე; ჯარში რუსული ვისწავლე.

— რომელ პარტიას ეკუთვნით?

— ბატონო სუდია, არც ისე მდიდარი გლეხი ვარ, რომ პარტიობით ვყიდდე რამეს, რაც მომდის სახლში მჭირდება. ეგებ ვიხმემ შეცდომაში შეგიყვანათ!

— მაგას ვინ გეკითხება?!—ბოლშევიკი ხარ თუ მენშევიკი.

— არა, შენი ჭირიმე, არც ერთი მინდა და არც მეორე.

— თქვენ არ ცდილხართ გაგეპატიურებიათ სოფიო წკინტაძე?

— არა ჩემო ბატონო, არც კი მიფიქრია! ისე შორიდან მომწონს მარტო.

ბრალდებულო პოეტაძე, იცით თუ არა თქვენ, რომ ცრუ ჩვენებისათვის დაისჯებით? თქვენ გბრალდებათ: სონიკო უჯმაჯურიძის წერილობით შეურაცხყოფა.

— რას ბრძან·ბთ, ბატონო სუდია! შეურაცხყოფა კი არა, სოხიკო ყველაფერს მირჩევნია და ნიავს არ მივაკარებ, მაგას როგორ გაუბედავდი? ეგებ ვინმემ მოიგონა რამე? პირადათ სონიკოს უნდა შეეკითხოთ; მას გამოუძახეთ.

— ჰოი, შე წუწკო შენა!? შემომძახა სონიკომ,— როგორ გაბედე ასეთი წერილის მოწერა?!

მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემს პოეტობას დაუღუპივარ.

...გამსახლში 1 ნახ. წლით მოთავსება. განაჩენი საბოლოოა: გასაჩივრება არ შეიძლება. ყოჩაღ პოეტობავ!

სოფ: კლი.



# მეგობრული შარჟი

ძველი რევოლიუციონერი არაქელა, რომელმაც დაამთავრა ქართული მუშ-ფაკი. მიღებულია სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტად.




მახსოვს პირველად დიდი ხნის წინედ,
სასწავლებელში რომ მივებარე,
მაშინაც მქონდა ეს ყალიონი,
მას შემდეგ მე მას არ გავეყარე.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 70 | კვირა, 17 ოქტომბერი 1926 წ. | № 70

## არც ერთი რქა

გამოფხიზლებული აღმოსავლეთი სიმშვიდეს უკარგავს ინგლისის იმპერიალიზმს.
სპარსეთის ქურთების აჯანყებაც, რომელიც ისევე დამთავრდა, როგორც ოსმალოს ქურთების აჯანყება, ინგლისის მოწყობილია.
გაზეთებიდან.



სპარსეთის ლომი*) (ინგლისის ლომს და მარტო რქას**): ამ ერთ რქასაც მიგამტვრევ და იქნებ მაშინ ისწავლო ჭკუა.

*) სპარსეთის
**) ინგლისის ღერბი

# ჯამაგირის მიღება




— აიღოს, აიღოს... არ არის მისია...



— მვასესხე... ჩავლიოთ... მომეცი ნისია.

# საშემოდგომო ფიქრები

საშემოდგომო ფიქრები...

ფიქრები შემოდგომაზე...

ქარი ცივი, ფოთლები ყვითელი, დამჭკნარი ყვავილები...

ზოგიერთ თქვენგანს, ძვირფასო მკითხველო, ალბათ დანამდვილებით გონია, რომ ამ სტრიქონებს სწერს პოეტი, მსოფლიო გოდებით გამსჭვალული მგოსანი და სხვა.

ზოგიერთ თქვენგანს, იმ ზედა ორი-სამი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ უკვე წარმოუდგა თვალწინ ჩემი პროფილი, როგორც პოეტის: აბურძგვნილი თმები, ალეწილი სახე, ანთებული თვალები, ჩამოყრილი ყურები, უკან დაკერებული შალვარი და სხვ.

მართალია, მაგ წარმოდგენას შეიძლება ნაწილობრივ ვამართლებდე, მაგრამ პოეტი მაინც არ ვარ.

თქვენ ალბათ მკითხავთ:—ყმაწვილო, თუ პოეტი არ ხარ, რას მოგაგონდა ფიქრები შემოდგომაზე, ქარი, ფოთოლი და სხვა ამისთანაობა?

მომაგონდა, ძმაო. მომაგონდა, პატივცემულებო, და არც დამავიწყდება,

— რატომ?

— რატომ და რა არის ახლა საშემოდგომო ფიქრე-

მართლაც რომ, ხუმრობა იქით იყოს, და ეს ჩამოთვლილი საგნები მსოფლიო მოტივებია ამჟამად და ესენი რომ კარგად გალექსო, გამლექსველს მართლაც რომ მსოფლიო გოდების პოეტს დაუძახებენ.

— ვისთვის არის საჭირო ახლა პალტოს შეძენა? ყველა იმისათვის, ვისაც ასეთი (იგულისხმება პალტო) არა აქვს.

—ვინ მოითხოვს ახლა კალოშებს?..

ყოველი პატიოსანი (უპატიოსნოც) მოქალაქე, რომელსაც საამისო გამბედაობა სათანადო სურვილი განაცხადოს ოჯახში.

კალოში, უკანასკნელი გამოკვლევებით, განსაკუთრებით საჭიროა შემოდგომასა და ზამთარში, რადგანაც ამ ხანებში სიცივეები იცის და მოსალოდნელია ფეხის გაციება. არის კიდევ სულ უკანასკნელი გამოკვლევა, რომ კალოში უნდა შეიძინოს იმ პირებმა, რომელთაც ფეხსაცმელი გამოგლეჯილი აქვთ და ასეთებში წყალი შეუდით.

— ვინ წუწუნებს ახლა შეშაზე?.. ყოველი სუბიექტი, ვისი ფიქრიც ობიექტად დღემდეც შეშის შეძენაა, ე. ი. ვისაც შეშა არა აქვს. ასეთები კი ბევრია.

— ვინ დაეძებს კოოპ. მაღაზიებში ფანელს, მაგრამ ამაოდ?.. ყოველი ჩვენგანი, ვისაც ტანში უგარი არა აქვს და ვისაც უნარი აქვს სიცივეს ანგარიში გაუწიოს.

ჰოი, მოქალაქენო და თქვენც, კოოპ. და სახ: მაღაზიებო! ფანელი ისეთი რამ არის, რომ შემოდგომაზე და ზამთარში სჯობია ყოველგვარ „ბატისტას“ და „კრეპ დე შინს“, რომლებითაც სავსეა სახკოოპ. მაღაზიები. განვედით (მაღაზიებიდან) ყოველგვარი მარკიზეტებო და კრუჟევოებო! შემოდით (იმავე მაღაზიებში) ფანელებო და თბილო ტანისამოსო. ნუ დაგვივიწყებთ თქვენც კალოშებო!

ასეთია ფიქრები შემოდგომაზე.

ტერსიტი.

# სოფლის ალმასკომში

**ჩვეულებრივი სურათი სოფლის ალმასკომის ცხოვრებიდან**

**სცენა წარმოადგენს ალმასკომის ოთახს. მაგიდაზე არეული ჰყრია საქმის ქაღალდები. თავმჯდომარე არ არის. სკამებზე სხედან საქმის მწარმოებელი და თავმჯდომარის თანაშემწე.**

**საქ-მწარმ:** დღეს ჩვენმა თავმჯდომარემ დაიგვიანა. ჯერ შუადღე არის და ჯერ არსად სჩანს.

**თანაშემწე:** ალბათ გადასაკრავად იქნება სადმე წასული კამპახიაში.

საქ. მწარმ. **(ამოიოხრებს)** ეეჰ! ნეტა იმას რაა. ის წავა საქეიფოდ და ჩვენ მოგვაყრის ამდენ საქმეებს. **(წამოდგება და დადის ოთახში).**

**თანაშემწე:** რა ენაღვლება, იქეიფოს, მეტი რა შერჩება. თორემ არ გინდა ეხლა შენც ქეიფობდე? კაი ლამაზი ქალები გისხდენ გვერდში? ხო იცი: **,,წუთი სოფლის შვილები ვართ'' (დაჯდება და მღერის: ,,ჩუმჩაჩრა ჩაირას)**

**საქ. მწარმ.** (პირზე ნერწყვი მოადგება) ჰმმ, სად არის სად... თუთუნი არა გაქვს?—მომაწევია! ვკვდები კაცი უპაპიროსოთ.

**თანაშემწე:** თუთუნი მაქვს, მაგრამ ქაღალდი კი არა. **(მისცემს თუთუნს).**

**საქ. მწარმოებელი:** მაგის დარდი ნუ გაქვს. **(გამოართმევს. კედელიდან ჩამოხევს გაკრულ განცხადებას. გახვევენ ორივენი თუთუნს და სწევენ).**

**თანაშემწე:** **(მივა ფანჯარასთან)** **ეჰაა,** მოდის თავმჯდომარე... როგორი მთვრალია? ძლივს აბიჯებს **ფეხებს.**

**წი(ნ)და**

# ამხანაგთან

კანადის გენერალ-გუბერნატორი ბინგი, რომელიც ჩამოსული იყო ლონდონში, გაკურდეს სადილობის დროს.




— ქურდის ქურდი არ წაწყდება.

# დატვირთვა და მომჭირნეობა

### პაწია ფელეტონი.

ანდუყაფარ კურასპეტიანი ძველი შიკრიკია: ზეპირათ იცოდა და იცის ამიერ-კავკასიის ქალაქებში რომელ ქუჩაზე რა დაწესებულებაა, რადგან თითქმის ყველგან უმსახურნია.

დღეს ანდუყაფარ თბილისში მსახურობს ერთ-ერთ კოოპერატიულ დაწესებულებაში თავის სპეციალობაზე —პასუხისმგებელ შიკრიკია.

ანდუყაფარ სოფელ კიტაურადან არის, (იაპონიის კიტაურაში ნუ აურევთ); დიდი ხანია სოფელში არ ყოფილა. ნაცნობებიდან მოსდის ხოლმე წერილები, შეკითხვები, თხოვნები სამსახურის შესახებ და დროს უქონლობის გამო, პასუხის გაცემას ვერ ასწრებს; დღეს იგელთა დრო—და ერთ თავის სოფლის მეზობელს შემდეგი მისწერა:

„ძამო ყაისარ! მინავათი ვარ რომ პასუხი დაგიგვიანე და შეიძლება აწი სულაც ვერ მოგწერო; ამის მიზეზი იქნება ეკონომიის რეჟიმი. შეგვიმცირეს, ძმაო ყაისარ, სასიარულო სრედსტვა; შემოილეს გადიდებული ნაგრუზკა და წერილის მოსაწერათ კი არა, თავის მოსაფხანათაც აღარ მცალია.

ჩვენს უჩრეჟდენიას ათი ანტონ...ბილი ყოვდა, ფორდის ზავოდიდან და მარტო ცხრა დაგვიტოვეს ატვესტვენებისათვის.

უფრო დაბალი კვალიფიკაციის ატვესტვენებს—კურიერებს, აგენტებს, ინსტრუქტორებს და სხვებს ტრამვაის ბილეთებიც ჩამოგვართვეს და ფეხით გვიხდება სპეშნი პაკეტების ტარება; ვერ ვასწრობ და იმდენი პაკეტი დამიგროვდა, რომ ნამდვილი ნაგრუზკა რა ყოფილა,—ახლა გავიგე.

წინეთ თითქმის ყველგან ვასწრებდი და ახლა დღეში თუ ოთხს ან ხუთ უჩრეჟდენიას ჩავაბარე პაკეტი,—კაი ბიჭობა უნდა. მითხრეს:

— რაკი პაკეტების ნაგრუზკა მიიღე, ზარპლატას გაგიდიდებენ და პოპოშნიკსაც მოგცემენო. მეც შევუდექი საქმეს. ამას წინეთ დღისით ვიყავი პრისედატელის კაბინეტის კარებთან. მომსვლელების სიარული რომ შეწყდა, პრისედატელი დარჩა მარტო და იმან დაიწყო სიარული კაბინეტის კუთხიდან-კუთხეში, რადგან უკვე ბნელოდა და ელექტრიჩესკი ტოკი დარეჟიმების გამო დაგვიანდა. როცა ტოკი მოვიდა, პრისედატელის ფეხის ხმა შეწყდა. ვიფიქრე: ახლაა დრო, შევალ და მოველაპარაკები ნაგრუზკის კოპესაციაზე და პოპოშნიკზე მეთქი.

შევედი; ღამის თერთმეტი საათია; თავის სტოლს უზის და რაღაცას სწერს.

— რა გინდა, ანდუყაფარ?—მეკითხება.

დავიწყე...

— ჰოო! შემ დიდხანს ვერ გაათავებ... და ელექტრიჩესკი ლამპა ჩააქრო.

შევიშალე კაცი; შემეშინა:—რა უნდა მიქნას ამ სიბნელეში მეთქი, და სულ განაბული ველოდი საშინელ რისხვას.

— გააგრძელე, ამხანაგო, ანდუყაფარ!—მეუბნება პრისედატელი.—ახლა ეკონომიის რეჟიმია, ლაპარაკი ბნელშიაც შეიძლება...

— დიდება შენდა უფალო! მოიდა ნუ გაგიკვირდება! ჯერ ხომ მართლა ეკომონიაა და, მერმე ბნელაში უფრო გაბედულათ ვუთხარი ყოლიფერი.

— გაათავე?—მეკითხება.

— კი ბატონო ამხანაგო!—ვუპასუხე.

აანთო ელექტ...სტვა, წამოდგა და დაფიქრებული ღიმილით მითხრა:

— ბნელში მოგისმინე და ხვალ დღის სინათლეში პასუხს გეტყვი-ო.

მეორე დღეს ნაჩკანცმა გადმომცა, რომ შენი განცხადება რეჟიმეკომონიის ჩეკას გადაეცაო.

ველოდები პასუხს, ჩემო ყაისარ, და არ ვიცი რა გამოვა.

ასე გართულებული და გამარტივებულია, ძმაო ყაისარ, ეხლანდელი სლუჟბა ახალი რეჟემის გამო და სამსახურის შოვნა ხომ შეუძლებელია თუ კავშირის წევრი არ ხარ,—და კავშირში კიდევ ვერ შეხვალ, თუ სამსახურში არ იმყოფები.

შენი ადუყაფარ კურაპეტიანი"

დედანთან სწორია:

ტარტაროზის პოჩტმეისტერი პ. როკაპი.

# ძველი მოხელის ქართული ენა

ჩტო ზა ჩორტ, კაცო! ეტო პროსტო ნესჩასტიე, რაღა!! ჯამაგირებს არ გვიმატებენ, ა მეჟდუ ტემ კაკ ეშმაკი რაბოტაემ. გარდა ამისა, კაცო, ეს ოხერი სიძვირე რასტიოტ და რასტიოტ ნე პო დნიამ, ა პო ჩასამ... დნიმ სლოვომ, თუ ამ თვეშიაც არ მოგვიმატეს, მაშინ ხომ კარაულ კრიჩი! ნაჩალნიკები ყურს არ გვიგდებენ. ანი კონეჩნო ნაპლევატ ხოტიატ,—იმათ რა ენაღვლებათ; იმ ხოროშო ჟივიოტსია... ჩვენ კი ცოლშვილი შიმშილით გვეხოცება, კაცო, ხლება ნე ნა ჩო კუპიტ და აღარც მისიათ გვემდობიან... ჩორტ ზნაეტ ჩტო ეტო ტაკოე!

მათე.



# მ ა ნ ი კ. უ რ ი

### ოჯახური სცენა

**I**

**ცოლი:** კაცო, რამდენჯერ უნდა გითხრა: ეს ფრჩხილები სოფლის გოგოსავით მაქვს; მანიკურის კაკეთება მინდა.... ყველაფერს რომ ღვინოში ხარჯავ,—ერთი ათი შაური რომ ჩემთვის გამეტო,- ღმერთი კი არ გიწყენს?!

**ქმარი:** თუ არ დაგიშლია მაგი რაღაც მანიკიურია, ისე გავჯავრდები, რომ ღვინოს არ დავლევ ჩემს სიცოცხლეში.

**ცოლი:** ნურამც დაგელიოს. მაგის დარდი არ მქონდეს იმის მეტი არაფერი მეტკინოს კუზოს კარამდი... მე იმას ვსტირი, რომ ტოლ-ამხანაგებში გამოწყვეტილი ვარ... თეკლეს ისეთი ჟორსეს კაბა აცვია, რომ სარკესავით ...ჭყვინავს; ძვირფასი ბრილიანტის საყურები აქვს; ყველ...ს უფრო გასაგიჟებელი ფრჩხილები აქვს დაპრიალებული... მე კი, მე...

**ქმარი:** დედაკაცო, ხმა ჩაიკმინდე, თორემ მე ვიცი როგორ გაგაპრიალებ სიგრძე-სიგანეზე.

**ცოლი:** მეტი შენ რა იცი? შენ მუდამ ასე ზვერივით მსჯელობ... ჭკუით იყავი ყაზახო, თორემ „ჟენადელ'ში" წავალ და იქ გიჩივლებ... ისეთ დღეს დაგაყენებენ, რომ მერმე შენც ინანო,—რატომ ვაწყენინეო.

**ქმარი:** ჟან ადელაი ვინღაა?! განა შენი საყვარელია? ალბად ვიღაც საზღვარგარეთელი ფრანგია! ეს კაი რამე გავიგე!?!

**ცოლი:** სიტყვას ბანზე ნუ ისვრი... ყური დამიგდე: ხელებს შვილსავით ვუვლი, და მანიკიურისათვის ფული ჩამოდი, თორემ გშორდები იცოდე!

**ქმარი:** ჰმ! მშორდები, თორემ ერთბაშად დუგლა ფერბენქსმა არ გითხოვოს, არ მოგიტაცოს?!

**ცოლი:** დურგალი მითხოვს, თუ ძუნგალი,—ეს ჩემი საქმეა... ან ფული, ანდა გავეყაროთ ერთმანეთს...

**ქმარი:** პოჟოლუსტა, მე გაგაცილებ დედიშენის სახლამდი.

**ცოლი:** არ მჭირია თქვენი გაცილება... მე ახლა მივდივარ და რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე.

**ქმარი:** აბა, ახლა თუ მიდიხარ, ერთხელ მაინც მაკოცე...

**ცოლი:** არც გაკოცებ, და არც არაფერი. მე მივდივარ...

**ქმარი:** გზა მშვიდობისა.... წადი, ნუ გეშინია, ჯერ ადრეა,—ტრამვაი კიდევ იქნება... ჰო, მართლა: თუ დუგლასზე გათხოვდე...

**ცოლი:** მე არ გეხუმრები: მართლა მივდივარ..

**ქმარი:** წადი რაღა!? წასვლისას კარები გაიხურე, თორემ „სკვაზნიაკი" გამჭვალავს.

**ცოლი:** უკანასკნელად გეუბნები.

**ქმარი:** რამდენჯერ იცი უკანასკნელი თქმა?!

**ცოლი:** მე მართლა გეუბნები; მასხრობის ხასიათზე არა ვარ... გესმის—მივდივარ...

**ქმარი:** ჯანდაბაშიც წასულხარ... დედაკაცო, შენ მგონი ენაზე გჭირია მანიკიური რომ ვეღარ მორჩი ამ ლაპარაკს!?

**ცოლი:** არა, უკაცრავად, მე ასე ადვილად აქედან არ წავალ... „„ჟენადელ'ში" უნდა წაგიყვანო...

**ქმარი:** ოღონდ შენ მომშორდი და მანიკიურის ფულს კი არა, მეტსაც მოგცემ... აჰა, წაიღე და აწი თვალებს არ დაენახო...

**ცოლი:** ოი, გენაცვალე... აბა ნახე როგორი ფრჩხილები მექნება?! სულ დავიპრიალებ და მაშინ შენც კი მიხვდები თუ რა კარგი ყოფილა მანიკიური.

**ქმარი:** სახლში კი არ დაბრუნდე... მანიკიურის გაკეთების შემდეგ, სადაც გენებოს იქითკენ გაისეირნე; აქეთ კი პირი არასოდეს ჰქნა...

**ცოლი:** ხა-ხა-ხა-ხა... აბა ნახავ, როგორ გალამაზებული მოვიდე; მგონი გაგიჟდე ჩემი სილამაზით... (მიდის მანიკიურის გასაკეთებლად.)

ნახ-ალი.

**

ტარტაროზის დავალებით გაგზავნილი ვიყავი ამ ამბის შედეგის გასაგებად. უნდა გამეგო, თუ სად წავიდოდა ცოლი მანიკიურის გაკეთების შემდეგ. როცა ცოლი საპარიკმახეროდან გამოვიდა, მე ფეხდაფეხ დავედევნე. იგი სახლში დაბრუნდა მანკიურ გაკეთებული და რაც მოხდა, იმას გიამბობ ამ წერილის მეორე ნაწილში.

**ქმარი:** უყურე ამას! კიდევ არ დაბრუნდა სახლში! დედაკაცო, აკი გითხარი, რომ თვალზე არ დამენახოთ-მეთქი?!

# მ ზ ი თ ე ბ ი

პოლონეთის ყოფილმა პრემიერმა სკრიჟინსკიმ დანიშნა ამერიკელ მილიარდერ ფორდის ქალი. სიმამრი სიძეს აძლევს სამასი მილიონ დოლარის მზითვს.



— მე კი ამის ნახევარსაც დავსჯერდებოდი

# ჭკუის სწავლება



— ეს ისახ ბაძლახა... მე იმან შეურაცყოფა მომაყენა... სულელი მიწოდა... სასამართლოში ვუჩივლებ და იქ მოვსთხოვ პასუხს...

— გაჩერდი შენთვის და წაიყურე, თითქოს ხუმრობა ყოფილიყოს,—თორემ თუ სასამართლოში უჩივლე, თვითონ შენ წააგებ: იგი დაგიმტკიცებს თავის სიტყვებს.

ცოლი: შეხედე რას მიგევს თითები და ფრჩხილები!?

ქმარი: როგორ პერსიანივით შეგიღებავს?!.

ცოლი: არ მოგეწონება შენ?

ქმარი: კაი შენს ცხვირს მოუვა, მაი კაია... დედიშენის შვილი ხარ და ამიერიდან კიდევ მოგითხოვია მაგისათვის ფული?

ცოლი: რომ იბრიქები, ვის ეშინია შენი? შენ არაფერი არ იცი ქვეყანაზე... შენ ისიც კი არ იცი, რომ მანიკიურს რომ ქალი გაიკეთებს, მან „პრიჩოსკაც" უნდა გაიკეთოს...

ქმარი: რაო? რაო?!

ცოლი: რაო და „პრიჩოსტკა"

ქმარი: ეს რა ოხრობაა, ქალო?..

ცოლი: რა არის და თმის გაკეთება, დავარცხნა, დახუჭუჭება: ისეთი ლამაზია, რომ...

ქმარი: რომ წაგავლებ ხელებს თმებში,—ისე დაგიხუჭუჭებ, რომ პარიკმახერმა კი არა, ჭინკასაც გაუკვირდეს...

ცოლი: რაო? კიდევ გაიმეორე?

ქმარი: შენ მგონია ეშმაკი შეგიძვრა და არ გასვენებს. სანამ არ მოგარბილებ. ბედისწერას აუტანიხარ, თორემ რაღას ბრუნდებოდი ჩემთან?

ცოლი: სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ ვიცოდე: შენ ამას მართლა ამბობ. თუ მეხუმრები?! მართლა არ ფიქრობ ფულის მოცემას?

ქმარი: თავში ხომ არ გიქრის?

ცოლი: მგონი შენ გიქრის და ასე მოგიხდება...

**გაისმა ტკაცანი ქმრის სახეზე. ქმარი რაღაც იდუმალ ძალით ორჯერ შემოტრიალდა ციბრუტივით... და როცა გონს მოვიდა, ცოლს სტაცა ხელები თმებში.**

ქმარი: ისე დაგიხუჭუჭო ეს თმები, რომ გასაკრეჭ ცხვარს ჰგავანდე....

ცოლი: მე შენ თუ ჩამოგრჩე, შენი თქხი მაბანიე...

**გაიმართა ჩხუბი. ცოლი მალე გადვიდა შეტევაზე... ქმარი დაკაწრა. სახეზე სულ სისხლი ჩამოსდიოდა, ახლად დაქვრივებულ სოფლის დიდაკაცისავით ჰქონდა სახე დაკაწრული... ასდაც კი გაეკროდა ცოლის ბრჭყალი, სამართებლისავით სჭრიდა და სისხლი გადმოსდიოდა.**

ცოლი: აი, ამისათვის მჭიროდა მანიკიური; ეს არის ჩემი თავდაცვის იარაღი—ეუბნებოდა და ქმარს, რომელსაც **არაქათი გამოლეოდა და ბრძოლის გაგრძელებისათვის თავი აღარ ჰქონდა.**

**სასწრაფო დახმარებით მიაქროლებდენ ქმარს პასტერის დისპანსერში. ცოლიც თან გაჰყვა.**

—მე, ბატონო, ბაზარში ვიყავი წასული სანოვაგის საყიდლად. ქმარი ლოგინში დავტოვე; უქეიფოდ იყო და დილით ადრე ვერ ადგა... თურმე როცა ეძინა ამ საწყალს, ცოფიანი კატა შემოვარდა საიდღანაც და მძინარე კაცს სახეზე ეცა... უი, ჩემი სიკვდილი... ბატონო, ასე დაკაწრა იმ შეჩვენებულმა... ეზოში რომ ჩამოვედი, მომესმა ამ საწყლის ყვირილი:

— მინადორა, (მე მქვია ბატონო)—მიშველე შენი-ჭირიმეო. შენ გენაცვალეო, ცოფიანმა კატამ შემჭამაო...

გავიქეცი, შევარდი სახლში, მარა როგორც კი თვალი მომკრა, მაშინვე გაიქცა კატა... ცოფიანი იყო იგი შეჩვენებული... მიშველე, ბატონო რამე... დაზღვეული კი არის; თუ აგიც გაცოფდება, ფულს ავიღებ და...

როცა დრო ვიხელთე, შევედი დაზარალებულთან და დაველაპარაკე:

— კაცო, კი მაგრამ თქვენი ცოლი რომ ექიმს ატყუილებს—თითქოს თქვენ ცოფიან კატას დაეკაწრეთ, —რატომ ენას არ იღებ და ექიმს სიმართლის არ ეუბნები?! აქ. ხომ იცი, ცოფის საწინააღმდეგო ნემსებს გაგიკეთებენ. და რა საჭიროა ეს, როცა შენ შენმა ცოლმა დაგკაწრა?!

— ძალიან საჭიროა.... რატომ გგონიათ, რომ ჩემი ცოლი არ არის ცოფიანი?! მე დარწმუნებული ვარ რომ იგი ცოფიანია და ამიტომაც მის ტყუილს აღარ ვამხილავენებ... პირიქით: მადლობის ღირსიც არის... ცოფი ხომ ადამიანის და მხეცის ერთნაირია... მით უფრო ქალის და კატის... ორივე მჩხავანაა და ბრჭყალიბიანი... ისე კი მანიკიურმა დამღუპა... ახალი გაკეთებული ჰქონდა მანიკიური და ბასრი იყო მისი ბრჭყალები...

— მართლაც: ცოფიანი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასე ... ორის [illegible] მეორე ადამიანი—გავიფიქრე ჩემთვის [illegible] და წამოვედი ამ ამბის სათხრობად ტარტაროზთან.

**ჭინჭარი.**

# გრიგალი

ამერიკაში გადაიარა გრიგალი, რომელმაც მოულოდნელად გაამდიდრა ერთი ვაჭარი: ეზოში ჩაუგდო სახლი.
(რადიო-დეპეშებიდან)

I

იყო (და ახლაც არის)... იყო ვაჭარი ერთი.
მას ღმერთი სწამდა,—მაგრამ მას არ სწყალობდა ღმერთი.
იმ ქვეყანაში ბევრი იყო დოლარი ფული,—
მაგრამ მას მაინც ჰქონდა ოჯახი ღარიბული.

თავს ენგრეოდა ქოხი... სხვები აგებდენ ახლებს.
თავის ფაცხასთან მჯდომი ხედავდა სხვების სახლებს,
აი, იქ, მაგალითად: ბურჟუა გადმომდგარა...
ბოლებს... ფიქრობს::: ფულით ის კიდევ ვედ გამძლარა:::



სამშობლო ქვეყანაში ფული ბევრია, მაგრამ
რად გინდა!—სხვისი არის, პატრონი აზის მაგრად.
იფიქრე რაც გინდოდეს... ნერწყვით ისველე ყელი...
უცქირე ოქროს ზვინებს,—მხოლოდ არ ახლო ხელი.

ოქროთი სავსე ტომრით ელანდებოდა ფორდი;
გამდიდრებული კინოთ ფერბენქსი და პიკფორდი.
უფრო დიდები კიდევ აი, ფორდი, რამდენია, ღმერთო..!
...ასეთ ფიქრებში იყო... ფიქრებში ის გაერთო:

II

რა არის ეს ცხოვრება? სიცოცხლე ჰქვია ამას?
რასაც შოულობ კაცი უნდება სმა და ჭამას!
არ იქნა. ვერ ავაგე საცხოვრებელი სახლი...
შემეძლოს,—ამ ქვეყანას მე სხვა პლანეტას ვახლი.
ვაჭრობ დღე-და-ღამ მუდამ. არა მაქვს წუთით იხი,
ვცდილობ და აღარ იქნა,— მაინც სდგას აქ ეს ქოხი.
დაიქცეს ეს ქვეყანა, და ჩამიტანოს მეცა...
...და დააპირა წასვლა;—ამ დროს შეინძრა ზეცა.



ჰქროდა გრიგალი ძლიერი... ძრწოდნენ ვაკე და მთები,
შიშისგან ამ ჩვენს ვაჭარს ყალყზე დაადგა თმები.
იგი ბურჟუაც მოაქვს თვის სახლთან გრიგალს ავსა...
აჰა, მოსწყვიტა ქარმა,—ქვაზე გაიტეხს თავსა.
ჰაერში მიაფრენდა დიდ სახლ... ჩიტებს...
ჩვენი ვაჭარი გულში სიხარულს ველარ იტევს.
ღაღად-ჰყო მუხლმოდრეკით: „აქ ჩამოფრინდი, სახლო;
ძირს დაექანე კიდევ, რომ ხელი მაგრად გახლო".

# ეჭვსა და მოლოდინს გარეშე

ჩემი წერილი ჰიუმორისა და სიცილის შესახებ რედაქტორს მიელო და დაესტამბა კიდეც.

— ალბათ, მოეწონა, ბევრი იცინა ¹) მისი კითხვის დროს და ჰონორარის გადახდაზეც დასთანხმდა.—გავიფიქრე მე.

ვნახე თუ არა ჩემი წერილი ჟურნალში, ჯერ მხოლოთ სათაურის ამოკითხვა ძლივს მოვასწარი, რომ ამიტყდა თავ-შეუკავებელი სიცილი. ვიცინოდი იმის გამო, რომ ამ სახელდახელოთ შეხანხლილი წერილით ისე მოვხიბლე ულუბრყვილე რედაქტორი, რომ პირველსავე გვერდზე მეთაურ წერილათ გაეშვა²).

როცა სახლში მივედით, ჟურნალი სწრაფად გადავშალე და ჯერ კიდევ პირზე შეწყვეტილი მხიარული ღიმილით შევუდექით კითხვას.

მაგრამ აი, თვალი ჩემი უცბათ შეჩერდა წერილის ბოლოზე, სადაც ჩემი ფსევდონიმი იყო მოწერილი.

— ახ,—ამომსქდა მკერდიდან,—რა არის ეს? ნუ თუ ეს ჩემი წერილია? იქ, ჩემი ფსევდონიმის ნაცვლად, რაღაც სულ სხვა სიტყვა ეწერა. მართალია, დასაწყისი კი ჰგავდა ჩემს ფსევდონიმს, მაგრამ დაბოლოება სულ სხვა მნიშვნელობას აძლევდა მას.

და მე ჩემი მხიარული განწყობილება უცბათ შეცვალა სახის გამოუთქმელი დაღრეჯილობით.

— ალბათ, ის წყეული ახლა ზის და თვითონ იცინის, დამცინის მე, რომ ასე ვირად გამომიყვანა: წერილი სხვას მიაწერა და ასეთი სრულიად მოულოდნელი მოხერხებული სარმით მოსალოდნელ ჰონორარზე ხელი დამაბანინა,—გავიფიქრე მე რედაქტორზე.

გამახსენდა, რომ სიცილის ხარისხებათ დაყოფის დროს მე გამომჩა მისი შემდეგი სახეები: კრეჭა, ღრეჭა, ღრეცა, ხვაჭვა, ხრიჭვა, კრიჭვა და სხვა ასეთი ცნებები, რომელთაც ძირეული კავშირი აქვთ სიტყვასთან—„კრეჭა".

და მე მთელის სიღრმით ვიგრძენი ჩემი დანაშაული, რომლის შედეგი იყო, ალბათ, რედაქტორის მიერ ჩემი წერილის ასე შეკრეჭა. ახია ჩემზე!

ახლა ჩემს წინაშე იდგა ჩემი შეკრეჭილი წერილი და უკბილო (ბედაბერსავით³) შემომცინოდა, ალბათ, დამცინოდა!

ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა და გავიფიქრე: „ეს არის სწორედ სიკვდილის ანგელოზს რომ ეტყვიანშეთქი!"...

მოწოლილი უსიამოვნო გრძნობების გასაფანტავათ, თავს ძალის დატანება ვუწყე და წერილს ქვევით ჩავყევი,

III

ალსრულდა მისი ნატვრა: სახლი იქ ჩამოფრინდა...
ილხინე სულო-გულო... სხვა აწი რაღა გინდა?!
მის ქოხის ნაცვლად სახლი წამოიჭიმა კოხტა...
ვაჭარმა სიხარულით არც იცის როგორ მოხდა.

გადმოდგა მედიდურად, ახლა აბოლებს იგი...
ჰაერში ისევ ფრინავს სახლების მთელი რიგი.
მაგრამ არ უნდა კიდევ... მისთვის ესეც ხომ კმარა!..
კმაყოფილია კაცი... არ უნდა მეტი... მარა,—



ეს რაა?!! ხედავს: გრიგალს მოაქვს პირუტყვთა ჯოხი...
ამბობს:—ო, ნეტა ჩემსას, აქ ჩამოვარდეს ზოგი.
ჩემსკენ... აქეთკენ... ღმერთო, ამიხვდეს მე ეს ნატვრა"...
ვაჭარი სიხარულით და აღტაცებით დაფვრა:::

მიმართულება ჯოგმა იცვალა—იქით მოდის.
ვაჭარი მსურველია გრიგალის უფრო დიდის:
„გრიგალო, შემისმინე... ბარე მთლად გამახარე—
დაჰბერე უფრო მძლავრად, ჯოხი აქ გადმოჰყარე".

IV

ალსრულდა მისი ნატვრა: გრიგალმა მოიმატა...
კამეჩს მიაფრენს ცაში, თითქოს ის იყოს კატა.
ეს უხარია ვაჭარს, გული ევსება ლხენით.
ის ეზოს დაამშვენებს: ხარით, ძროხით და ცხენით.

ჰყვირის: „დაჰბერე კიდევ"... გრიგალმა მოიმატა...
მის სახლს მიაფრენს ცაში, თითქოს არისო კატა.
მიჰქრის ვაჭარი სახლით... ბევრი ჰყავს თანამგზავრი...
გრიგალი არა ცხრება... ხდება ვკლავ უფრო მძლავრი.



მიჰქრის სივრცეში. სადღაც... არ სჩანს ბოლო და თავი;
მიხვდა ვაჭარი ახლა: ხვედრი მოელის ავი.
ხედავს: შორდება მიწას... სჩანს ოკეანე ახლოს...
მას უკან მოსდევს ქოხი,—უნდა მას ხელი ახლოს...

ქოხი იქ ჩამოვარდა, დაიმტკრა ზღვის-პირს კლდეზე...
ქარმა გახადა ფრაკი და ჩამოჰკიდა ხეზე...
ქვეშ ზღვაა—მიწა არ სჩანს... ჰქრის მძაფრი ქარი ცაში...
ვაჭარი არსად არ სჩანს—ჩაყურყუმალდა ზღვაში.

„ვიზინტი".

---

ვკითხულობ წერილს, მაგრამ ვგრძნობ, რომ თანდათან იმ მორიელის მდგომარეობაში ვდგები, რომელმაც, ცეცხლის რკალში მოქცეულმა, თავისი გესლიანი ნესტარით თავისი თავის მოშხამვა რომ გადასწყვიტა. მართალია, ეს შემთხვევა ბაირონს აქვს მშვენივრად აწერილი, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ჩვენმა ნიჭიერმა მოაზრემ—გრიგოლ ...ობაქიძემ ეს მომხიბლავი შემთხვევა ბაირონს მოსტაცა და თავის „გველის პერანგში" მოათავსა, მე მუდამ უშუალოდ „გველის პერანგიდან" ვიგონებ ამ მორიელს და არა ბაირონიდან. ერთი, რომ ეს უკანასკნელი ჩვენთან უფრო ახლოა, და, მეორეც, ეს ჩვენი მორიელია, უკაცრავათ, მორიელი კი არა გველი, მაგრამ ეს ხომ არსებითად ერთი და იგივეა.

როგორც იყო გავათავე წერილის კითხვა, მაგრამ ვინაიდან მე გესლიანი კუდი[4]) არ მქონდა, თავში რომ ჩამეკრა, ამიტომ მხოლოთ ხელები წავიშინე თავში[5]).

ასეთ მდგომარეობაში რომ დამინახეს ჩემი ოჯახის წევრებმა, მომცვარდენ აქეთ-იქიდან და გამაკაიჰეს.

ბოლოს ხელები შემიშვეს. მეც რის ვაი-ვაგლახით ზე წამოვდექი და ბარბაც-ბარბაცით რედაქციისაკენ გავეშურე.

— რა არის ეს?—მივაძახე შორიდანვე რედაქტორს. და მჯიღებ მომართულმა მისკენ მივიწიე, თანაც წერილზე ვუთითებდი.

— ეს? წერილი!—ცივად მომიგო რედაქტორმა, წამოდგა, მომზადებული მჯიღები ჯიბიდან ამოალაგა და ჩემს წინ მაგიდაზე დააწყო.

გამოირკვა, რომ ყოველივე ეს ყოფილა კორექტორის ბრალი და ახლა, ალბათ, ის იცინის, ე. ი., საბოლოოთ იცინის ჩემზეც, რედაქტორზეც და მკითხველზეც.

ჰონორარი?!..

ჰონორარი, რაღა თქმა უნდა, უდავოთ ეკუთვნის იმავე კორექტორს, რადგან ფსევდონიმი, რომელიც მან ჩემს წერილს მოაწერა არავის არ ეკუთვნის, წერილი, რომელიც რედაქტორმა შეკრიჭ-შემოკრიჭა, რა თქმა უნდა, მე აღარ მეკუთვნის, ხოლო ნაბეჭდი, რომელიც თავის მხრით კორექტორმა დაამახინჯა, უდავოთ ეკუთვნის კორექტორს, რადგან, „ძაღლი ვინც მოჰკლა, იმან აუნდა გადაათრიოს"-ო, უთქვამს და, მაშასადამე, გადათრევის ფასიც, ე. ი., ჰონორარიც მხოლოთ კორექტორისაა, აბა, სხვამ ვინღა უნდა მოჰკიდოს მას ხელი?!..

— ჰონორარი?!.. სრულიად აუღელვებლათ წარმოსთქვა იქვე ამ ამბვის შემსწრე კანტორის გამგემ:

— ჰონორარი არა ვინ არ ერგება, რადგან ამ ფსევდონიმით წერილი პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში და პირველ წერილზე კი ჰონორარს არავის არ ვუწერთ ხოლმე!

დაათავა კანტორის გამგემ და ამ რიგათ საბოლოო სიცილიც მას შერჩა.

ციც!

---

1) ცოტაც არა.

2) აქ საკვირველი არაფერიც არ არის: ჩვენ ამ შემთხვევაში მივბაძეთ ჩვენს გაზეთებს, რომლებიც ძალიან ხშირად საგოდრო მასალას მეთაურად უშვებენ.

3) დედაბრის უკბილობა არ არის ისე გულშემოსაყარი, როგორიც უკბილო იუმორი. (ალბად ამიტომაც ხვდა თქვენს წერილს ასეთი ხვედრი).

4) კუდი რად გინდათ, თუ გული გაქვთ.

5) ამიტომაც გვესმოდა მაშინ რახუნი, რომელიც გვაგონებდა კრილოვის გოჭკის ხმაურობას.

ტარტაროზი •

# ერთი პვირის რადიო ჭორები

### გეურქა

ბარილუს, საქულჯან! ბაზრიდან მოდიხარ? ეს რა ძვირობა ჩამოვარდა, კაცო, ფარსანაგი ძროხის ხორცი გირვანქა ათი შაური. კარგი თელავის გუდის ყველი სამ აბაზზე ნაკლებ ვერ გიშოვნია: აყროლებული ბოჭკის ყველს ათ შაურათ ჰყიდიან; აბა, ბოლოკი რომ კონა ხუთი შაური იყოს და კაცს ორი შაურის წიწმატს არ აძლევდენ, ამაზედ მეტი რაღა გინდა! ეჰ, საქულჯან, გაძნელდა ცხოვრება, გაძნელდა!

### საქულა

რას იზამ, უსტა გეურქ. ამ ოხერმა იმპერიალისტულმა ომმა ისე გამოსრუტა ხალხის ავლა-დიდება, რომ ჯერაც ვერ ჩავდექით კალაპოტში. შე კაი კაცო, განა ეხუმრები! მარტო ძველ რუსეთმა ამ მხეცურ ომში დაკარგა შვიდი-რვა მილიონი ახალგაზრდა ვაჟკაცი: ნი მოკლულები და დასახიჩრებული. ამოდენა ხალხის ხომ მოჟლიტა იმ აძაღლებულმა ნიკოლოზმა და თანაც ხალხის ქონებაც თან გააყოლა! რაც დარჩა, ისიც მენშევიკებმა გაფლანგეს და გაიტაცეს. ბოლშევიკების კი დაუტოვეს ცარიელი ტომრები. თუმცა შრომით და ყაირათიობით ცოტცოტა გამოსწორდა საქმე. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი არის. მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდება.

### გეურქა.

აცა ვირო ნუ მოკვდები. გაზაფხულზე იონჯა მოვაო. ტო, ყურუმსაღ, სანამ თქვენ ამ ნაკაპლენიას გააკეთებთ, მე კი ფეხებს გავჭიმავ და, მერმე რაღა თავში ვიხლი თქვენ ზდობნი ბულკებს! ჯამაგირები მოუმატეთ ხალხსა და მაშინ ყველა თავის ღონეზე დადგება.

### საქულა.

გეურქჯან, საქმე ეგრე პროსტათ არ არის, როგორც შენა გგონია. ჯამაგირების მომატებას ახალი ჩერვონცები უნდა, რომლის გამოშვებაც ყუათს დაუკარგამს ფულსა და უფრო მეტი სიძვირე ჩამოვარდება. ქართულათ ნათქვამია: კატას კუდი ისე უნდა მოაჭრა, რომ ხელები არ დაგაფხაჭნოსო. გახსომს ბონები? უშვებდენ და უშვებდენ! ბოლოს რა გამოვიდა? ბევრი შენისთანა კუპეწი მილიონერი გახდა, მაგრამ იმნაირ მილიონით შილაფლავისთვის ძირას და პილპილს ვერ ჰყიდულობდი. ეს გზა არც ეხლა იქნება სწორე, ძმაოჯან! ბალშევიკები ეხლა სხვა ფოკუსს აკეთებენ: ცდილობენ, საქონელი უფრო იაფათ დაამზადონ ფაბრიკა-ქარხნებში და გასასყიდი ფასებიც დაუწიონ. ამ იაფ საქონლის ნაწილს მუშა თითონ მოიხმარს და მეტ ნაწილს კი მიჰყიდის გლეხსა, რომელიც თავის ნაწარმოებსაც უფრო ნაკლებ თასში დაუთმობს თავის მეგობარ და მოკავშირე მუშას.

### გეურქა.

მართალია, საქულჯან, ტროცკი და ზინოვიევი ბალშევიკებს ამ საკითხში არ ეთანხმებიანო? იძახიან, ვითომ პეტრებურგში და მოსკოვში ბალშევიკები ორ პარტიათ გაყოფილან და ერთი მეორეს ეჩხუბებაო. ვითომ, ეს საქმე ძალიან დიდ იმედებს აძლევს რუსის გაქცეულ შავ ღენერლებს და ჟორდანია-რამიშვილებს.

### საქულა.

უსტა გეურქ, შენ კიდევ გძინავს, ჩემა მზემ; უთანხმობა ძმებშიაც არის და მტრებშიც. ბალშევიკების საქმე არ იცი? პირველია მაგით სპორი? ცოტას წაიჩხუბებიან. ასწევენ მაღლა მუშტებსა და ბოლოს კი მტრის კონკრობოსტზე ჩამოუშვებენ. ეხლაც ისე იქნება რაღა! ტროცკი ერთს იტვის, სტალინი—მეორეს, ზინოვიევი—მესამეს, კამენევი—მეოთხეს, მერმე კი ერთად შეიკრიბებიან და ყველანი ერთად ლენინის ერთმანეოისათვის ადვილ გასაგებ ენაზე ილაპარაკებენ და ამით ბოლო მოეღება სპორსაც და თეთრგვარდიელობის იმედებსაც. ისე იყო 1918, 1920, 1923, 1924 წლებში და ეხლაც სხვანაირათ არ იქნება. ნათქვამია, ეშმაკი თავის ოჯახს არ დააქცევსო.

(გაგრძელება მე-9-ე გვერდზე)

# ჯერ საყვედური.

მონადირეთა კავშირის დადგენილებით 1926—27 წლის მთელი სეზონის განმავლობაში აკრძალულია ნადირობა დედალ შველებზე. (ქრონიკიდან).



**მამალი შველი** (დედალ შველს): შენ რა გიჭირს, ჩემო დაო. უშიშრად შეგიძლია ტყეში ნავარდი... მე კი შიშის გამო ფეხის გადადგმაც მეშინია; არ ვიცი რომელ ჩირგვიან თუ ხის ძირიდან გამოვარდება ტყვია და მომკლავს... სულელები, ის კი არ იციან, რომ თუ მამალი შველები დაგვხოცეს, დედლები, სულერთია, მაინც ვერ გაამრავლებენ შთამომავლობას. სული წმინდა ხომ არ გადმოვა თქვენზე და სულს არ შთაგბერავს!



**მონადირენი**: რომელია თუ იცი: მამალი თუ დედალი.

**ერთი იმათგანი** (ხუმრობით): წადი და შეეკითხე: მამალია თუ დედალი და თუ შეიძლება მათი მოკვლა.

# მერე მადლობა



დეადალი შველი (მონადირეს): უკაცრავად, ამხანაგო, მაგრამ ვერ მოგართვი; თუ შეიძლებოდეს მაგი თოფი ძირს დაუშვი. თქვენ არა გაქვთ უფლება, რომ მე მომკლათ. მე გახლავარ ქალბატონი შვილი.



მონადირე (ცოლ-შვილს): დალუპოს ღმერთმა... არასოდეს არ მინახავს ამდენი შველი, ჯოგობით იყო, მაგრამ რად გინდა,—ყველა დედლები იყო, და დედალი შველების მოკვლის უფლება არა გვაქვს. (თავისთვის). მო ერთიც არ მინახავს თვალით, მაგრამ რა მენაღვლება მო ვატყვილე). ახლა კი წამადგა მონადირეთა კავშირის ეხ

## გეურქა.

შენი ჭკვის აპარატს ვენაცვალე, საქულჯან, რომ ყველანაირი აზრები შიგ შეშუდ-შეშუდათ წყობით გილაგია. მაშ მოდი ერთი ისიც ამიხსენი, რა არის ეს გასაოხრებელი ლიგა ნაცია, ანუ რა საქმეებს აწყობს.

## საქულა.

ძია გეურქ, შენ გახსომს ძველ დროს მექრთამე პრისტავი გლებოვის უჩასტკა? ეს ლიგა ნაცია სწორეთ გლებოვის უჩასტკაა რაღა: ქურდი, ჯიბგირი, კაცის მკვლელი და ყველა ცუდი საქმის ჩამდენი კაცი, როგორც კონფერენციაზე, ისე მოდიოდენ ანუ მოჰყვანდათ გლებოვთან. ეს უკანასკნელიც ჯერ ფეხების ბრაგუნით და ყვირილით უხდებოდა ამ კეთილშობილ სტუმრებს და მერე კი, როცა ქრთამს მიიღებდა, მაშინ მეგობრულ სალამით ისტუმრებდა, ესეც შვრებიან ლიგა ნაციის ბატონ-პატრონები—ანგლია და ფრანცია. პოლონეთმა ლიტვას ყაჩაღურათ ქალაქები მოსტაცა; ლიგა ნაციამ ქრთამი აიღო და პოლონეთი გაამართლა. ამასთანა მაგალითები რამდენიც გინდა: ჩინეთის წარმომადგენლებმა საჩივარი შეიტანეს ლიგა ნაციაში რომ, ინგლისელები ჩვენ მიწა-წყალზე ჩვენვე ზარბაზნებით და ყუმბარებით გვჟლეტავენო. ჩინელებმა ლიგას ქრთამი ვერ მისცეს და საწყალები კინწისკვრით გამოყარეს. ერთ დროს მენშევიკი ჩხენკელიც შეძვრა მაგ ლიგა ნაციაში, მაგრამ როგორც გაკოტრებული აზნაური, ისიც ვერ გამოისტუმრეს დაკმაყოფილებული. უთხრეს:—ისეც ბოლშევიკები მოსვენებას არ გვაძლევენ და ეხლა

ქვეყანაზე სამი ინტერნაციონალი არსებობს—მუშების—მესამე წითელი კომინტერნი; მოტყუებულ მუშების ნაწილის და წვრილ ბურჟუაზიის—მეორე ყვითელი ინტერნაციონალი და ლიგა ნაციაც სხვილ ბურჟუაზიის შავი ინტერნაციონალია.

## გეურქა.

სალამოზე სად შაგხვდები საქულჯან, რომ ერთი ტკბილათ ვიმასლაათოთ?

## საქულა.

თუ გინდა მოდი კინოში წაგიყვანო. თუმცა ერთ დროს უფასო ბილეთები გააუქმეს, მაგრამ ეხლა ცოტცოტას უმატებენ. მე ყოველ ღამე ბესპლატნათ დავიარები. უეჭველად მოდი. მემრე რა სურათი უნდა გაჩვენო? ბიჭიაბიჭი ჩვენი ალიოშა წუწუნავა; სურათი დაუდგამს კარტინკასავით. მაგის თითებს ვენაცვალე, (რომლებსაც კარდა უწუმ კოხტა ცხვირზე ივლებს), რომ ჩვენი ყარაჩოღელი ეარშიყებიან ერთ და იმავე სომხის ვაჭრის ლამაზ დიირი არის: გაკოტრებული თავადიშვილი და იმის ძმისწული ეარშიყებიან ერთ და იმავე აომხის ვაჭრის ლამაზ და ქრთამ-მზითვიან ქალს. ბევრი ხლაფორთების შემდეგ, მაჭანკალი ხანუმას ეშმაკობით და ოსტატობით ეს ქალი თხოვდება ახალგაზრდა კნიაზზე და კარგი ქორწილი იმართება.

## გეურქა.

საქულჯან, ამ სურათებს სად იღებენ? ვინ იღებენ? როგორ იღებენ?

## საქულა.

კვირას ჩემთან მოდი სახლში. წაგიყვან გოსკინპრომში გაგაცნობ გოგიტიძეს და ის სულყველაფერს აგიხსნის. ამთავით გაფრთხილებთ—გოგიტიძეს გვერდზე ახლო არ დაუდგე, თორემ ან მოუხარშავს შეგჭამს, ან გოსკიპრომისათვის ფულს დაგესესხება, ან თუ არადა იმოდენას დაგიყვირებს, რომ ორივე ყურის ბუშტები დაგისქდება. ის რომ ყვირილს დაიწყებს, გოსკინპრომში ორი პაჟარნი კამანდა მოდის მის გასანელებლათ. თურმე დილით რომ დგება პირს და ტანს სკიპიდრით იბანს. ერთი სიტყვით, სალამოზე კინოში შევხვდებით და კვირას კი წავალთ გოსკინპრომში.

ჭინმე.

# რა სჯობია:

## ქალაქში იყო უკანასკნელი, თუ სოფელში პირველი?



სად იკარგები ამდენ ხანს?! წადი და პაპიროსი მიყიდე... შემდეგ სახლში გამეგზავნე თეთრეულის მოსატანად, სამსახურის შემდეგ აბანოში ვაპირებ წასვლას.



სოფელი: ...კოოპერატივში საქონელი არ იშოვება; რაც არის ისიც ძვირია.

შიკრიკი: კარგი, კარგი... შვებულებიდან რომ დავბრუნდები, განკარგულებას გავსცემ და ყველაფერი გაიაფდება.

---

# ლევარსი ტიხტიხაძე

## წერილი ასკანელებს

— დილამშვიდობისა და საღამომშიდობისა ასკანელებო!.. მარა არ ვიცი აი „ტარტაროზი" როდის მოვა თქვენთან: დილით თუ საღამოთი; ამიტომაც სჯობია:

— გამარჯობა თქვენი.

სწორედ დღეის სწორს წავიკითხე გაზ. „მუშა"-ში ასკანელ კაცის—ს. ჭეიშვილის წერილი:

### დათვების შემოსევა

#### (მონადირეთა კავშირის საყურადღებოდ)

სოფ. ასკანის (გურია) უმიწაწყლო გლეხობა საყანე მიწებს ამუშავებს მთებში. ეს მიწები სოფელზე 10—12 ვერსით არის დაშორებული, სადაც მხოლოდ თოხით შეიძლება მუშაობა.

წელს ტყეში წიწობი და წყავი შედარებით წინანდელთან ნაკლებია. ამის გამო დამშეული დათვები შემოესიენ ყანებს და ანადგურებენ. გლეხებს თოფი არ გააჩნიათ. რომ დაიცვან ყანები განადგურებისაგან. ამიტომ შევლენ გლეხები სასიმინდეში და ურახუნებენ ფიცარზე ჯოხს დათვების დასაფრთხობად.

მიუხედავად იმისა რომ გლეხები მთელ ღამეებს ტყეებში ატარებენ, ყანებს მაინც ვერ იცავენ, რადგან დათვები შეეჩვიენ ამ უშიშარ ხმაურობას.

საჭიროა მონადირეთა კავშირი სასწრაფოდ მოაწყობდეს ნადირობას ამ ადგილებში და დაიხსნიდეს ყანებს განადგურებისაგან.

ეს სასარგებლოც არის და საინტერესოც.

ს. ჭეიშვილი.

წავიკითხე და ისე გავბრაზდი მაგ უსინდისო დათვებზე, რომ გაბრაზებულმა წიგნი კუთხეში მივაგდე...

მაგრამ სანამ თქვენს ამბვს შევუდგებოდე, ჩემი ამბავი უნდა გითხრა.

თქვენ ალბად ძალიან გაინტერესებ, თუ სად დავიკარგე? სად ვარ? რას ვაკეთებ? კარგი ხანია „ტარტაროზში" ჩემს შესახებ არაფერი ყოფილა.

თქვენ ალბად გახსოვთ, რომ მე წვერი გეეიპარსე, ქკუაზე მოვედი და შევუდექი სწავლას; ისიც გეცოდინება, რომ მე გაავახალგაზრდი... მე ეხლა მუშფაკში ვარ, ვსწავლობ საგნებს... არ მეცალა და ამიტომაც მოწყვეტილი ვიყავი ამ ქვეყნიერ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, რომ წვერის გასაპარსადაც არ მცალია, (თუმცა-ღა არც ფული მაქვს საამისოდ, რადგან სტეპენდია იშვიათად რომ გვეღირსოს თავის დროზე); ამიტომ წვერი ისევ მომეზარდა... ზოგიერთები ახლაც მეუბნებიან ხუმრობით:

— ლევარსი, შენ, მგონი, კიდევ ჰგლოვობ საქართველოს... მაშ რა არის, რომ ეს წვერ-ულვაში ისევ გაგიშვია, როგორც უწინ გქონდა?!—

ერთი სიტყვით მოცლა არა მაქვს... მაგრამ როცა ასკანის შესახებ ეგი წერილი წავიკითხე,—ველარ მოვითმინა, და ეს არის ამ წერილს გწერ... (ახლა ქვეყანა გაიგებს და აღარ მომასვენებს).

დათვებს მეტისმეტათ უყვარს სიმინდი, და მით უფრო ახლა, როცა ჰყლინტია. თურმე ყანებს გინადგურებენ. სულოცკოდვილო, მთლად მტყუანი კი არ არიან დათვები. აბარა ჰქნან. როცაა: წელს ტყეში წიწიბო და წყავი ნაკლები ყოფილა? (ასე, სწერს ს. ჭეიშვილი); შიმშილით ხომ ვერ დაიხოცებიან? კიდევ კარგი რომ ძალიან სინდისიერად

იქცევიან—მარტო სიმინდით კმაყოფილდებიან. თქვენ რომ სიკეთე გექნათ და სიმინდი ტყეში წაგეღოთ დათვებისათვის, მაშინ ისინი ასკანაში აღარ ჩამოვიდოდენ და თქვენ ყანებს აღარ გაანადგურებდენ. რას იზამთ; ხომ გაგიგონიათ: **დათვმა რომ მოგერიოს,—ბაბა ხარ-თქო უთხარი.** სწორედ ასეთ ... ობად ამის მთქმელი ასკანელი იყო. ეს ამტკიცებს, რომ დათვები ძველ დროშიაც ანადგურებდენ ასკანელების ყანებს).ხარკი უნდა მიგეტანათ. გერმანიას თუ კი გადაახდევინეს კონტრიბუცია, თქვენ რატომაც არ უნდა გადაიხადოთ.. იქაც ხომ მხეცები სთხოვდენ კონტრიბუციას? (მაგრამ ეს პოლიტიკის საკითხია).

თათვებს ვერ შეაშინებთ ფიცარზე ჯოხის რახუნით. (დათვს კი არა, თაგვსაც ვერ შეაშინებთ მასე).

პირდაპირ აუგდიხარ დათვებს, რომლებიც ყურადღებასაც კი არ აქცევენ თქვენს რახუნს და განაგრძობენ ყანების განადგურებას. ეს კი გაუზრდელობაა მათის მხრივ.

ასეც ვიცოდი, კარგი ხანია წამოსული ვარ მაქედან: კარგი ხანია ლევარსის არ გაუნადვარდებია ტყეში. კარგი ხანია ჩემი თოფის ხმას არ დაურღვევია ტყის სიჩუმე და მისი ეხო-ამოძახილი მთებიდან მთებზე არ გაუტორტნია ტყის მდუმარებას, რათა დაეფრთხო დათვები და მხეცნი ტყისანი, რომელნიც უწინ ჟამსა ჩემს მანდა ყოფნისას ძრწოდინ შიშისაგან ჩემისა და იმალებოდენ თვის ბუნაგის წიაღსა.. იყო სიმშვიდე... სოფელნი ცხვარსა აგზავნიდა ტყეში. სადაც იყო ცხოვრება ცხვრისა უზრუნველყოფილი, რამეთუ დამთრთხალი მყავდა დათვები და მხეცნი ტყისანი, რომელნიც უწინ ჟამსა ჩემს მანდა ყოფნისას ძრწოდინ შიშისაგან ჩემისა და იმალებოდენ თვის ბუნაგის წიაღსა.. იყო სიმშვიდე... სოფელნი ცხვარსა აგზავნიდა ტყეში. სადაც იყო ცხოვრება ცხვრისა უზრუნველყოფილი, რამეთუ დამთრთხალი მყავდა დათვები და მხეცნი ტყისანი, რომელნიც უწინ ჟამსა ჩემს მანდ ყოფნისას გრწოდენ შიშისაგან ჩემისა და იმალებოდენ თვის ბუნაგის წიაღსა ... (დალახვროს ღმერთმა; მეცადინეობით ისე ვარ გატაცებული, რომ მოკითხვის წერილშიც კი წამცდება ხოლმე კლასიკური ენა).

ჰო-და იმას ვამბობდი: დათვები იმიტომ გამრავლებულან.იმტომ გათავხედებულან ასე. რომ მე არ ვარ მანდა და ველარ ვნადირობ მათზე. ნეტა ვიცოდე, საიდან და როგორ გაიგეს დათვებმა, რომ მე დიდი ხანია წამოსული ვარ სოფლიდან?

ამხ. ასკანლიბო! თქვენ დათვების ნუ გეშინიათ. მე მოვდივარ თქვენსკენ. ხოლო თვე-ნახევარი დამიცადეთ. რაიმეც საქმიანი მაქვს. იმას მოვითავებ და წამოვალ. ს. შიოშვილი რომ მონადირებს სთხოვს წამოსვლას. სოლერთია:მონადირეები ჩემზე უფრო ადრე ვერ ჩამოვლენ.



ამის გარდა ძალიან გთხოვთ—დათვები არ მოჰკლათ (თუმცაღა მაინც ვერ მოჰკლავთ); ისინი ჩემი შვილობილები არიან. მე ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ დათვები არ მოჰკლათ. მე მეგონა, რომ არაფერი არ მომწყვეტდა წიგნს, ყველაფერი ფეხზე მეკიდა, მაგრამ როგორც კი გაზეთში ეს ამბავი წავიკითხე დათვების შესახებ, ყველაფერი დამავიწყდა... მე დათვებს, ვერ დავივიწყებ, ვერ ვუღალატებ ... მე წიგნებს დათვები მირჩევნია... მოუარეთ ჩემს ჩამოსვლამდი... კარგად აჭამეთ.

თქვენი ლევარსი როხროხაძე.




დეპეშა: ლევარსი როხროხაძე უკვე გამოემგზავრა, დახვდით მახლობელ ხადგურში. დათვებს არ გააგებინოთ, ზმუკი.

# „ჩ ა ს ვ ა“



— შე უსინდისო, შენა... არა გრცხვენია, რომ კვირაში ორი-სამი დღე აქა ხარ?
— ვაჰ! მე ორი-სამი დღე ვარ,—და შენ კი ყოველდღე აქა ხარ!! მაშ შენ უფრო უნდა შეგრცხვეს!

## ბ ა ლ ა ნ ს ი




— მთელი დაწესებულება შესჭამა და კიდეც დასცინის: ბუღალტერს ბალანსი აქ გამოუკრავს.

(რუსულ ჟურნალიდან)

## ალთა-ბალთია

ახალგაზრდა სტუდენტი ახიაშვილი ყურ-ჩამოყრილი იჯდა. ხელში გაზეთი ეჭირა. სიაში არ იყო. უნივერსიტეტშიც არ მიიღეს, და შაურიც დაეკარგა გაზეთში რომ მისცა.

ამ დროს მას წერილი მოუტანეს. ქუთაისიდან დედა სწერდა:

შვილო, ბეჩა, რომ იწერებო ძლივს მივიღე ოცდაორიო, ქე არ დავილუპეთ და ის არის!... კაკალი-კაკალ გადავთვალეთ ასი მანეთი და ისე გამოგიგზავნეთ... დანარჩენი რეიქნა, შვილო??! ოცდაორის მეტი არ მიგიღია?.. ქი არ დავილუპეთ კაკალი კაცი!? შენი თავი ნუ ჩაგვედება, შვილო, საფლავში.—სახლის მასალა გავყიდეთ და ის იყო და ის! როგორც შენ იწერებოდი, შვილო, ისეთი ადრესი დააწერა ძლაბმა ქუთეისის ფოსტაში... ასე ეწერა, შვილო, ბეჩა:

> **ქალაქი. ტროსტის ულიცა. ოხრანა ტრუბას ახლოს. სახლი და ეზო-გარემო საკუთარი. ხელში მისაცემად მისი დედისგან. სტუდენტობის ეგზამენაციის შვილს სოფრომ ახიაშვილს; შინ რომ არ იყოს. მაშინ ალბად უნივერსიტეტში იქნება კიბეებზე ჩამომჯდარი; ან უფრო ზევით ეგზამენაციის დასაჭერად.**

შვილო, შენ რომ იწერებოდი—გაზეთში იქნება გამოწერილი ახიაშვილიო, სადაა დედა-შვილო მერე?! იქინე ბევრი გვარები გადაიკითხა ძლაბმა და ვერ გნახა! არ გამოგვჭრა ყელი—ფული არ დაგელუპოს... ოცდაორის მეტი თუ არ მიგიღია, დანარჩენს ალბად აწი მიიღებ ეგზამენაციაში, ანდა უნივერსიაში. კი დედა, კი... მიაკითხე შენი ქირიმე..:

**კენტი.**

# დაზღვევა

დამზღვევი კანტორა აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დაზღვეულ უნდა იქნეს სხვილფეხა საქონელი: ჯორები, ვირები და სხ.

(განცხადებიდან).



გამვლელი (ვირის პატრონს): შე თვითონ ეშაკო*), ვერა ხედავ ვირს აღარ შეუძლია? მოკვდება ამდენი ცემით.

ვირის პატრონი: დაზღვეულია და რა დარდი მაქვს თუ მოკვდება.

ვირი (მომაკვდავი): ჩემი ცოდვა ჰქონდეს დამზღვევო კანტორავ!

*) სიტყვა: ეშაკი რატომღაც უფრო ზრდილობიანია, ვიდრე სიტყვა: ვირი.

# სხვადასხვა

ადრე დილაა. მშრომელი და არა მშრომელი ხალხი ძილს მისცემია.

უცებ გაისმის საშინელი, დამაყრუებელი ყვირილი:

— დლა ვარენი ვიშნი. ვიშნი ეე-ე!

— პამადორ—რ-რ, ბადრეჯან, ჯან პატრეჯაან!

იაბლუკ—პიატ კაპეიკა-ა!

— იაიც იაიცააა!

მძინრე მოქალაქენი შეშფოთდებიან. ერთი ორი გამოყოფს თავს გაჯავრებული:

— ხულიგანი!

### წითელ ჯვარში

წითელ ჯვრის სამდღიური დამთავრდა. მოლარე ითვლის ყულაბებით შეგროვილ ფულს. ყულაბაში საბჭოთა ფულებთან ერთად ბევრი ურევია ნიკოლოზის დროინდელი ვერცხლი და გროში, რომლითაც ზოგიერთი მოქალაქე იოლად გამოდიოდა სამდღიურის დროს. სულ—ერთია, ფულის ამკრეფლები ხომ არ დაუწყებდნენ სინჯავს რა ნაირი ფული ვხდებოდა ყულაბაში.

— ჰოი, თქვე მასხრებო!—ამბობს გაჯავრებული მოლარე,—ნიკოლოზის ფულები... ხულიგანები.

### ტრამვაის ვაგონში

მოქალაქე ტრამვაის ვაგონში ჯდება. მას ბილეთის ფულს სთხოვენ. ჯიბეში ხელს იყოფს და... შეამჩნევს, რომ ვიღაც უპატიოსნო ჯიბგირს ფული ამოუცლია პორტმანეთი.

ჰმ,—ამბობს ელდნაკრავი მოქალაქე,—ფული წაუღიათ... ჯიბგირი... ხულიგანი.

ჩამობრძანდით ძირს, უფულოდ მგზავრობა არ შეიძლება,—ეუბნება კონდუქტორი მოქალაქეს.

— მე ფული მომპარეს და ეს კიდევ ძირს მაგდებს,—გულმოსული ამბობს მოქალაქე,—ეს ხულიგანობაა თქვენი მხრივ... არ ჩამოვალ!

ვაგონი ჩერდება შუა გზაზე.

— სანამ არ ჩამოხვალთ, ვაგონი არ წავა!

მგზავრები აღშფოთდებიან. ყველას ეჩქარება. მიუბრუნდებიან დაზარალებულ მოქალაქეს.

— ვაგონს ნუ აჩერებთ... ჩვენ გვეჩქარება... ფული თუ არ გქონდათ, რათ ჯდებოდით.

— რა ხულიგნობაა!? — ამბობს ყველა.

მოქალაქე ჩამოდის და მგზავრების მიმართ იღრინება:

—თვით თქვენი საქციელია ხულიგნური.

### რკ.-გზის სადგურზე

რკინის-გზის სადგური სავსეა ხალხით. სალაროს წინ უშველებელი კუდია. მეორე ზარი დაკრეს. ხალხი ღელავს. უცებ სალაროს კარი ჩამოიხურა. ბილეთები დაილია. სალაროსთან მიღწეული მოქალაქე, რომელიც უბილეთოდაც დარჩა და დგომამაც უბრალოდ გაუარა, ამბობს მოლარეს მიმართ:

— უზრდელი.

გუზ-გუზ.



## ყარაულის ყარაული

სჭამიასერში ყოფილა 60 დუქანი, რომლებსაც ჰყავთ ყარაულათ დათიკო კვინტრაძე, რომელსაც, როგორც „კირილეისონ“ გვატყობინებს, დილამდე სძინავს ბაზარში, ხოლო შემდეგ კი სახლში მიდის და ალბად იქ ისრულებს ძილს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს და უნდათ ეხლა ყარაულს ყარაული დაუყენონ, თორემ მოსალოდნელია ისიც, მოიპარონ როცა ძილში იქნება.

ჩვენ კი ასე ვურჩევდით: დათიკო დაასვენონ თავის სახლში, გამოიძინოს იმ კაცმა. და როცა კუჭი გამოაღვიძეს,—შემდეგ აღარ ჩამოეძინება.

## ახირებული სიყვარული

ნურავის გეგონებათ, რომ აქ ქალის სიყვარულზეა ლაპარაკი. სრულებითაც არა. სიღნაღის კლუბის გამგეს იარალის ისე შეყვარებია კლუბის გასაღებები, რომ ყოველთივს ხელში უჭირავს, აჩხამაშებს,ატრიალებს... და ეს იმ დროს, როცა:

ხალხს კლუბში შესვლა უნდა. თუ ვინმე საყვედურს ეტყვის ამის შესახებ, იარალი აყვირდება და შეურაცყოფას აყენებს ხალხს, რომელიც ისე დაშინდა, რომ კრინტის ამოღებასაც ვეღარ ბედავს. ხალხი კლუბში აღარ დადის... ეს უნდოდა იარალსაც. კლუბი დაკეტილია და გასაღები ხელში უჭირავს და ათამაშებს.



ამ ამბეს გვატყობინებს ტარტაროზკორი: შენც მოგიჭრი.

როგორც სჩანს,—იარალს ძალიან ჰყვარებია კრიალოსანი; მაგრამ მას ასეთი არ ჰქონებია და ამიტომაც კრიალოსანის მაგივრად გასაღებს ათამაშებს. საჭიროა კრიალოსანი უყიდოს საზოგადოებამ.

## „რეჟიმ-ეკონომია“

 აი როგორ გატარებულა რეჟიმ-ეკონომია საჯავახოში. წავიკითხოთ ტანკას წერილი, რომელშიაც გვწერს:

„ჩვენში რეჟიმ-ეკონომია გასული წლიდან დაიწყო. მაგ. საჯავახოს ფ.-ტ. განყოფილების გამგეს ბ. კვირიკელიას და ერთს თანამშრომელს შემოეჭამათ კარაპეტას ფული, რისთვისაც ისინი გამსახლში მიაბრძანეს. გადარჩა ბევრი ფული, რომელსაც კიდევ შესჭამდენ.

შემდეგ: „ეპო“-ს გამგეობასაც ძალაუნებურად შემოეჭამათ ფული; ესენიც იქ მიაბრძანეს; ამითაც გადარჩა ფული. ეხლა ახალ გამგეობაზედაც ამბობენ, რომ მასაც ისეთივე ხვედრი მოელისო.

ერთი სიტყვით საჯავახოში კარგად გატარეთ რეჟიმ-ეონომია. კარგი იქნებოდა, რომ სხვებიც მიჰბაძავდენ ჩვენს მაგალითს“.

მართლადაც მისაბაძი მაგალითია... თუ კი გამფლანგველები ერთმანეთს ჰბაძავენ, აძლევენ მაგალითს,—დეე მათ წინააღმდეგ ზომების მიღებაში ჩვენ წავბაძოთ ერთმანეთს.

## „კანდიდატი“

ასეთი ამბებიც ხდება ამ დალოცვილ რკინის გზის სამართველოში: რკინის გზის ადმინისტრაცია ამნაირად პირდება უმუშევარს სამსახურში მიღებას:

— ჯერჯერობით არავითარი ადგილი არა გვაქვს. კანდიდატად მიგიღებთ, და თუ თქვენს საბედნიეროდ ვინმე მოკვდა, მის ადგილზე მიგიღებთ.

ასე უთხრეს ატეისტს, რომელმაც დიდხანს უცადა ადგილს, მაგრამ ამაოდ...

— ნუ თუ ამდენხანს არავინ მოკვდა?—იფიქრა ერთ დღეს ატეისტმა და რკინის გზის საავათმყოფოში წავიდა ამბის გასაგებად.

— ამხანაგო ექიმო, გთხოვთ მომცეთ სტატისტიკური ცნობა, თუ რამდენი რკინის-გზელი მოკვდა ამ ახლო ხანში?

— ეს ცნობა რად გესაჭიროებათ?

— სამსახურის საშოვნელად.

— აჰა, მიხვდი... მაგრამ თქვენდა საუბედუროდ, ეს ერთი ხანია არც ერთი რკინის-გზელი არ მომკვდარა.... და კიდევ ზედმეტი უბედურება ის არის, რომ ჯერჯერობით, ერთს წელიწადში მაინც, არც არავინ ფიქრობს სიკვდილს...

კუდამოძუებული გამობრუნებულა ატეისტი.

აი, გამოგონებაც ასეთი უნდა. ყოჩაღ... ყოჩაღ.

## არ ეგონა.

სუფსის მილიციის მოსამსახურე (როგორც კორესპონდენტი სიკო იტყობინება—მდივანი) ნოესავით გულუბრყვილო ყოფილა. თურმე:

ღვინო ბლომად დალია,
ამიტომაც მთვრალია.

ეს გახლავთ შალვა ჟღენტი. რას ერჩით ამ კაცს! ის ასე მღერის:

არ ვარ სპეკულიანტი,
არც ჩარჩი და ვაჭარი...
ამით რა დაშავდების
რომ გადავკრა მაჭარი.

მაგრამ არ იცის შალვამ, რომ ხშირად დაშავდება სიმთვრალისაგან... ცხვირი და ისიც საკუთარი ცხვირი, რადგან ფეხებს ეკარგებათ წონასწორობა და ცეკვას იწყებენ, რაც გამოწვეულია ზედა სართულის არეულობით.

რა გვიჭირს. რომ სუფსაში ამის სადარდელი კიდევ სხვა არაფერი იყოს. დავუგდოთ ყური სიკოს:

ყაისარ, ტიხონი, მიხაკო—
ეს წმინდა სამება-ჟიური...
რა ვუყოთ, რომ ბიჭსმა წაიღო
იმათი ხელფასი დღიური...

კიდევ ბევრს იწერება სიკო, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ.

## „კარგი სისტემა“

სიღნაღში არის ცხრაწლედი, რომლის გამგე კარგი კაცია, მაგრამ ძველი ნაცნობი გვატყობინებს:

ვისაც უნდა გათავება
ცხრაწლედის თუ შვიდის,—
მას სურვილი უსრულდება
თუ ტანი აქვს დიდის
ჩუმ მოწაფეს უბლვერს მკაცრად,
ჰნგლებთან თავს იხრის...

ეს ორიგინალური ცდაა. ლევარსი როხროხაძეს გამოვაგზავნით მანდ, და მისცეს ატესტატი... ლევარსი ხომ დიდი ტანის არის; ასე რომ წარჩინებით დაამთავრებს ცხრაწლედს. (აქ კი მუშფაკში ძალიან უჭირს მაცადინეობა).

ასეთი გამგეები ბევრია ჩვენში და კარგი იქნებოდა ისინი სამასწავლებლო მაგიდიდან შეგირდების პარტებზე გადაგვესხა დროებით.

## სალათას ძილი.

**ხ. მარტყოფში** (გარე-კახეთი) არის: კლუბი, სამკითხველო, თეატრი, კადლის გაზეთი და... მაგრამ ადგილობრივ ინტელიგენციას: მასწავლებლობას და მოსწავლეობას ისე სძინავთ, რომ... სამუშაოთ არ [illegible] გვა-



ტყოიისეის კოხკა და გვეშოვეს [illegible] გასაღვიძებელი წამალი. ჯერჯერობით სახელდახელოდ სხვა არაფერი გვაქვს... სინჯეთ,—იქნებ ამით გამოაღვიძოთ სალათას ძილით შეპყრობილნი.

## წითელი ჯვარი (უკაცრავად) ღვინო

მეჯრუხევში გაუმართავთ სალამო, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა წითელ ჯვარს, მაგრამ, როგორც ვასილი გვატყობინებს, თურმე მოხმარდა წითელ ღვინოს. წითელღვინოს გამოუწვევია წითელი სისხლის დინება ცხვირპირიდან... და ბოლოს წითელი ჯვრისაგან დახმარების მიღება. აი, რა, სურათს იძლევა ამდენი წითელი ფერის შეერთება. ამას კიდევ შეგიძლია დავუმატოთ სირცხვილის წითელი ფერი, თუ კი ასეთი აღმოაჩნდება სალამოს მონაწილეებს, (მაგრამ არა მგონია რომ აღმოაჩნდეს).

## სამაგალითო თავმჯდომარე

დიახ! ასეთი სათაური შაბლონია; გაზეთის ყველა ნომერში ნახავთ ამ სათაურს. მაგრამ იქნებ ეს სათაური არ შეხებია ჯერ კიდევ ჰუპიანის თემის თავმჯდომარეს. ამიტომ საჭიროდ ვსცანით ეს „საპატიო“ სახელწოდება არ დავუკარგოთ ამ კიროვა.[illegible] თქვენ. იქნებ, იქვე შეკითხოთ —რომ ღირსი არ არის ამ სახელწოდების. ყური დაუგდეთ. აბა, კორესპონდენტ დ. შემოდგომას.

გვყავს თემის [illegible] მაგრამ [illegible] სამართველოში. [illegible] ვერ ნახავთ. თუ მიგი [illegible] ქალაქთან [illegible] მიხვიდეთ და კარებზე [illegible] [illegible] დროული იყო. გაგელაპარაკება, თუ არადა კინწის კვრით გადმოგაგდებს.

დიახ! ასეთი გახლავს და ნუ თუ თვენთაგანი ვინმე წინაღმდეგია, რომ მუხიანის თემის თავჯდომარეს საპატიო სახელწოდება: **სამაგალითო თავმჯდომარე ეწოდოს?!**

## ანდაზის გასწორება

ერთი მოქალაქე დაბნეულა; არ იცის რაშია საქმე. გვწერს:

გაზეთებში წავიკითხე

## მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ ისიც შინაურიაო

ვიღაც ბურკოვისთვის დიმიტრი ციტაიშვილს ცოლი წაურთმევია... უფრო სწორედ რომ ვსთქვათ—ქმრის შვებულებაში ყოფნის დროს, თავის ბინაზე გადაუყვანია *)...

ბოლოს, როცა ბურკოვი დაბრუნებულა შვებულებიდან, ქალი მოუთხოვნია, მაგრამ ციტაიშვილს მანამდი არ მიუცია ქმრისთვის ცოლი, სანამ ბურკოვის „მაყარიჩი“ არ გადაახდევინა.

პო-და როცა ასეთი ამბავი ხდება,—ასეთიც ხდება:

**მეზობლის ქალს ხელი ახლე, ისიც შინაურიაო**

ბურკოვს მაყარიჩი გადაუხდია, თათა ცოლი დაებრუნებია სახლში... მე კი პირიქით: „მაყარიჩს“ გადავიხდი თუ ვინმე წაიყვანს ჩემს ცოლს.

ამას წინად რესტორა[illegible]ანში; შემოდის ჩემი ამხანაგი და მეუბნება:



— შენ აქ ქეიფობ, და შენი ცოლი კი იქ ვილაცას ეარშიყება.

— აი ღმერთო, წაიყვანოს და მომაშოროს.

ვეუბნები ამხანაგს აღტაცებით.

*) ამაში არაფერი არ არის დასაძრახი; პირიქით: მადლობის ღირსია, რომ უპატრონო ქალისათვის ყურადღება მიუქცევია.



# „ფლავს არიგებენ"

კვირას, 17 ოქტომბერს ზაჰესში მოდება წყლის დაგუბება. მოსალოდნელია მტკვრის დროებით დაშრობა. ბევრი ემზადებიან სათევზაოთ.

მოარულ ამბებიდან.



— ა? კლებულობს მგონი!!!
—არაფერსაც არ კლებულობს

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქუჩა № 68.

ფასი ორი შაური

კვირა,
24 ოქტომბერი
1926 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ტარტაროზი

№ 71

## ტარტაროზი სტუმრად მოსავლის დღესასწაულზე



,,იკურთხოს იმის მარჯვენი ვინც გთესა, მოგიყვანაო.“

# მოლოდინი და



რომ ეს „რაღაც" დაინახეს, აყროყინდენ, როგორც ვირი.

# გაცრუებული იმედი.

ყლინწაძე თაჩალუნული კითხულობდა გაზეთს. აგერ ორი კვირაა, ას ეს დასჩემდა. ამდენხანს გაზეთი დასანახათაც ეჯავრებოდა; გამოწერილი ჰქონდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ადგილკომისათვის არ ეწყენინებია და ან ხალხის თვალშიც ცუდი შეხედულება არ ჰქონოდა.

— გვეშველა, მგონია, გვეშველა!—ჩაილაპარაკა მან, გაზეთი სათუთად დაკეცა და მაგიდაზე დადო.—„ციხე შიგნიდან გატყდება", თუ გარეშე ძალამ ვერაფერი დააკლო, შიგნით მოხდარი არეულობა კისერს მოუგრეხს.—ფიქრობდა ის და იმედიანად ილიმებოდა.

ყლინწაძე ხუთი წელია საპასუხისმგებლო ადგილზეა. მართალია უპარტიოა, მაგრამ, რა ვუყოთ, ეს მისი ბრალი არაა, მან 15-ჯერ შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. მაგრამ არ მიიღეს. ეს სულ რაღაც ინტერესით მოხდა, მუშკორმა გაზეთში გასწერა, „ტარტაროზშიაც" დახატეს ორჯერ თუ სამჯერ და ამ „კერძო ინტერესებით" გამოწვეულმა ინტრიგებმა ის პარტიის გარეშე დასტოვა. ყლინწაძეს სამაგიეროთ კარგი პროტექტორები ჰყავს და თბილი ადგილი მაინც მისია.

გაზეთებს თანდათან ლადიმესათვის გასახარი ამბები მოჰქონდა. ოპოზიცია, მართალია, ყველგან დიდი უმრავლესობით მარცხდებოდა, მაგრამ ისიც ჰყოფნიდა ლადიმეს იმედათ, რომ მაინც გამოდიოდენ.

— რა ვუყოთ, თანდათან გაძლიერდებიან, და ან რათ მინდა მათი გაძლიერება, მხოლოდ ერთი დატაკება მოახდინონ და მერე კი ლელო ჩვენი იქნება.

ერთ საღამოს ლადიმემ თითქმის ყველა გაზეთები გადაიკითხა, მთელი ოპოზიციის გამოსვლები და დამარცხებები გაიგო და იმედიანათ ამოისუნთქა:

— დიდი დრო არაა საჭირო, რომ აფეთქება დაიწყოს. დღეს თუ ხვალ დიდი რამის მოწამე შევიქნებით!—ჩაილაპარაკ თავისთვის და დაგებულ ლოგინში ჩაწვა. დღისით ნახიამოვნებმა, ღამითაც [illegible] მოი შესცურა.

გათენებულა მზე საუცხოვოდ ბრწყინავს, ლადი ადგა, ტანზე ჩაიცვა. თავისი პორტფელი აიღო და მსახურში მიდის. ჩამოვიდა კიბიდან თუ არა, ის ორ პოლიციელმა გააჩერა. ლადიმე ჯერ შეკრთა, მაგრამ უცებ გონს მოვიდა:

— გესალმებით, ძმებო, რუსეთის პოლიციის სახელით!—მიესალმა ლადიმე მათ და სიხარულისაგან თვალებზე ცრემლები მოადგა.

— შესდეგ! შე სოციალისტო!—უყვირეს პოლიციელებმა.

— რაო?! სოციალისტოვო?! მე ვიყავი როდესმე სოციალისტი, რას მიჰქარავთ, ვის უბედავთ!ჰყვირის ლადიმე.

— უკაცრავად, ბატონო, ვერ გიცანით!—უებნება პოლიციელი მას და ხელს უღებს.

— წადით ეხლავე შესახვევის ქუჩა № 54-ში დგას განთქმული სოციალისტი ჯაჯანაშვილი და დააპატიმრეთ!—აძლევს ლადიმე ბრძანებას.

# გამართლება



სიხარული არ დასცალდათ,—მიამტვრია ყველას ცხვირი.

— ის დაპატიმრებული გახლავთ!

— ივდითიევის ქუჩაზე 6-ში...

— ისიც დავაპატიმრეთ!—აწყვეტინებს სიტყვას პოლიციელი.

— ოლღის ქ. № 80-ში...

— ისიც დაპატიმრებულია!

— ხა, ხა, ხა!.. მაშ ყველანი დაგიჭირავთ...

ხა, ხა, ხა, ხა!—მხიარულად ჩაიხარხალა ლადიმემ და პოლიციელს მხრებზე ხელი დაჰკრა!—წადით, წადით, მეგობრებო, და განაგრძეთ თქვენი მუშაობა.

გათენებულიყო. ლადიმე კარგ ხასიათზე ადგა.

— ალბათ, სიზმარი მალე ამიხდება!—ფიქრობდა იგი და ტანზე იცვამდა.

როგორც კი სახლიდან გამოვიდა, მაშინვე გაზეთი იყიდა და წაიკითხა.

წაიკითხა და ელდა ეცა... გაშეშდა კაცი... გაზეთი ხელიდან გაუვარდა... მუხლები მოეკვეთა.

---

მეორე დღეს ლადიმე ცუდათ გრძნობდა თავს. არც ერთი გაზეთი აღარ წაუკითხავს. არც ოპოზიცია უხსენებია და არც პოზიცია.

პარმენ.

# ოპოზიცია

მიდის დღე და ღამები,
მხოლოდღა ეს ვიცია,
მესმის ყურში ბრახუნით:
„არის ოპოზიცია“.

სულ ამებნა გზა-კვალი,
დავხტივარ, ვით კვიცია!
მინდა სადმე გავიგო,
რაა ოპოზიცია.

ბევრსა ძველსა მოხელეს
დაუდვია ფიცია,
რომ დღეიდან ადიდონ
იმათ ოპოზიცია.

თუმც არ უყვართ მათ ტროცკი,
არც მოსწონთ პოზიცია,
მაგრამ შეუყვარებიათ
მაინც ოპოზიცია.

ბევრს ყურები ფართოდ აქვს
ჭორებისთვის მტკიცია;
გარეგნულად ადიდებს,
მოსწონს ოპოზიცია.

მათი [illegible]
იმათ არა იცის,—
მაგრამ მაინც სურთ იმათ
აქონ ოპოზიცია...

ალბათ კიდეც ფიქრობენ
გადაირჩინან პოზიცია.
და ამიტომ მოსწონთ მათ
აგი ოპოზიცია.

პ. თ.

# კვარტიზმი

ალბად, მკითხველმა, როგორც კი წაიკითხა ეს სათაური, უკმაყოფილოდ სთქვა:

— ეს კვარტიზმი რაღა ოხრობა არის?! ამდენი იზმი გაგონილა სადმე და ოდესმე?! ნეტა, ვინ იგონებს ამ სიტყვებს **იზმი**-ს დაბოლოებით?!—

მაგრამ ეს შეცდომა იქნება.

კვარტიზმის მოძღვრება ყველაზე უფრო ძველია. მართალია: ბიბლიურ ხანებში ეს სახელწოდება არა აქვს ამ მოძღვრებას, მაგრამ სხვა მოძღვრებებიც ხომ პირველადვე არ ღებულობდენ თავიანთ თანამედროვე სახელწოდებებს?! მოძღვრების ჩანასახი უწინ, რამდენიმე საკუნეების ადრე ხდება; შემდეგ უფრო-და უფრო ვითარდება, და ბოლოს კი ამოიკვეთება. ჩამოისხმება და მიეცემა მას ფორმა, შინარსი და სახელწოდება.

მთლად შორეულ წარსულში რომ არ წავიდეთ, დავიწყოთ წრღვნის შმდგომი დროიდან.

ალბად ყველას გეცოდინებათ (თუ „კომსომოლი“ არა ხართ) ბიბლიიდან ნოეს ამბავი:

ნოემ წარღვნის შემდეგ ვენახი გააშენა. ყურძნის წვენიდან დეეყენა სითხე (ღვინო), რომელმაც იგი დაათვრო და აგორა; (ამბობენ, რომ ეს მან არ იცოდაო). შვილებმა თურმე მთვრალ მამას ტანზე გახადეს და ჭიაფერის (ანწლის მაგვარი მცენარეა) წვენით დაუქარგეს მთელი სხეული.

კვარტიზმს რომ საკუთარი ღმერთი ჰყავს ბახუსი, ყველას (კომსომოლებსაც) გეცოდინებათ.

ყველა ეს აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენს დებულებაში (კვარტიზმის სიძველე) ეჭვი არავის შეჰპარებოდა.

დიახ! კვარტიზმა განვლო განვითარების ხანგრძლივი პროცესი და დღეს იგი გვევლინება სრულიად ახალ. უფრო სწორად რომ ვსთქვათ—განახლებულ მოძღვრებად.

ჩვენს დროში კვარტიზმის მოძღვრება ყველამ იცის: დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, კაცმა და ქალმა.

სიტყვა კვარტიზმი წარმოსდგება სიტყვიდან კვარტი, რომელიც არის ღვინის ზომა. ვედროში არის ათი კვარტი. ერთი კვარტი დაახლოვებით უდრის ორ ბოთლს. კვარტი ღვინო ღირს სარდაფში 80 კაპ.—1 მან. 50 კაპ. ხოლო სასადილოებში ორჯერ უფრო ძვირია. (ეს ამბავი თქვენ ჩემზე უფრო გეცოდინებათ).

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს კვარტი ღვინის გემო და ძალა. ეს ყველას გეცოდინებათ, ყველას საკუთარი თავზე გექნებათ გამოცდილი. (საღეროღელი არავის აგეშალოს—კითხვა არ მიეტოვოთ და სარდაფში არ გაიქცეთ).

ჩვენში, როგორც არც ერთ ქვეყანაში, ყველაზე უფრო მეტია კვარტიზმის მიმდევრები—კვარტისტები.

საოჯახო ბიუჯეტს ბევრი ადგენს კვარტების მიხედვით. ყოველ თვიურ ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვთ კვარტების რიცხვი. არც ერთი მოულოდნელი ხარჯი ისე დიდი არ არის, როგორიც კვარტების, ხშირად ხარჯთ-აღრიცხვას—ბიუჯეტს არღვევს მოულოდნელი, ბიუჯეტში შეუტანელი კვარტების ხარჯი და ამით ბალანსში ნოლები გამოდის.

ბევრი მუშა-მოსამსახურე დღიურ ხელფასს უფარდებს კვარტის ღირებულებას. ძალიან ხშირად გვესმის:

— ეჰხ! რა ვქნა. ძმაო! ჩემი ერთი დღის ხელფასი, ერთ კვარტ ღვინოს არ ყიდულობს.—

ხშირად ხელფასის განაკვეთს კვარტებით ანგარიშობენ—თუ რამდენ კვარტ ღვინოს იყიდის მთელი თვის ხელფასი. ვსთქვათ: უნდათ რამე საოჯახო ნივთი იყიდონ. ნივთი ღირს სამი მანეთი. ამ ფულს ჰყოფენ კვარტის ღირებულობაზე.

— ვაჰ! ძვირია, ძმაო. სამ კვარტზე მეტს ღვინოს ვიყიდი.—ამბობს „მოქალაქე“ და ანებებს თავს ყიდვას, მიდის სარდაფში და სამ მანეთს ორს კიდევ უმატებს, რადგან ნაცნობი „წამოესტუმრება“.

ერთი სიტყვით: კვარტი ბევრს ყველაფრის ზომად აქვს აღებული და ერთეულად მიჩნეული.

ვის არ გაუგონია:

— დღეს ჯამაგირი მიგილია და ჩამოდგი კვარტები.

— ვაჰხ! ახალი ხალათი შეგიკერავს,—ჩავიდეთ, გადავკრათ

— ამას უყურე!!! ახალი ფეხსაცმელები უყიდია... დავასველოთ. თორემ მალე დაგჯება.

— ყოჩაღ, ყოჩაღ... მომილოცავს: შვილი შეგძენია... აბა, ჩამოასხი თუ გინდა შვილი გაგეზარდოს და კომისარად გამოვიდეს.

— მამაშენი თუ მოკვდა, აწი რაღა გიჭირს,—ოჯახის უფროსი გახდი... ჩავაჭინჭლოთ, ყმაწვილო, თორემ იცოდე, მამაშენი გაცოცხლდება...

---

## „მუზა“



ცოლი: რა ამბავია, რომ ამდენ ღვინოს სვამ?

ქმარი: გაეთრიე აქედან! გაზეთისათვის წერილი უნდა დავსწერო ლოთობისა და ხულიგნობის წინაამდეგ. როცა „გადაკრულში“ ვარ, მაშინ უფრო მეხერხება წერა.






სად თვრება და სად იღვიძებს

— ცოლი გაუშვი?? ხა-ხა-ხა-ხა... იცოდე თუ არ გადაგვაკრევინე, ისევ დაგიბრუნდება და მერე რაღა გეშველება.—

და კიდევ რამდენია ცხოვრებაში ასეთი შემთხვევა, რომლებიც თხოულობენ კურთხევას და ღირსეულად ალენი შვნას?!

კვარტებს კი უხარიათ, რომ მათი მოძღვრება ასე ვრცელდება ხალხში.

—

დათვრებიან...

კარგი მეგობრები ერთმანეთს ამტკრევენ ცხვირპირს... და ერთმანეთს აღარ ელაპარაკებიან. შუაში ჩამოდგება მეზავე. საქმეს აწყობს. წაჩხუბებული ამხანაგები ერთმანეთს ურიგდებიან—ჰაკი ვარდება მათ შორის... კვარტებს უხარიათ. იცლება კვარტები... თვრებიან, და ეხლა კიდევ სხვები ჩხუბობენ. კიდევ მეზავე ჩამოდგება... კვარტები იცინიან... უხარიათ კვარტებს.

—

ლოთობის წინააღმდეგ ძალიან ხშირად გვესმის სიტყვები. ამბობენ:— **ღვინო მავნებელია... ლოთობა უნდა მოვსპოთ... არა მარტო ღვინის სმა, არამედ თამბაქოს მოწევაც უნდა მოვსპოთ, რადგან ორივე მტერია ჯანმრთელობისა.**

ამავე დროს კი გაიძახიან:—**მევენახეობა და მეთამბაქოება არის მნიშვნელოვანი (და თითქმის პირველი) მეურნეობა. ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ თამბაქოს პლანტაციის და ვენახის გაშენებას.**

და მართლაც: ყველაზე უფრო შემოსავლიანი წყარო მეურნეობის ეს ორი დარგია.

— მოქალაქე კი იბნევა ამ ორ აზრთა წინააღმდეგობაში.

თუ ღვინის სმა და თამბაქოს მოწევა მავნებელია და უნდა მოვსპოთ. მაშ რატომ ვაშენებთ ვენახის ბაღებს და თამბაქოს პლანტაციებს?!—ეკითხება მოქალაქე თავის თავს, ფიქრობს, და პასუხს რომ ვერ ნახულობს, სარდაფში ჩადის ამ საკითხის გამოსარკვევად.

— ა? ინებ მაშინ მივხდე!—და ჩამოჯდება; ერთ კვარტ ღვინოს დაიდგამს... გადაჰკრავს... კიდევ... კიდევ... თამბაქოს გააბოლებს... ფიქრობს... გადაჰკრავს და ეხლა სხვებზე ფიქრობს—კვარტი დაიცალა... მეორე უნდა... ამდენს კი არ იფიქრებდა ამ საკითხზე... გამბედაობა და რიხი აქვს მეორე კვარტის მოსათხოვნად, მაგრამ ცოტა უშლის ხელს—ფული არ აქვს... ფულზე გადადის მისი ფიქრი... ფულიდან ჯამაგირზე, რომელსაც იგი ჰყოფს კვარტის ფასზე და ჯამში გამოდის კვარტების რიცხვი...

ვის უყვარს ყველაზე უფრო ღვინო?

ამის გამორკვევა მეტად ძნელია, რადგნა ყველას უყვარს. და თუ ბევრი არ სვამს. არ თვრება ეს იმიტომ კი არა, რომ იგი „პატიოსანი კაცია",—(რასაკვირველია, ასეთებიც არიან),—არამედ იმიტომ, რომ ფული არ აქვთ. აი ამ გარემოებას (უფულობას) „პატიოსან კაცად" გამოჰყავს ბევრი ლოთი კაცი.

არ დაუჯეროთ. როცა კაცი ამბობს:— **მე ლოთი არა ვარ. მიკვირს: რა სიამოვნებას ნახულობენ, როცა ღვინის დიდი სასმისით სვამენ.**

აბა, ამის თქმელი ჩაიყვანეთ სარდაფში, დაალევინეთ ერთი ბოთლი ღვინო, და მერე ნახავთ თუ თვითონ არ მოითხოვოს კვარტები და თქვენი ჯიბით მასპინძლობა არ გასწიოს.

მაინც ასე თუ ისეა პროფესიონალი მსმენელები (ლოთები) ჩვენში ძველი დროიდანვე (და მით უფრო ეხლა) არიან პოეტი-მწერლები*).

ბევრს ჰგონია, რომ ჩვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნების წყალობით არის ჩვენში ასე ბევრი პოეტები.

მაგრამ ეს შემცდარი აზრია.

ჩვენ რომ ბევრი პოეტები გვყავს, ამას უნდა ვუმადლოდეთ არა ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებას,—არამედ

---

***) ბოდიშს ვიხდი ზოგიერთ კატეგორიის (დარგის) მუშა-მოსამსახურეების წინაშე, რომლებიც პირველობას ჩამობენ ამ საქმეში, მაგრამ ობიექტიური მიდგომით და შეფასებით მათზე უფრო პრველობის ღრსად ვსცანით პოეტები-მწერლები.**

ღვინის სიუხვეს. (რასაკვირველია: ღვინის სიუხვეც ბუნების წყალობაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ბუნების გარეგან მშვენიერებაზე).

უნდა ითქვას, რომ როცა ადამიანი „გადაკრულშია“, მაშინ ცხოვრება უფრო ჰარმონიულად ეჩვენება და ყველაფერი გარითმულია. სიმთვრალეში რითმები თავისთავად მოდიან. ჩვენი პოეტების დიდი უმრავლესობა ლექსს



ისე ვერ დასწერს, თუ მთვრალი არ არის. ღვინით სავსე კვარტი, რომელიც სდგას მაგიდაზე, პოეტისათვის ყველაფერია. მაგიდა—ეს არის ოლიმპი, პარნასი,—ხოლო კვარტი კი—მუზა.

ღვთის წყალობით ამის დასამტკიცებლად დიდი დავიდარაბა და შორს წასვლა არ დაგვჭირდება. გამობრძანდით ალსამოს რუსთაველის გამზირზე და ჩვენი სიტყვები გამართლებული იქნებიან.

ჩვენში არიან ბევრი პოეტების მიმდევრები („პოპუტჩიკები“). ის ის ხალხია, რომელსაც პოეტობა უნდათ; თავისი თავი პოეტი ჰგონიათ; გულისხმობენ პოეტობას თავის გულში. მათ ჰგონიათ: პოეტობისათვის საჭიროა—რუსთაველის გამზირზე ხეტიალი, ერთმანეთთან საუბარი, თავ შიშველა სიარული და ხშირხშირად გაზურდნულ თმების (რადგან გასაკრეჭი ფული არ აქვს) ხელით უკან გადავარცხნა, ნამდვილ პოეტების ახლოს გაჩერება და მათთვის სელამის მიცემა (თუ კი ვინმემ მიიღო მათი სალამი) და ბოლოს, რაც მთავარია, სახელგამის წინ დგომა. (აქ მთავარი შტაბია).

ვაი იმას, თუ ვინმე ამათი ნაცნობმა ჩამოიარა. სწრაფად გაქაჩავენ და სადილისათვის სამ მანეთს „შეესესხებიან“.

მაგრამ კიდევ უფრო ვაი და უი იმ სამ მანეთს, რომელსაც ნაცნობი სამუდამოდ გამოიტირებს და „ასესხებს“— ქათმის წიწილა ქორის კლანჭებში არ არის ისე საცოდავი და საწყალი, როგორც ის სამი მანეთი. გული უსკდება. ფერი ეკარგება საწყალ ფულს; ხელიდან ხელში გადადის, თითებით სრესენ—იქნებ ორი არისო; კოცნიან,

მაგრამ ეს კოცნა იუდას ამბორია.... მაინც ეშინია ფულს... ერთი კი ასე ეუბნება:

— სად იყავი ამდენხანს?! დილის შემდეგ ამდენი კაცი გიცვლით და შენ გემოვლა არ იქნა! იქნებ ფიქრობდი, რომ დაგვემალებოდი?! ვერ მოგვართვით... აი, შე ყურუმსალო!..

და ჩადიან სარდაფში...

კვარტები კი იცინიან... უხარიათ კვარტებს...

ხშირად თავებზეც გაიქროლებენ. მერე რა ვუყოთ. თუ ზოგი თავი ისე მაგარია (რადგან შიგ არაფერია და გამსმარია), რომ კვარტი ტყდება?! ეს არაფერია; სამაგიეროდ, თავებიც ტყდებიან. თავებსაც არ ადგიათ კარგი დღე.

საბრალო მოქალაქეებმა, მომაკვდავებმა კი არ იციან თუ რა ხდება ამ დროს სარდაფებში, რესტორნებში... რა იციან იმათმა! თუ ერთი კვარტი ღვინის ყიდვა გაბედა და ფასი შეკითხა, მაშინ მიხვდა, რომ რაღაც ამბავია—ღვინოზე ფასი მომატებულა. ზოგს ეგნება კიდეც გაუხარდეს და გული მოიფხანოს:—იგი თქვენ, კომუნისტებო, ყველაფერი ძვირდება... ოპოზიცია მართალია. არ იცის—ღვინოზე ფასმა მიტომ აიწია, რომ დღეს ჯამაგირები დაარიგეს დაწესებულებებში და სახელგამში კი—ჰონორარი. ეს არის მიზეზი და მას კი სხვა რამე ჰგონია.

დიახ! არ იციან მომაკვდავებმა, თუ რა ხდება ამ დროს სარდაფებში, რესტორანებში...

...და მხოლოდ მაშინ გაიგებენ, როცა ღამით თუ გვიან სალამოთი სარდაფებ-რესტორანებიდან მთვრალები ქუჩებს მოეფინებიან... მაშინ კი მთელი ქალაქი გაიგებს...

კვარტები კი იცქირებიან ვიტრინებიდან და უხარიათ ეს ამბავი.

აი, მოკლედ, ორი თვალის გადავლებით კვარტიზმის ისტორია.

ისელი.

წ. შ. ამხ. ტარტაროზო! თქვენი წერილი დამხვდა სახლში. მწერდით—ხულიგნობის შესახებ რამე დამეწერა. მე ეს ვერ შევსძლი და დავსწერე სხვა რამეზე. იმედია მაპატიებთ *)

---

*) ტყვილად გგონიათ. წერილი ამართლებს შეკვეთას.
ტარტაროზი.

## კვარტისტების ღერბი







# „საშუალო“

## I. წინასიტყვაობა.

მკითხველს (წარმოიდგინეთ, არა მკითხველსაც) კარგათ მოეხსენება, რომ, თუ ქალაქიდან სოფელში წავიდა კაცი, წერილებს გაატანებენ. იგივე ხდება, როცა სოფლიდან ქალაქში წამოვა კაცი.

ეს ადვილი გასაგებია. ჯერ ერთი — მარკის ფული გადარჩება და მეორეც — წერილის წამღები „საკუთარ ხელში“ ჩააბარებს პატრონს წერილს. შეიძლება ყველამ არ იცოდეს და ამიტომ ვაცხადებ, რომ ცნობის მოყვარე კაცი ვარ და, როცა მე წამოვიღებ ვინმეს წერილს, ჯერ გადავიკითხავ (წერილის გახსნა სალაროს გატეხაზე უფრო ადვილია) და შემდეგ ვაბარებ კუთვნილებისამებრ „საკუთარ ხელში“.

ორ წერილს ამ უბრალო წესით გავეცანი და ვაქვეყნებ კიდეც.

### წერილი პირველი.

ძვ. მამა!

შენ ყოველდღე მწერ [illegible] გვენატრება, თავი დაამილიციელობან, მოდი და თავზე მოუარე, ჯამაგირიც ცოტა გაქვს და სხვა. ეხლა უნდა შეგატყობინო ძალიან სასიხარულო ამბავი. ქალაქის საბჭოს კრებაზე გამოირკვა, რომ ჯამაგირი ცოტა კი არა, ძალიან ბევრი მქონია, მაგრამ ამდენხანს არ მცოდნია და მიტომ არ გწერდი. მე, მართალია, 35 მანეთს ვიღებდი, — ეხლა ორი მანეთიც კი მომიმატეს, — მარა მაგ მომატებაში საქმე არაა. შენ კარგათ უნდა აგიხსნა, რას ვიღებ „საშუალოდ“.

„საშუალო“, მამაჩემო, ამას ნიშნავს: მე ვიღებ ახლა 35 მანეთს. თბილისში არის ისეთი მოსამსახურე, რომელიც იღებს 250 მანეთს. რომ შევაერთოთ იმ კაცის 250 მანეთი და ჩემი 35 მანეთი, გამოვა 285 მანეთი. შემდეგ გავყოთ შუაზე, მივიღებთ 142 მან. 50 კ. აი სწორედ ამ 142 მან. 50 კაპეიკს ეწოდება „საშუალო“. რომ იკითხავენ მაგალითად: რას იღებ საშუალოდ მოსამსახურე თბილისშიო, უნდა ითქვას საშუალოდ იღებს 142 მან. 50 კაპ. მე, მართალია, ნაღდათ, ფეშხუმ ფარას 35 მანეთს ვიღებ, მაგრამ „საშუალოდ“ 142 მ. და 50 კაპ. გამოდის... მაინც და მაინც ფულის მიღებაზე ხომ არაა საქმე?! ყურადღება უნდა მიექცეს „საშუალოს“. მე ეხლა განცხადებაც კი შევიტანე — ორ მანეთს ნუღარ მომიმატებენ. ბაზარზე ფასები აიწევს და არ ღირს. მომიკითხე ყველა.

შენი კოსტა.

### წერილი მეორე.

ძვ. შვილო კოსტა!

შენმა წერილმა გამახარა ძალიან. „საშუალო“ ნამდვილად სიტყვა საშუალებიდან წარმოსდგება და შენც მეშველა სწორეთ ყოფილხარ თბილისში და იღებ ჯამაგირი „საშუალოდ“. ორი მანათის მომატებაზე უარს ნუ იტყვი. ვინცხა ოხერი მდიდარს დაგვიძახებს და მეტს შამოგვაწერენ გადასახადს.

გეტყვი ახლა, მაგი შენი „საშუალო“ რანაირად გამოვიყენე. შენ ხომ იცი ჩვენი ხმელი ხარები საათში 2 ვერსს გადის. ჩვენს სოფელში რომ ავტომობილით მოვიდა კაცი და „მკურნეობაზე“ გააკეთა მოხსენება. ყველა იმას ლაპარაკობდა — მისი ავტომობილი ოც ვერსს გადის საათში. როგორც შენ შეგიერთებია, მეც ისე შევაერთე. ოცს მოვუმატე ორი, გამოვიდა ოცდაორი, გავყევი შუაზე და გამოვიდა თერთმეტი. ხვალ დილას ფოთში ვაპირებ ურმით, მსხალი მიმაქვს გასაყიდათ და, თუ ჩემმა ხარებმა 11 ვერსი ვერ გაიარა საათში, დავკლავ და გავყიდი ხორცად. მოგიკითხა...

შენი ივანე.

## დასკვნა.

მე ეს ორი წერილი იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ მომეწონა და ჩემებურად მოვიხმარე „საშუალო“.

მუდამ ის აზრი მაწუხებს, რომ რეგისტრატორობას ვერ გავშორდი. ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა. თბილისში აუარებელი გამგეა. რომ შევუერთოთ შიკრიკებს და სხვებს და გავყოთ, როგორც წესი და რიგია, მე საქმის მწარმოებელი ვიქნები „საშუალოდ“.

ვინც ამის შემდეგ რეგისტრატორს დამიძახებს, პირდაპირ არ შემხვდეს ქუჩაში; ნამდვილად ვერ გადამირჩება.

ციმთან-ალა.

# „წესის-დამცველი“



— ეი შენ, ქალბატონო! რატომ არ იცით, რომ ქუჩაში წყლის გადმოსხმა არ შეიძლება?!

# „დაჩნი პრიკლუჩენიები"

აჰა, ესეც შენი დაჩნი პუტეშესტვიები, ოდიხები და უპრაგონო გულაობა!.. ჩამოვედით რაღა, ჩამოვედით, როგორც იყო, დიდის ნავნებითა!.. ვაჰ, ამ დაჩის მამგონის სული წაწყდეს, როგორც მე წელში გამწყვიტა, სინსილა დამივსო და დახლი ამომითხიკა. არა, რა მრჯიდა მე ბემურაზსა და! რა მედაჩებოდა, რა მეჰაკარაკებოდა, რომა სულ მოდნი ჰაგარაკები ვიცვლიდი დუნდუკოვკორსაკოვივითა?

ცხონებული პაპაჩემი თულუხჩი იყო (ღმერთმა სულით გაანათლოს ამ მოგონებაზედა!) თავის დღეში დაჩა სიზმარშიაც არ უნახავს, ჰამაც ოთხმოცდა თექვსმეტი წელი იცოცხლა, განსვენებულ მამაჩემ იოვანესაც სირაჯხანაში სტალაო ჰქონდა და ჰავლაბარსა და ორთაჭალას არც კი გასცილებია, მაგრამა შარშანდლამდე ჯეჰელობაზე ლაპარაკობდა და, სლუჩაიხათ რომ არ მამკვდარიყო, ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა, მაშ... მე კი ავყოლივარ ამ ბემურაზ ფეფელოს ჰოპოპებსა და, სადაც უნდა, თავს იქ მაკვრევინებს, ატკაზი არ უშვრები რაღა.

ეს ლიოხკები დამისლაბდა და აბასთუმანში წამიყვანეო, ეს კატარ-ჟელუდკა გამიჩნდა და ჰექიმმა ბორჯომის ისტოჩნიკები მირჩიაო, ეს განათლებულ ხალხის მარაქაში გარევა მინდა და კოჯრისაკენ გამაკატავეო, ეს ტრიატიო, ეს პრაქიხტორიო, ეს მოდნი კასტუმებიო, ეს ფლანიო, ეს ფსტანიო,—ვინ მოსთვლის, ათასი ჯანდაბა და დოზანა... მეც გამიღია ეს დახლი და, რაც ათადანბაბადან მომიგია, სულ გამდის და გამდის, ბესკანეჩნი რასხოდები ვშვრები... ახარ, ჩიჩმაკები ამერია და აღარ ვკითხულოფ, თუ ახრიზამანში საქმე რით გათავდება.

ფეფელოს ვებნები: დედაკაცო, ცოტა რაზუმნაა, მაიქეცი, წინათ რაც იყო, იყო—ჯანაბას, მაშინ რო ვხარჯავდი, კიდევ თაბაუთი იყო, ბირჟაზე ინოსტრანი ვალიუტა ისემე ვშვრებოდი და ჰუზურში საქმე კარგათ მიდიოდა, ჰამა ამ ღვთის გარეგან ბალშევიკების ხელში ჩვენი ჰამქრის კაცი ხეირსა ნახავს?—ბირჟა მოშალეს, კანდრაბანტი მოსპეს, ვაჭრობა თვითონ დაიწყეს, ჩვენ კი ნალოგებით სიქას გვაცლიან, სადღაა სახარჯო ფულები მეთქი.

ბან ჩუნის, შაჯდა უჯათობის ვირზე, დაიწყო ისტერიჩესკი ყვირილი:—კუპეწი კაცი ხარ და ერთი ცოლი ვერ შაგინახიაო, მაშ რაღათ მინდა თავი ცოცხალი, რომა ბონდარ გიგუას ცოლი ახტალაზე დაჩათ წავიდეს და მე კი აქ ნერვნი პრიპადკები მამდიოდესო, შენც ხომ ნიკრისის ქარები გაქვს და დღე და ღამე კრუსუნებ, იქ რო წახვიდე, ზდაროვია სრაზუმ დაგიბრუნდებაო, ჯერ-ჯერობით ხომ არც ისე ცუდათ არის ჩვენი სასტაინიის საქმე და მერე ისევ ღმერთი მოგვცემსო.

სწორე გითხრა, მეც ჭკუაში მამივიდა; გაგონილი მქონდა, რომა ახტალა რემატიზმასა და ნიკრისს არჩენსო და ყაბული გავხდი. ჰამაც ვიფიქრე, კანც ჩემი ფულები ბალშევიკებმა არა ჰამონ, ჰაზირ ჩემი ჭია გავახარო მეთქი.

ერთი პადრობნი სავეტი ვქენით, ვეშჩები ჩავალაგეთ და მესამე დღესა ახტალაში გაჩნდით. ვა, ახტალა გინახავს? რა მაზალო რამეა რაღა! მე ისეთი ვაბრაჟენიე მქონდა, რომა დიდ მრამორნი აბაზანებში ოქროს მილზე გადმოჩხრიალებს ლეჩებნი ისტოჩნიკი და, ჩახვალ თუ არა, პრეობრაჟენია მომივა მეთქი.

რის ისტოჩნიკი, რის ბოზბაში, თურმე ერთი დიდი გუბეა, შიგ ჰარისასავით აზელილი ნაცრის ფაფა დგას და ბუყბუყებს, ჩახვალ, კამეჩივით ჩაწვები, ისე ამაიგანგლები, როგორც კახური ჩურჩხელა და მერე თუ ხუთი კოკა წყალი არ დაისხი, ტალახის აბლიცოვკა გაგიკეთდება. ატკაზი ვქენი, არ ჩავდიოდი, ჰამა ფეფელომ შამაგულიანა, თითონ პირველი ჩავიდა და მეძახის: შამოდი, გეოჯან, შამოდი, არ ჩაგძირავს, ისეთი მიახკი რამეა, გეგონება ყუჰთუკიაო, ქვეშიდან გაზები დაელენიას შვრება და მაღლა ისე მაგდებს, თითქო პრუჟინები ჰქონდესო, აი, მე და შენ ჩვენი ანგლიცკის კრაოტი რომ აგვაგდებს და ჩაგვაგდებს ხოლმე, ისე შვრება, შამოდი, ვაჟკაცი არა ხარ, რისა გეშინიანო.

მეც შაველ. მართლა კაი რამე იყო. შიშმა გამიარა, გავთამამდი და ხან აქეთ გადავგორდები, ხან იქით. თან ზონტიკი დამიჭერია, რომ სოლნეჩნი უდარი არ მამივიდეს. ერთიც ვნახოთ, ვიღაც ახმახი დამადგა თავზე, გალანცკი ჰეტუხივით იფხვირება და მებნება:

— თქვენი ბილეთი?

ვა მე და ფეფელო ერთმანეთს უყურებთ, გვრცხვენიან რაღა, რის დაფარვაც შაიძლება, ვიფარამთ და თან ბრაზმორეული ვებნები: ე, ახმახ, ცოტა იქით წადი რაღა! ამ დედიშობილა ხალხსა ზედ რო გვიცქერი, მორიდება არ უნდა იქონიო? რის ბილეთი, რა ბილეთი, ტრიატში ხომ არა ვსხედვართ, ამ ტალახში გათხუპნას ბილეთი რათ უნდა მეთქი.

თურმე ნუ იტყვი, ბალშევიკებს ამ ტალახისთვისაც რეკვიზიცია უქნიათ და გრამობითა ჰყიდიან, თითქოს გოფმანცკი კაპლები იყოს. ჰამაც ჩასტნი პირებს არ უშვებენ.

— აქ მარტო საველცკებს შაუძლიათ ბანაობა, შენ ვინ მოგცა რაზრეშენია, რომ ჩასულხარ და ჰბანაობო.

ამ ლაპარაკში რო ვართ, ერთიც ვნახოთ, უცბათ სლუჩია არ მოხდა—მიწის შუაგულიდან ერთი ხოშუშიანი [illegible] გაზმა და თითქოს პადზემნი მინა აავყეთქეს და ვზარვალი [illegible], ისე ამისროლა ჰაერში, [illegible] გოგოსავით, მაში პირქვე დავეკა და [illegible]



ამოვისვარე, რომ ფეფელომ სახე ძლივს მიპოვა და ჩემს გარეცხვას ორი ბოჩკა წყალი მოანდომა.

ის ახმახი კი მეორეთ მოგვადგა და ფულსა თხოულობდა:

— კურორტნი უპრავლენია ბეზპლატნათ არავის უშვებსო.

ერთი გავბრაზდი, ერთი გავბრაზდი, რომა ლომს შევეჭიდებოდი, ჰამა იმ ახმახთან ხმა მაინც ვერ ამოვიღე შიშისაგანა—ჩემი სიგრძე ისემე ეკიდა, ლევროვი რაღა. ერთი კანეცის ფული მივეცი და წავიდა. მეც ჩუმათ უკან მივაძახე:

— წადი, თქვენი ქვეყნის წყალიც დაშრეს და ვინც აქ იბანაოს, იმისიცა მეთქი. მეორე დღესვე ქალაქში ჩამოვედით. ვა, ყურუმსაღ, ტალახში გავითხუპნო და ჰამაც

ფული ვაძლიო, სადაური თაბაუთია? არსად ფეხს აღარ გადავდგამ...

მაგრამ მე რომ ამას ვფიქრობ, ფეფელო თურმე ახალ პლანებს ადგენს და ახალ ფათერაკს მიმზადებს. ორი დღე არც კი გასულა, რომა რაღაც კრუსუნი დაიწყო. ერთ საღამოს დუქნიდან რო დავბრუნდი, ვნახოთ, ეს ფეფელო კრაოტზე გაშოტილა, გვერდით წამლების პუზირკები უწყვია და მიკნავებული ხმით მებნება:

— გეოჯან, პაროკ სერცა დამემართა, დიხანია მიძნელდება და ჰექიმმა თქო, რომა მარცკოი კუპანია გინდა, ქობულეთში უნდა წახვიდეო. იქ ბანაობაც ბეზპლატნია და ცხოვრებაც იაფი,—ისე რომ, ბევრი არ დაგვეხარჯება და, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, ხვალვე წამიყვანე, შენთვისაც სარფა იქნება ზღვის ვანებიო.

ბევრი ვიჩალიშე, ვეხვეწე, რომ ხელი აეღო, ჰამა მაინც არაფერი გამივიდა:

— მთელი წლობით აქა ვზივარ, ნერვნობისაგან ვიღლები და ავანტყოფიც არ გინდა, რომ წამიყვანოვო... ვებნები:—ადამიანო, რა გღლის, სახლში საქმეს შენ არ აკეთებ, დღე და ღამეში თვრამეტი საათი გძინავს, კარგს გაჭმევ, კარგს გასმევ, ქვეყნის ვაპროსებს შენ არავინა გკითხამს, რა გღლის, რა გიშლის ნერვებსა მეთქი.

— რა და—ადნააბრაზიაო, წამიყვანე, სხვა ქვეყანა მაჩვენე, სხვა ვოზდუხი მასუნთქე, რომა ისევ ჯეირანივით ქალი გავხდე და, სადაც გავიარო, ყველამ შენი სახელი ახსენოსო.

ერთი სიტყვით, იმან თავისი ქნა და ახლა კაჩოვნიკი ციგნებივით ქობულეთისკენ ავიბარგეთ. ვა, გინახავს ქობულეთი? რამეა რაღა, ქრისტეს სახის მადლმა, ანტიკა რამეა! ზღვაც რა დიდი რამე ყოფილა და? მტკვარი რა ხრი, ასი მტკვარი რომ ერთათ დაგუბდეს, მაინც მიჰქაროს.—ზღვასთან სტაქანი წყალი გამოჩნდება. მერე რა ვიდები, რა სანახაობა, რა ლაზათი და შნო, სამოთხეა რაღა, ნამდვილი სამოთხე,—ადამ და ევასავით ყველა შიშველი დადის, ერთი სიტყვით (ჩუმათ გებნები, დოირახში ჩავვარდი რაღა, საცა ლამაზი ქალი იყო, ყველას მე უყურებდი შორიდანა, მაშ!..)

ეს ამტოლი ხალხი ზღვაში ისე შადიან და გამოდიან, გეგონება ბატანიცკი ბაღიაო. ფეფელოც ხელათ გამოცოცხლდა და, აჰყვა ვილაცეებს, ცურაობაც ისწავლა, დაიწყო ზღვაში ბანაობა და მე მებნება:—გეოჯან, ერთი ჯეჰელობა მაიგონე და შამამიცურდიო. ვა, გიჟეს, ვებნები, ამ ზღვაში თევზების ლუკმათ რათ გავიხადო თავა, თუ ზღვის წყალი მარგებს, ლახანკაში კი ვერ ვიბანავეფ მეთქი? ჩავიტანე ბერეგზე ერთი დიდი ლახანკა, ავავსებინე წყლითა და ჩავჯექი შიგ. ვა, ცხონება იყო რაღა! ჰამაც მთელი ხალხის ვნიმანია ჩემსკენ იყო. ეს ტიტლიკანა ქალები სულ ლორნეტებითა და დურბინდებით მიყურე-



დნენ შორიდან (ზნაჩიტ, რომ გახდილი ძალიან მოვწონდით!)

სულ ასე ვშვრებოდით მთელ ორ კვირას და ძალიანაც მარგო. ჯერ წამოსვლას არ ვაპირებდი, ჰამა აქაც ახალი ხათა გამოტყვრა: ფეფელოს ფეხი დაუსივდა და ტკივილი დაუწყო. აიხირა, თუ ზღვაში ბანაობის დროსა დოშმა მიკბვინა და, თუ დროზე ქალაქში არ წამიყვანე, სისხლის ზარაჟენია მამივაო.

— არა, ზურგიელი იქნებოდა მეთქი.

— ზურგიელი კი არა, რებეცი არ გინდა, დოში იყო, ჩემი თვალით დავინახე,—თვალები დამიბრიალაო. ვა, გული გამისქდა: მეც გაგონილი მაქვს, რომა დოშების და ზურგიელების ნაკბენი არა რჩებაო. და ვიფიქრე—ეს სალსალამათი დედაკაცი ნეჩაინათ ხელიდან არ გამამეცალოს მეთქი. ავდექით და ისევ აქეთ გამოვეშურეთ, რომა დროზე უწამლო და მოვარჩინო.

ჰექიმი დადის ჩვენსა და ჯერ ვერაფერი გაუგო. ამოფს, თუ კონცოლიუმს მოვიყვან. დიაგნოზი უნდა გაუკეთოო. ეს დიაგნოზი მე ვნუტრენი ასმატრენია მეგონა, ვიფიქრე აპელეციას უზამს მეთქი, და ვებნები:

— ჰექიმჯან, ეს დედაკაცი სლაბათ არის, დიაგნოზს როგორ გაუძლებს. მაზი წაუსვი ან მალამო, რო მორჩეს მეთქი. გაიცინა და ამოფს, თუ:

— კაკოი ტამ, პუსტიაკია, ოლონდ კონცოლიუმი მოვიდესო. ეს ვილაც ახმახი კონცოლიუმი ყოფილა. ეხლა იმას უცდი, ალბათ იმან სპეციალნათ დოშების ჰექიმი იქნება. ერთი მალე მაინც მოვიდეს ის გემურაზი.

ფარსადან.

# „იზრდება"



— ძია, რა ღირს ნავთი?
— „კრუჟკა" შაური ღირს.
— აბა, ჩამოასხი ორი „კრუჟკა" და გადაჰკარი ჩემს ხარჯზე.

# საჩქარო დახმარება

ახალი საბინაო კანონის გამო მდგმურსა და სახლის პატრონს მოუვიდათ დავა. დავა ჩხუბად იქცა, ჩხუბი სიშმაგედ და ორივემ ერთმანეთი სასიკვდილოდ დასჭრეს.

საჭირო იყო საჩქარო დახმარება.

ტელეფონის მილმა ჩემს ყურში თითქმის ერთი საათი იხრიწინა. მეც ერთ საათს ჩავძახოდი:—საიდან? ვინა ხართ? სადგური? ჩქარი დახმარება?

მაგრამ, როგორც იაპონიაში არ გაუგიათ ჩემი ხმა იოშიზავას, ისე იქ. ბოლოს მოისმა ვილაცის ხმა. ისევ გაჰქრა. ერთი საათი კიდევ ჩავძახოდი ტელეფონს... მაგრამ მილი ჩემს ყურებში ისევ მძინარე ავადმყოფივით კრუსუნებდა... კიდევ გაიელვა ჩემს ყურში ხმამ... მაგრამ გადამელია გული, მეც ჩამეხრინწა ხმა და, რაკი იმედი გამიცრუვდა, გავიქეცი მეორე ეზოში. ვიკითხე ტელეფონი. მითხრეს—აქ არ არის, ასე ჩაუხვიე, შიო ჩიტაძის ქუჩაზე მეოთხე სახლში შედი და იქ ერთ ყმაწვილს უდგასო. გაველი ნაჩვენებ ქუჩაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ქუჩა შიო ჩიტაძისა კი არა, ვილაც შოთა ჩიტაძისა ყოფილა, რადგანაც აღმასკომს დაუწერია ზედ „შოთა ჩიტაძის“ ქუჩა. ამერია დავთრები. ვდგევარ შოთა ჩიტაძის ქუჩაზე და ვეძებ შიო ჩიტაძის ქუჩას. გავქანდი ქვევით. მინდა მილიციელსა ვკითხო,—სად არის შიო ჩიტაძის ქუჩა.— მაგრამ მეორე ალაგას სწერია „შითა ჩიტაძის“ ქუჩა. მიკვირს: ერთ ქუჩაზე ამდენი ქუჩები! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შოთასაც ვიცნობდი, შიოსაც, მაგრამ ეს „შითა“ ვინღაა? შევუხვიე მეორე ქუჩას რომელსაც აწერია: დავით ქონქაძის ქუჩა... ნეტა, ვინ უნდა იყოს ეს დავით ქონქაძე?—ვფიქრობ ჩემთვის.—ამ დროს მილიციელი შემეჩეხება წინ და ინსტინქტიურად ვეკითხები:

— ძმაოჯან, არ იცი, ვინ არის დავით ქონქაძე?

— როგორ არ ვიცი,—მიპასუხებს მილიციელი,— დავით ქონქაძე ერთი მხერხავია სირაჯხანაში, მეორე— სირაჯი.

— აი ამ კედელზე რომ დავით ქონქაძე სწერია, მეიმას გეკითხები!—ვუთხარი გაჯავრებით მილიციელს, რომელმაც წაკითხვის შემდეგ დარცხვენით მიპასუხა:

— მე მაგას არც ვიცნობ, არც გამიგონია!..

გაბრაზებულმა მრისხანედ შევხედე მილიციელს და... შევედი სხვა ეზოში. ავიღე მილი და, ყურთან რომ მივიდე, უკვე ლაპარაკობდნენ.

— ვინ არის ტელეფონთან?

— ჩქარი დახმარება!

სიხარულისაგან ვიწყებ უბედურების ამბავს, თავგანწირულად ვამბობ მისამართს, სადაც სახლისპატრონმა და მდგმურმა ერთმანეთი დახანჯლეს, მაგრამ უეცრად მესმის:

„ცენტრალნაია“. შემდეგ: „ჩტო ვამ უგოდნო“?... შემდეგ: „ავო ნეტ დომა“... შემდეგ: „კარაპეტ“...

და ბოლოს სულ წყდება ძაფი.

— ღმერთო!—ვამბობ გამწარებული, თანაც მიკვირს, რომ ასეთი უცნაური ტელეფონი გვაქვს: ერთ წამს ცენტრიდან ყველა ბინებში დაელაპარაკები. ძლივს მივაგენი ჩქარ დახმარებას და ისევ ხელიდან გამისხლტა: ამაზე დიდი უბედურება რაღა იქნება!

მეტი გზა არ იყო,—მოვწყდი იმ ტელეფონს და გამოვედი ქუჩაში. გავწიე ფეხით ჩქარ დახმარებისაკენ... მაგრამ, ჩქარი დახმარება შინ არ დამიხვდა.

დავრწმუნდი, რომ ჩქარი დახმარება ქვეყანაზე არაფრისათვის არა ყოფილა საჭირო. ამიტომაც არის ნათქვამი, ალბათ: „სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამია“-ო.

დინჯათ და დამშვიდებით წაველი შინ, სადაც მდგმურმა და სახლის პატრონმა ერთმანეთი დაჩეხეს და შევიტყვე, რომ დაჩეხილები კიდეც გარდაიცვალნენ, კიდეც აყროლდნენ და კიდეც დაასაფლავეს.

საბინაო კანონი კი ისევ შეუცვლელი იყო.

უშანგი ფაშვიბერტყაძე.





**დამლაგებელი** ეხლავე გამოცხადდით საგანგებო კომისიაში ტროცკის ქუჩაზე.

**ბამბე** (თავისთვის): დავიღუპე კაცი!— ალბად, ჩეკამ გაიგო, რომ ფული მაქვს გადმალანგული (ტელეფონში). რა-რა-რა საქმეზე ამხა... ბატონო?!

**დამლაგებელი**: დაიტე ატბოი... ჩვენ სხვას ვეძებთ.

**ბამბე** (ტელეფონის მილს ჰკიდებს): მე კი შიშით ჩემი დამემართა მაინც.



**ბამბე**: რას ჰგავს აქაურობა? ეს არის დალაგება!?

რატომ ყოველთვის მეგობრული, და არამტრული შარჟი უნდა მოვათავსოთ ჩვენს ჟურნალში! ამიტომაც ვათავსებთ ამ ნომერში ამათ შარჟებს.



ჩან-ძო-ლინი



მუსოლინი



ჩემბერლენი

# მმსტვირული
(ლანირ-ქვიტირისათვის

სასიმღეროთა მოვმართე
ჩემი ჭამანჩა სტვირია,—
მაგრამ მიმუხთლა ბედმა და
სიმღერის ნაცვლათ ვსტირია.
შვიდ-წლედის შენობაში წვიმს,
წვიმა ღვარივით ჩამოდის.
მოწაფეები სკოლიდან
დასველებული გამოდის.
კარები დამტვრეული აქვს,
თხები პარტებზე [illegible]ვიან:
გამგე და თემ-აღმასკომი
იქ არხინათ დადიან.
ფოსტაში შეველ—იქაც წვიმს,
ფოსტის უფროსი სტირისა...
ოით შევაჩერო ქვითინი
ჩემი ჭამანჩა სტვირისა?..
სამკითხველოში შეველი,
გაზეთებს აწვიმს, ფუჭდება;
გამგე კი არხეინათ ზის
(ნეტა ძვირათ რა უჯდება?..)
ბოლოს მივმართე აღმასკომს—
რომ მან უშველოს ყველასა,—
მაგრამ რა ვნახე?—იქაც წვიმს!..
ოდელა-დელა-დელასა.
ქვიტირო, როგორ გიტირო,
ჩემო სამშობლო მხერეო;
სალათას ძილის მისცემია
გამგე და თავმჯდომარეო.

გალინგი.

# ნატანეში

ნატანების „ეპო"-ს ჰქონდა
სასადილო გვარიანი.
ექვს შაურად ჰყიდდა სადილს,
კერძი იყო მადლიანი.

სასადილო ვერ ჰფარავდა
მოგ მსახურთა შტატის ხარჯს.
და ამიტომაც ეპომ იგი
ჰიაბარა ანტონ ჩარჩსა.

აბრა ისევ ძველი დარჩა,
ისევ არის ეპოს, ფირმა.—
და მუშტრებიც მიტომ ანტონს
არ დაუფრთხო კერძმა ძვირმა.

გლეხს ჰგონია ეპო არის,
(მიჭრილი აქვს მაზე ქიპი).
ის არ იცის, რომ მის ჯიბით
უსუქდება ანტონს ღიპი.

შურდული.

# მიწსახკომში

განგებამ თუ ზეცის ძალამ
ეს ქვეყანა ისე ოაყო,
რომ ბედნიერ მიწსახკომსაც
მან არგუნა ერთი ჯაყო,

რომელმაც თვის აბერემდი
აბაშას თუ სენაკს დაჰყო,
და ეხლა კი მიწსახკომის
სალაროში თავი ჩაჰყო:

იმ სალაროს რომლის ტრფობის
ზევრს ედება ჩვენში ალი,
მაგრამ ამ ალს მყისვე ახშობს
ჯაბას შიში და ხანჯალი,

რომელსაც რომ გვერდს უმშვენებს
თვით პატრონი ნაზათ ქმნილი
და ქრისტეს დროს შეკერილი
ბოლჩა ჩვარით გატენილი.

ი. ნე—ლი

# ექიმი ფერშალაძე

**იღებს ავადმყოფებს საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე**

ასეთი განცხადება გამოაკრა ექიმმა ფერშალაძემ თავის შესავალში.

ექიმი ფერშალაძე კარგი ხნის ექიმია; უწინ კარგად ცხოვრობდა; შემდეგ ჩამოქვეითდა და ახლა ისევ დაიწყო სისტემატიური ექიმობა.

ქალაქი მეტის მეტად უყვარს ექიმ ფერშალაძეს. ქალაქს გარეთ გახედვაც არ ეხასიათება. ჯანმრთელობის კომისარიატმა ერთ-ორჯერ შეაძლია მას ადგილი პროვინციაში, მაგრამ არ ინდომა წასვლა.

ექიმმა ფერშალაძემ გამოაკრა ზემოხსენებული განცხადება და იღებდა ავადმყოფებს 5—8 საათამდე. იღებდა... მაგრამ ერთი გარემოება უშლიდა ხელს: იმ ქუჩაზე (როგორც ყოველ ქუჩაზე), სადაც იგი ცხოვრობდა, ოციოდე ექიმს ჰქონდა ასეთივე ხასიათის განცხადება გამოკრული.

ყოველ შემთხვევაში, ექიმ ფერშალაძის განცხადებიდან ერთი რამ ცხადი იყო: იგი იღებდა ავადმყოფებს.

დიახ, იღებდა.

ასე იყო თუ ისე, მისი განცხადებიდან ცხადი იყო, რომ ექიმს პრინციპიალურად არაფერი ჰქონდა ავადმყოფების მიღების საწინაალმდეგო.

მაგრამ საკითხი მიღების შესახებ, კიდევ არ ამოსწურავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას: შენ შეგიძლია მიიღო ავადმყოფი, მაგრამ აქ შეიძლება მეორე დაბრკოლება: სახელდობრ ის, რომ ავადმყოფი არ მოვიდეს.

სწორედ ეს იყო ექიმ ფერშალაძის უბედურება: იგი მართალია, იღებდა,—მაგრამ ავადმყოფები არ მოდიოდენ.

რა იყო ამის მიზეზი?

ნუ თუ თბილისში არ არიან ავადმყოფები?

არიან და მრავლადაც არიან.

იქნება ავადმყოფები გაიფიცენ?

არა, არ გაფიცულან. ჯერ ერთი, რომ ავადმყოფს გაფიცვის თავი არა აქვს და მეორეც, როგორც ირკვევა, ისინი არ გაფიცულან.

მაშ სად მარხია ძაღლის თავი?

მარხია იქ, საცა მართალნი განისვენებენ.

სად განისვენებენ?

განისვენებენ იქ, სადაც ზემოხსენებული ძაღლის თავი.

თქვენ ალბათ გული შეგიწუხდათ, მეგობარო მკითხველო... მოითმინეთ, აღიჭურვეთ იობის მოთმინებით და ყველაფერს გაიგებთ:

ძაღლის თავია მარხია განცხადებებში (იგულისხმება ექიმის განცხადება); ქალაქში მეტად ბევრი ექიმია: სტატისტიკური ცნობების მიხედვით, თბილისში ყოველ ავადმყოფზე მოდს სამი ექიმი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ყოველ სამ ექიმზე მოდის ერთი ავადმყოფი. თქვენ არ იფიქროთ, რომ სამი ექიმისას ერთი ავადმყოფი მოდის ან მიდის. უფრო გარკვევით რომ ითქვას, ყოველ ერთ ავადმყოფზე ითელება სამი ექიმი. რაც შეეხება ექიმისას მისვლას, ამაზე უკაცრავად გახლავან ავადმყოფები: ერთი, რომ ვადმყოფს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი სიარული არ შეუძლია და მეორეც,—თბილისში მყოფ ავადმყოფთა დიდი ნაწილი გაზღვეულია და რაიონულ ექიმთან დ ამბულატორიებში მიდის. ასე რომ, კერძო ექიმები უმეტეს ნაწილად თავისუფალი არიან.

ექიმი ფერშალაძეც თავისუფალი იყო,

თავისუფალი.

ერთი შეხედვით, ექიმი ფერშალაძე არ ყოფილა ცუდ მდგომარეობაში. თავისუფლება, როგორც მოგეხსენებათ, ფრიად სიმპატიური საქმეა.

ექიმ ფერშალაძეს ამ თავისუფლების მოპოვებსათვის ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია; მაგრამ კმაყოფილი მაინც არ იყო. თავისუფლება (ავადმყოფებისგან) არ იყო მისთვის სახეირო. ეს თავისუფლება მისთვის უმუშევრობას უდრიდა. უმუშევრობა კი, როგორც მოგეხსენებათ (ჰკითხეთ, თუ გნებავთ, შრომის ბირჟას), არ არის ხელსაყრელი.

ექიმს, როგორც ვსთქვი, შემოსავალი არ ჰქონდა: ავადმყოფები არ მოდიოდენ. აიღო და განცხადება გადაასწორა, დილის საათებიც მიუმატა.

**ექიმი ფერშალაძე**

**იღებს ავადმყოფებს დილის 9-დან 12-მდე, საღამოს 5-დან 8-მდე.**

ამბობდა განცხადება.

ჰოი, უმადურობავ! მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა ავადმყოფებს მიქების ვადა გაუგრძელა და ამით დიდი შექავათები მიანიჭა, უმადური ავადმყოფები მაინც არ მოდიოდენ.

ამავე დროს ქალაქის შრომის ბირჟა თითქმის ყოველდღე აცხადებდა:

**საჭიროა 10 ექიმი პროვინციაში გასაგზავნათ.**

**საჭიროა 15 ექიმი... საჭიროა 25 ექიმი და სხვ.**

ჯანსახკომი ჰპირდებოდა ექიმებს კარგ ჯამაგირს, ბინას, გათბობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ექიმი ფერშალაძე ჯიუტობდა; მას არ უნდოდა პროვინციაში წასვლა:

— რა წამიყვანს სოფელში!—ამბობდა იგი.—ქალაქში მირჩევნია; მართალია, ავადმყოფები ჯერ არ მოდიან, მაგრამ, როცა სიკვდილზე მიდგება საქმე, მაშინ მოვლენ. პროვინციაში მაინც არ წავალ!

ექიმმა ისევ გააფართოვა განცხადება:

**ექიმი ფერშალაძე**

**იქებს ავადმყოფებს დილის 8 საათ. საღამოს 8 საათამდე,**

ეწერა ახალ განცხადებაში.

ავადმყოფებმა ყურიც არ გაიბერტყეს. იწვენ თავიანთ სახლებში არხეინად, თითქოს აქ არაფერიაო.. მართალია: ზოგი კიდეც წამლობდა, მაგრამ დამზღვევი კასის საშუალებით.

ექიმმა ერთხელ კიდევ გამოსცვალა განცხადება:

**ექიმი ფედშალაძე**

**„იღებს ყოველთვის და ყოველ დროს, დღისით და ღამით“**

წაიწერა განცხადებაზე.

ავადმყოფები ისევ ჯიუტობდენ. თითქოს აქ არაფერიაო, არც ერთი მათგანი არ შევიდა ექიმის მდგომარეობაში და არც ერთხელ არ მიაკითხა მას.

შრომის ბირჟა კი ისევ განაგრძობს განცხადების გამოკვრას პროვინციაში ექიმების მოთხოვნილების შესახებ.

ექიმიც განაგრძობს ახალ-ახალი განცხადებების გამოკვრას და ჩუმ-ჩუმად ნივთებს ჰყიდის ბაზარზე.

ქალაქელი ავადმყოფები კი, თითქოს აქ არაფერიაო, ყურსაც არ იბერტყავენ.

**ალღარ-ალღარსან.**





უჯრედზე მიამაგრეს


„ჩასჭრა გამოცდებში



სამი წლით ციხე მიაკრეს



„რევიზია დაატყდა თავს


ცალი ფეხი სამარეში უდგას




**ცხვირგამხმარს.** თქვენს პოემაში: **ტფილისი** ერთი მეტად კარგი ადგილია:

ვირებს კი სიცივით
ძირს სცვივა ყურები

ჩვენ არ ვიცოდით, თუ ვირებს ყურები სიცივის გამო სცვივათ... და ეხლა კი მივხვდი, თუ რატომ ემართებათ თქვენს ყურებსაც ასეთი ამბავი.

**ოქროს კბილს** (ბათომი) ეს წერილი თქვენს მიერ ბევრჯერ არის გამოგზავნილი, მაგრამ ერთხელაც არ დაგვიბეჭდია. ჯერ „პატარა ვინმეზე“ დასწერეთ და შემდეგ კი „დიდ ვინმეზე“. აკი გიპასუხეთ, რომ არ დაიბეჭდებათქო?! მაგრამ, მგონი, თქვენ მანამდი არ მოისვენებთ, ვიდრე ტარტაროზი არ დაგაძრობს მაგ **ოქროს კბილებს.**

**ლამურას** (ს. საქობაო. სიღნაღის მაზრა) რაღა ჩვენ გვავალებთ. რომ მოგაშოროთ კოოპერატივში უზნეო ქალი?!აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ადასტურებს ამ ცნობას ხელისმოწერით ,სად არის? ამის დადასტურებას ის არ ერჩივნა, რომ დროულად მიეღო ზომები?.. ქალს და ვაჟს შერსცხვათო... დი მეც შემრცხვაო... სირცხვილიც კაი საქონელია.

**კირილეისონს** (საჭამიასერი). ცოტა შეისვენეთ და შემდეგ მოგვწერეთ ასეთი მასალები, რადგან ეხლა გოდორი უკვე სავსეა.
რრრრრრერიოთრრრლ გგრრრლლაენმიხ აენმიხ ენმიხ ენმი

**აშკარას** თქვენი რითმა იქ გეხერხებათ, სადაც ღვინოზეა ლაპარაკი; მაგალითად:

სტუდენტი ვარ. გმირი ვარ,
ბოთლით დავლევ ღვინოსა,
მხოლოდ ეს კი იცოდე
უნდა მაღიღინოსა.

შემდეგ კი, როცა სწავლაზეა ლაპარაკი, ასეთი რითმებია:

ექვსი კლასის გათავებით
გამოვედით სტუდენტი;
ქუდები დავიხურეთ
ვინ გვყავს ტოლები.

როგორიც სტუდენტი, ისეთი ლექსიც. ამის შემდეგ რაღა საჭიროა თქვენი „ჩვენი ცხოვრება“... რასაკვირველია რედაქციისათვის როგორც გამოუსადეგარი მასალა.

**ისსს** როცა თქვენს წერილს ჩვენც ვუქენით ქირურგული ოპერაცია და ამოვსჭარით ყალბი, ხორცმეტი და პარაზიტი ნაწილები, დარჩა მხოლოდ ეს:

ასეთ ექიმს ძვირად ნახავთ
გათქმულია ქირურგობით; ,
ლოგინის ქვეშ მტვერი ჰყრია,
ვერ გაიტანთ ერთი გობით.

მისამართსაც გვაძლევთ: **კამოს ქ. № 69.**

**ჯოყოლას** (ს. სომიწი) ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება.

**უბრალო მუშას** (ჯურყვეთი) თქვენ გვწერთ, რომ თითქოს ყოფილი მწერალი ამბობდეს:

— ჩემი დასაკლავი დანა, ჩემი ხელით გავლესე.

ამაზე მეტი სასჯელი რაღა იქნება? ჩვენ რაღა ზომები უნდა მივიღოთ? კაცს უკვე დანა გაულესავს თავის დასაკლავად და ჩვენ ხელი შევუშალოთ! არა გვაქვს ამის უფლება.

**ა. ტიტანს** (ჩიბათი) ისაკის ჩონგური თუ კი გალახენს, საყვედურს რაღას **ემართლები.** გვწერ:

ნუ დაგვამადლი, ტარტაროზ
ინებე მოვლინებაო
და ვისაც რამეს მიუსჯი
სრული შენია ნებაო.

არ გირჩევთ ჩვენს ჩამოსვლას, თორემ უპირველეს ყოვლისა თქვენ მოგისჯით, რომ ამიერიდან ასეთი წერილი არ მოიწეროთ.

**ხვლიკს.** (ბუკნარი. ოზურგეთის მაზრა) აბა, ერთი გვიხთარით, რა მოსათავსებელია ეს წერილი:

**გურიის შრ. სკოლების გამგეობის თათბირი ოზურგეთში.**

დარბაზი სავსეა მასწავლებლებით. რამდენიმე კაცს ხელში უჭირავს პირ-ღია ტომარი, რომელსაც აწერია: 1926—27 წლის ბიუჯეტი. 250,093 მან. ტომარაში რამდენიმე მასწავლებელი. სხვები ილტვიან ტომარისკენ.




**გან. ინსპექტორი:** ამხანაგებო, ჩვენი წლიური ბიუჯეტი, აი ეს არის. ამ პირობებში შტატის გადიდებაზე ლაპარაკი, ზედმეტია. რამდენიც ჩავეტევით ამ თენხაში, ის არის ; სხვები კი შტატის გარეშე დარჩებიან.



ტარტაროზმა ეს თქვენი წერილი უფსკერო გოდორში გადაუძახა... იქ არის მათი ადგილიო.

# „სადაც დაუღამდეს, იქ გაუთენდეს“



— ღამის ორი საათია... ძილის დროა... წადით სახლში... ნუ თუ არ გეძინებათ?!
— ვაჰ! მრთი ამას უყურე, და?! ჩვენც ვიცით, რომ ეხლა ძილის დროა და ამიტომაც ვწევართ აქ დასაძინებლად...

**ილმნახცო ოსოს**: (ანუ წალმა: სოსო ოცხანელს): თქვენც სინჯეთ აზრის დალაგება წალმა და იქნებ რამე გამოგივიდეს...

ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება. (არც ხელმოწერილი არ დაიბეჭდება თუ წერილი არ ვარგა).

**ტანკას**: თქვენ რა გაგოდებს ნიკო მღვდლის გოდებაზე? რას ერჩით მაგ კაცს? მისთვის ისიც კმარა სასჯელად, რომ

——————თვალწინ ელანდება
მას ძველი დროება;
მისი გული კვდება
როცა აგონდება.

ჰო-და ესთი საწყალი კაცის წინააღმდეგ გამოდიხარ ტანკა; ტანკა კი არა, ხელთოთა ყოფილხართ.

საჯავახოს გზის სექციას უსაყვედურებთ:

გზებს სჭირდება გაყვანა
და ბევრსა შეკეთებაო;
ერთი რომ გზაზედ იმტვრევა,—
მეორეს ეცინებაო.

მეორეც დაიმტვრევა და აბა მაშინ გაიცინოს... ნუ დასცინი სხვასაო,—გადახდება თავსაო.

**„მეც იქ ვიყავი“-ს** (ქვიტირი, ქუთაისის მაზრა). თქვენი წერილ უფსკერო გოდორზე ჯვარდასაწერად გადაეცათ დიაკონ ლავრენტის და მღვდელ ტარასის. ტარტაროზმა ასე უთხრა თქვენს წერილს უფსკერო გოდორში გადაგზავნის დროს: **შენც იქ იყავი.**

**საწყალ ყორას** ხელმოუწერელი წერილ იარ დაიბეჭდება; (თუმცაღა ხელმოწერილიც რომ ყოფილიყო ეს წერილი. მაინც არ დაიბეჭდებდა).

**იოსებ საფრომის-ძეს** არცერთი არ გამოგვადგა და ნუ ელოდებით მათ დაბეჭვდას.

**ვასმახს** (სუფსა) რამდენად მეტს სწერთ კარტ-ნარდის თამაშობის წინააღმდეგ, იმდენად უფრო უმატებენ თამაშს. ამიტომ სჯობია დაჩუმდე და იქნებ მაშინ შესწყვიტონ კარტ-ნარდის თამაში.

**ვარდენ ღვანკითელს.** რატომ გგონიათ, რომ მასხრად გიგდებთ! სრულიბითაც არა. ჩვენ ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით თქვენს პოეტურ ნიჭს და აწი კიდევ უფრო გაუწიეთ; ეს იმიტომ, რომ თვითონ თქვენ მიხვდით, თუ რას იტყოდა ტარტაროზი თქვენზე: ეს დიდი გენიალობაა.

**ვიმყოფები რკ. გზის საავათმყოფოში. სიცხე მაქვს ორმოცი გრადუსი. ავიღე კალამი და თვალცრემლიანმა დავსწერე ლექსი: „გლოვის ზარი“. ნე ვიცი თქვენი მუდმივი თანამშრომელი ამ ჩემს „გლოვის ზარს“ სამასხაროდ აიგდებს და „ტარტაროზს“ გადასცემს და დამიწერენ „ტარტაროზის“ ფოსტაში;—მართლაც ორმოცი გრადუსი სიცხე გქონებიათ, რომ ამისანა აბდა-უბდას ხწერავთო და სხვა. მაგრამ დეე იცინონ; იცინონ მანამდი, სანამ ტირილად არ გადაექცეს. გაუშვით, თუ ღირსად სცნოთ...**

სადაც ღირსად ვსცანით, იქ გადავგზავნეთ უკვე.



# ვის რა მოელის

